



საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიში

თბილისი

2011

თაზი I

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	2010 წლის დაზუსტებული გეგმა	2010 წლის საკასო შესრულება	შესრულება %- ში
შემოსავლები	5 363 552,6	5 421 474,0	101,1%
გადასახადები	4 552 000,0	4 592 367,6	100,9%
გრანტები	464 552,6	471 422,9	101,5%
სხვა შემოსავლები	347 000,0	357 683,4	103,1%
ხარჯები	5 535 775,7	5 466 466,9	98,7%
შრომის ანაზღაურება	996 382,0	993 483,9	99,7%
საქონელი და მომსახურება	898 625,8	881 586,6	98,1%
პროცენტი	204 131,1	200 663,3	98,3%
სუბსიდიები	211 566,6	196 306,9	92,8%
გრანტები	1 102 862,9	1 099 637,0	99,7%
სოციალური უზრუნველყოფა	1 483 799,7	1 481 067,6	99,8%
სხვა ხარჯები	638 407,6	613 721,6	96,1%
საოპერაციო სალდო	-172 223,1	-44 992,9	26,1%
არაწინასწარი აქტივების ცვლილება	881 010,6	873 489,0	99,1%
ზრდა	1 031 010,6	1 020 265,0	99,0%
კლება	150 000,0	146 775,9	97,9%
მილიანი სალდო	-1 053 233,7	-918 481,9	87,2%
წინასწარი აქტივების ცვლილება	284 389,6	357 438,5	125,7%
ზრდა	346 389,6	439 772,1	127,0%
ვალუტა და დეპოზიტები	3 000,0	125 484,3	4 182,8%
სესხები	240 972,9	231 696,2	96,2%
აქციები და სხვა კაპიტალი	102 416,7	82 591,7	80,6%
კლება	62 000,0	82 333,7	106,3%
ვალუტა და დეპოზიტები		16 433,4	
სესხები	62 000,0	65 882,6	106,3%
შემოსულობა სხვა დებიტორული დავალიანებებიდან		17,7	
გაღდგულებების ცვლილება	1 337 623,3	1 275 920,4	95,4%
ზრდა	1 512 673,9	1 447 244,5	95,7%
საგარეო	1 312 673,9	1 275 380,8	97,2%
სესხები	1 312 673,9	1 275 380,8	97,2%
საშინაო	200 000,0	171 863,6	85,9%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	200 000,0	171 863,6	85,9%
კლება	175 050,6	171 324,0	97,9%
საგარეო	125 342,9	122 908,6	98,1%
სესხები	125 342,9	122 908,6	98,1%
საშინაო	49 707,7	48 415,4	97,4%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35 000,0	35 000,0	100,0%
სესხები		347,9	
სხვა კრედიტორული დავალიანება	14 707,7	13 067,5	88,8%
ბალანსი	0,0	0,0	

შენიშვნა: ვალუტა და დეპოზიტების კლებაში გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

დასახელება	2010 წლის დამტკიცებული გეგმა	2010 წლის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	7 088 226,5	7 097 828,1	100,1%
შემოსავლები	5 363 552,6	5 421 474,0	101,1%
არაფინანსური აქტივების კლება	150 000,0	146 775,9	97,9%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	62 000,0	82 333,7	132,8%
ვალდებულებების ზრდა	1 512 673,9	1 447 244,5	95,7%
გადასახდელები	7 085 226,5	6 972 343,8	98,4%
ხარჯები	5 535 775,7	5 466 466,9	98,7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 031 010,6	1 020 265,0	99,0%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	343 389,6	314 287,8	91,5%
ვალდებულებების კლება	175 050,6	171 324,0	97,9%
ნაშთის ცვლილება	3 000,0	125 484,3	4 182,8%

შენიშვნა: ფინანსური აქტივების კლებაში (ნაშთის გამოკლებით) გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

თავი II

საქართველოს 2010 წლის შემოსავლები, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება

2010 წლის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

1.1. ეკონომიკური ზრდა

2010 წელს, მსოფლიოს უმრავლესმა ქვეყნებმა მოახერხეს მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის თანდათანობითი დაძლევა. კრიზისის დაძლევის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2009 წელს დაიწყო ეკონომიკის მხარდაჭერა და განახორციელა ეკონომიკის სტიმულირების 4.2 მლრდ ლარიანი პაკეტი, რამაც გარკვეული შედეგები 2009 წელსვე მოიტანა და წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკური ზრდა დაიწყო, თუმცა წლიური მონაცემებით ეკონომიკის ზრდა -3.9%-ით დაფიქსირდა.

ეკონომიკის სტიმულირების პაკეტის განხორციელება შესაძლებელი გახდა 2008 წლის ბრიუსელის ღონისძიება კონფერენციის შემდგომ მიღებული დახმარებებით. ღონისძიება კრედიტების მნიშვნელოვანმა ზრდამ და ეკონომიკის რეცესიამ გამოიწვია საბიუჯეტო დეფიციტის ზრდა, რაც 2009 წლის ბოლოსთვის მშპ-ს 9.2%-ის ოდენობით დაფიქსირდა.

2010 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობდა, რისი გათვალისწინებითაც მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი თავდაპირველად 2%-ს შეადგენდა, თუმცა წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპები გაცილებით მაღალი იყო და საბოლოოდ 2010 წელს, წინა წელთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6.4%-ით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 20.8 მლრდ ლარი შეადგინა.

ეკონომიკის ზრდის პარალელურად დამატებითი შემოსავლების მობილიზების მიუხედავად 2010 წელს არ განხორციელებულა ბიუჯეტის გადასახდელების მნიშვნელოვანი ზრდა, რის შედეგადაც კონვენციური საბიუჯეტო დეფიციტი 6.1%-მდე შემცირდა.

2010 წელს მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება 15.2%-ით, საფინანსო საქმიანობაში - 14.7%-ით, ვაჭრობაში - 14.1%-ით, ტრანსპორტში 13.1%-ით, სასტუმროების და რესტორნების დარგში - 12.9%-ით და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების დარგში - 10.4%-ით გაიზარდა. (ცხრილი 1).

მშპ-ს ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკის შემდეგმა დარგებმა: მრეწველობის 15.2%-ით ზრდის გამო მშპ 1.5%-ით გაიზარდა, ვაჭრობის გავლენა მშპ-ზე 1.8%-ია, ტრანსპორტის კი - 0.8%. მთლიანობაში, ამ სამმა დარგმა ეკონომიკის 6.4 პროცენტთან ზრდაში 4.2% შეიტანა.

2010 წელს 2009 წელთან შედარებით მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურაში ვაჭრობის წილი 1.4%-ით გაიზარდა და 14.5% შეადგინა, ხოლო სახელმწიფო მმართველობის და სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში შესაბამისად 2.4 და 0.8 პროცენტებით შემცირდა. (ცხრილი 2).

**ცალკეულ დარგში შექმნილი დამატებული
ღირებულების ზრდის ტემპი**

ცხრილი №1

დასახელება	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი
	რეალური ზრდის ტემპი (%)		
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	-4.4	-6.8	-1.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა	16.7	9.4	4.7
გადამამუშავებელი მრეწველობა	-1.5	-8.5	20.3
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	3.7	6.2	2.1
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	-4.5	-1.8	-3.7
მშენებლობა	-11.1	-3.1	7.6
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	11.8	-16.3	14.1
სასტუმროები და რესტორნები	4.9	-4.4	12.9
ტრანსპორტი	-9.5	0.5	13.1
კავშირგაბმულობა	15.8	-3.4	6.5
საფინანსო საქმიანობა	4.3	1.5	14.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	2.4	-4.1	8.6
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	3.2	2.8	2.6
სახელმწიფო მმართველობა	9.9	1.2	0.8
განათლება	13.1	4.7	2.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	6.8	8.7	3.1
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1.6	-13.0	10.4
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	5.8	2.7	9.5
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	26.3	-1.0	9.6

**მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა
დამატებული ღირებულების მიხედვით**


ცხრილი №2
(პროცენტი ჯამის მიმართ)

დასახელება	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	8.1	8.1	7.3
მრეწველობა	10.9	10.4	12.1
პროდუქტების გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	2.5	2.9	2.6
მშენებლობა	5.5	5.6	5.5
ვაჭრობა	14.1	13.0	14.5
სასტუმროები და რესტორნები	2.1	1.9	2.1
ტრანსპორტი	6.1	6.3	6.9
კავშირგაბმულობა	3.4	3.4	3.2
საფინანსო საქმიანობა	2.3	2.5	2.3
ოპერაციები უძრავი ქონებით, კვლევები, კომერციული საქმიანობა	3.5	3.5	3.9
სახელმწიფო მმართველობა	14.9	13.7	11.3
განათლება	3.5	4.2	4.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	4.4	5.7	5.8
სხვა ღარგები	5.2	6.8	5.3
წმინდა არაპირდაპირი გადასასადები	13.5	11.9	13.1
მთლიანი შიდა პროდუქტი	100.0	100.0	100.0

1.2. ფასები და ინფლაცია

2010 წლის დეკემბერში, 2009 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 11.2%-ით გაიზარდა. საშუალო წლიურმა ინფლაციამ კი 7.1% შეადგინა (ნახ. 1). 11.2 პროცენტთან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ერთმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა, სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა ფასების დონე 9.5 პროცენტით გაზარდა.

ნახ. 1. სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასების ინდექსების დინამიკა 2010 წელს (2009 წლის დეკემბერი=100)




2010 წლის დეკემბერში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასები 14.0%-ით გაიზარდა. მრეწველობის ცალკეული სფეროების მიხედვით ფასების ცვლილება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. სამთომომპოვებელ მრეწველობაში ფასების ღონე 33.0%-ით, გადამამუშავებელ მრეწველობაში 16.4%-ით, ხოლო ელექტროენერჯის, აირის და წყლის წარმოებისა და განაწილების სფეროში ფასები 3.8%-ით გაიზარდა.

1.3. ვალუტის კურსი

2010 წლის მანძილზე ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა (ნახ. 2). 2010 წლის ბოლოს ლარის კურსმა 1.773 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე, რაც 5.2%-ით მეტია 2009 წლის ბოლოსათვის არსებულ მაჩვენებელზე. ლარის საშუალო თვიური კურსი კი 5.0%-ით გაუფასურდა და 2010 წლის დეკემბერში 1.763 ლარი/აშშ დოლარის ღონეზე დაფიქსირდა. რაც შეეხება ლარის საშუალო წლიურ კურსს, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით იგი 6.7%-ით გაუფასურდა და 1.78 ლარი/აშშ დოლარს გაუტოლდა.

2010 წლის ბოლოს წინა წლის ბოლოსთან შედარებით, ლარის კურსი ევროს მიმართ 2.9%-ით გამყარდა და 2.35 ლარი შეადგინა ერთ ევროზე. ლარის საშუალო თვიური კურსი კი 5.2%-ით გამყარდა და 2010 წლის დეკემბერში 2.33 ლარი/ევროს ღონეზე დაფიქსირდა. რაც შეეხება ლარის საშუალო წლიურ კურსს, იგი 1.5%-ით გაუფასურდა და 2.36 ლარს გაუტოლდა ერთ ევროზე.


ნახ. 2. ლარის საშუალო თვიური ნომინალური სავალუტო კურსის ინდექსის დინამიკა 2010 წელს (2009 წლის დეკემბერი=100)



1.4. მონეტარული მაჩვენებლები

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2010 წლის ბოლოს 2009 წლის ბოლოსთან შედარებით სარეზერვო ფულის მასა 11.0%-ით გაიზარდა და 2 081.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ამავე დროს M3 ფართო ფულის აგრეგატის მოცულობამ 6 275.7 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, რაც 34.8%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში M2 ფულის მასა 28.0%-ით გაიზარდა და 2 738.6 მლნ ლარის ღონეზე დაფიქსირდა.

ინფლაციის, M2 და M3 ფულის ინდექსების დინამიკა
2010 წელს (2009წ დეკემბერი=100)



გასული წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 40.5%-ით, ხოლო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 47.3%-ით გაიზარდა. შესაბამისად იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. წინა წელთან შედარებით M3-ის მულტიპლიკატორი 0.5 პუნქტით გაიზარდა და 3.02-ს გაუტოლდა, M2-ის მულტიპლიკატორი კი 0.16 პუნქტით გაიზარდა და 1.32 შეადგინა.

2010 წელს, წინა წელთან შედარებით, 1.3%-ული პუნქტით შემცირდა დოლარიზაციის კოეფიციენტი და 72.2%-ს გაუტოლდა. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა ფულის მიმოქცევის სიჩქარეც. აღნიშნული მაჩვენებელი M3 ფულის აგრეგატის მიხედვით 0.5 ერთეულით შემცირდა და 3.3 შეადგინა. M2-თვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 7.6 გაუტოლდა, რაც 0.8 ერთეულით ნაკლებია 2009 წლის შესაბამის მნიშვნელობაზე.

2010 წელს 2009 წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.7%-ული პუნქტით შემცირდა და 22.5%-ს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში კი სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 3.7%-ული პუნქტით შემცირდა და 17.6% შეადგინა.

რაც შეეხება საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში აღნიშნული მაჩვენებელი 0.7%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 1.8%-ული პუნქტით და შესაბამისად 10.1% და 7.9% შეადგინა.

1.5. საგარეო სექტორი

2010 წელს, წინა წელთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 21.0%-ით გაიზარდა. აქედან, საქონლის ექსპორტი 40.0%-ით, ხოლო საქონლის იმპორტი კი 17.0%-ით გაიზარდა. 20.6%-დან 23.7%-მდე გაიზარდა ექსპორტის წილი საქონელბრუნვის მოცულობაში, 26.0%-დან 31.1%-მდე კი იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი, 2010 წლის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 16.5%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი (10.6%), უკრაინა (9.9%), გერმანია (5.4%), ჩინეთი (5.4%) და ა.შ.

ექსპორტში 15.4%-ით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე თურქეთი 13.6%-ით, მესამეზე აშშ 11.4%-ით, მეოთხეზე სომხეთი 10.1%-ით და მეხუთეზე უკრაინა 6.5%-ით.

იმპორტში პირველი ადგილი 17.4%-ით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან უკრაინა (11.0%), აზერბაიჯანი (9.1%), ჩინეთი (6.6%), გერმანია (6.5%) და ა.შ.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, ამ მიმართულებითაც გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 16.7%-ით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან მსუბუქი ავტომობილები (14.4%), შავი ლითონების ჯართი (6.9%), ნახევრადამუშავებული ოქრო (5.4%), აზოტოვანი სასუქები (4.6%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (4.5%), თხილი და სხვა კაკალი (4.0%), და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე 13.6%-ით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (6.1%), სამკურნალო საშუალებები (3.7%), ხორბალი (3.6%), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (2.6%) და ა.შ.


2.1. 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)

2010 წელს ეკონომიკურმა განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების ზრდაზე.

გადასახადების სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 4 867.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 821.0 მლნ ლარი) 101%-ია. გადასახადების საერთო მოცულობა გასულ წელთან შედარებით 10.9%-ით გაიზარდა, ხოლო მისი წილი შემოსავლების 83.0% შეადგენს. გადასახადების მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 23.4% შეადგინა.

გადასახადების უფრო სრულყოფილი ანალიზის მიზნით, საჭიროა განხილულ იქნას ცალკეული გადასახადის მობილიზებაში არსებული მდგომარეობა. ქვემოთ მოცემულია ნაერთი ბიუჯეტის სტრუქტურა 2010 წელს, რაც ნათელ სურათს იძლევა გადასახადებში ცალკეული გადასახადის წილის შესახებ.


გადასახადების წილი საქართველოს ნაერთ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში



საშემოსავლო გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 1 202.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 220.0 მლნ ლარი) 98.5%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 5.8%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 7.4%-ით გაიზარდა. გადასახადებში საშემოსავლო გადასახადის წილი 24.7%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 575.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (515.5 მლნ ლარი) 111.7%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 11.3%-ით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.8%-ია. გადასახადებში მოგების გადასახადის წილი 11.8%-ია.

საქართველოს ნაერთ ბიუჯეტის შემოსავალი საშემოსავლო და მოგების გადასახადიდან




დამატებული ღირებულების გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 2 203.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 196.0 მლნ ლარი) 100.3%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 7.4%-ით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 10.6%-ია. გადასახადებში დამატებული ღირებულების გადასახადის წილი 45.3%-ს შეადგენს. დამატებული ღირებულების გადასახადზე და მის სტრუქტურაზე გავლენა მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ ამოქმედდა იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური წესი, რომელმაც იმპორტიორებს მისცა უფლება დღგ იმპორტის ნაცვლად გადაიხადონ ტერიტორიაზე, რეალიზაციის დროს. რამაც უმნიშვნელო გავლენა იქონია დღგ-სგან მიღებულ ჯამურ შემოსავალზე, მაგრამ შეამცირა იმპორტზე მიღებული შემოსავლის ოდენობა და გაზარდა ტერიტორიაზე მობილიზებული თანხები.

– საგადასახადო ორგანოების სახით მობილიზებულ იქნა 1 061.6 მლნ ლარი, რომელიც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 048.0 მლნ ლარი) 101.3%-ია, ხოლო წინა წელთან შედარებით 28.6%-ით მეტია.

– საბაჟო ორგანოების სახით მობილიზებულ იქნა 1 141.4 მლნ ლარი, რომელიც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 148.0 მლნ ლარი) 99.4%-ია, ხოლო წინა წელთან შედარებით 6.9%-ით ნაკლებია.


საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავალი დამატებული ღირებულების გადასახადიდან




აქციზის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 560.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (574.0 მლნ ლარი) 97.7%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 26.5%-ით გაიზარდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.7%-ია. გადასახადებში აქციზის წილი 11.5%-ს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების სახით მიღებულ იქნა 165.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (170.0 მლნ ლარი) 97.6%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 45.2%-ით გაიზარდა.

– საბაჟო ორგანოების სახით მობილიზებულ იქნა 394.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (404.0 მლნ ლარი) 97.7%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 20.0%-ით გაიზარდა.



საბაჟო გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 70.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70.5 მლნ ლარი) 99.8%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.3%-ია. გადასახადებში საბაჟო გადასახადის წილი 1.4%-ს შეადგენს.



ქონების გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 191.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (190.0 მლნ ლარი) 100.9%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 19.5%-ით გაიზარდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.9%-ია. გადასახადებში ქონების გადასახადის წილი 1.3%-ს შეადგენს.

სხვა გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 63.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55.0 მლნ ლარი) 115.4%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.3%-ია.

საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში 2010 წელს საგადასახადო ორგანოების საგადასახადო შემოსავლის სახით მობილიზებულ იქნა 3 251.4 მლნ ლარი. საპროგნოზო მაჩვენებლის (3 189.8 მლნ ლარი) 101.9%.

საბაჟო ორგანოების საგადასახადო შემოსავლის სახით მობილიზებულ იქნა 1 616.1 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (1 631.2 მლნ ლარი) 99.1%.

2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები

მლნ ლარი

ღ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტიური მაჩვენებლები	პროცენტული საპროგნოზო მაჩვენებლები	პროცენტული წინა წელთან	პროცენტული მშპ-თან
სულ შემოსულობები (გადაღებულიაქციების ზრდის გარეშე)	6,046.5	6,152.0	101.7	107.5	29.6
შემოსავლები	5,777.3	5,865.8	101.5	111.4	28.2
გადასახადები	4,821.0	4,867.5	101.0	110.9	23.4
საშემოსავლო გადასახადი	1,220.0	1,202.1	98.5	107.4	5.8
მოგების გადასახადი	515.5	575.9	111.7	111.3	2.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,196.0	2,203.1	100.3	107.4	10.6
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	1,048.0	1,061.6	101.3	128.6	5.1
საბაჟო ორგანო	1,148.0	1,141.4	99.4	93.1	5.5
აქციზი	574.0	560.8	97.7	126.5	2.7
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	170.0	165.9	97.6	145.2	0.8
საბაჟო ორგანო	404.0	394.9	97.7	120.0	1.9
საბაჟო გადასახადი	70.5	70.4	99.8	196.0	0.3
ქონების გადასახადი	190.0	191.7	100.9	119.5	0.9
სხვა გადასახადი	55.0	63.5	115.4	104.1	0.3
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	46.3	54.0	116.7	104.3	0.3
საბაჟო ორგანო	8.7	9.4	108.3	102.4	0.0
გრანტები	464.6	472.1	101.6	121.5	2.3
სხვა შემოსავლები	491.8	526.2	107.0	108.0	2.5
არაფინანსური აქტივები	207.2	219.9	106.1	104.0	1.1
ფინანსური აქტივები	62.0	66.2	106.8	27.1	0.3
საგადასახადო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	3,189.8	3,251.4	101.9	116.6	15.6
საბაჟო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	1,631.2	1,616.1	99.1	101.0	7.8

გრანტების სახით მობილიზებულია 472.1 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (464.6 მლნ ლარი) 101.6%. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.3%-ია.

სხვა შემოსავლების სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 526.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (491.8 მლნ ლარი) 107%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.5%-ია. სხვა შემოსავლების წილი შემოსავლებში 9.0%-ს შეადგენს.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 219.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (207.2 მლნ ლარი) 106.1%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 1.1%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 66.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (62.0 მლნ ლარი) 106.8%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 0.3%-ია.

2.2. 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

გადასახადების სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 4 592.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 552.0 მლნ ლარი) 100.9%-ია. გასულ წელთან შედარებით გადასახადების მოცულობა 10.3%-ით გაიზარდა, მშპ-ს მიმართ მისი წილი 22.1%-ია, გადასახადების წილმა შემოსავლების 84.7% შეადგინა, მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 1 119.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 141.0 მლნ ლარი) 98.1%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 5.4%-ია. გადასახადებში საშემოსავლო გადასახადის წილი 24.4%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 575.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (515.5 მლნ ლარი) 111.7%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 11.3%-ით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.8%-ია. მოგების გადასახადის წილი გადასახადებში კი 12.5%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 2 203.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 196.0 მლნ ლარი) 100.3%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 7.4%-ით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 10.6%-ია. გადასახადებში დამატებული ღირებულების გადასახადის წილი 48.0%-ს შეადგენს.

აქციზის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 560.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (574.0 მლნ ლარი) 97.7%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 26.5%-ით გაიზარდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.7%-ია. გადასახადებში აქციზის წილი 12.2%-ს შეადგენს.

საბაჟო გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 70.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70.5 მლნ ლარი) 99.8%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.3%-ია. გადასახადებში საბაჟო გადასახადის წილი 1.5%-ს შეადგენს.

სხვა გადასახადის სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 63.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55.0 მლნ ლარი) 114.7%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.3%-ია. გადასახადებში სხვა გადასახადის წილი 1.4%-ს შეადგენს.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტური მაჩვენებლები	პროცენტულად საპროგნოზო მაჩვენებლებთან	პროცენტულად წინა წელთან	პროცენტულად მშპ-სთან
სულ შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)	5,575.6	5,634.2	101.1	106.2	27.1
შემოსავლები	5,363.6	5,421.5	101.1	110.3	26.1
გადასახადები	4,552.0	4,592.4	100.9	110.3	22.1
საშემოსავლო გადასახადი	1,141.0	1,119.0	98.1	106.2	5.4
მოგების გადასახადი	515.5	575.9	111.7	111.3	2.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,196.0	2,203.1	100.3	107.4	10.6
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	1,048.0	1,061.6	101.3	128.6	5.1
საბაჟო ორგანო	1,148.0	1,141.4	99.4	93.1	5.5
აქციზი	574.0	560.8	97.7	126.5	2.7
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	170.0	165.9	97.6	145.2	0.8
საბაჟო ორგანო	404.0	394.9	97.7	120.0	1.9
საბაჟო გადასახადი	70.5	70.4	99.8	196.0	0.3
სხვა გადასახადი	55.0	63.1	114.7	105.2	0.3
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	46.3	53.7	115.9	105.7	0.3
საბაჟო ორგანო	8.7	9.4	108.3	102.4	0.0
გრანტები	464.6	471.4	101.5	121.6	2.3
სხვა შემოსავლები	347.0	357.7	103.1	97.3	1.7
არაფინანსური აქტივები	150.0	146.8	97.9	91.5	0.7
ფინანსური აქტივები	62.0	65.9	106.3	29.0	0.3
საგადასახადო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	2,920.8	2,976.2	101.9	116.2	14.3
საბაჟო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	1,631.2	1,616.1	99.1	101.0	7.8

გრანტების სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 471.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (464.6 მლნ ლარი) 101.5%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.3%-ია.

სხვა შემოსავლების სახით 2010 წელს მობილიზებულ იქნა 357.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (347.0 მლნ ლარი) 103.1%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 1.7%-ია. სხვა შემოსავლების წილი შემოსავლებში 6.6%-ს შეადგენს, მათ შორის.

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	მლნ ლარი		
	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტიური მაჩვენებლები	პროცენტულობა საპროგნოზო მაჩვენებლებთან
სხვა შემოსავლები	347.0	357.7	103.1
შემოსავლები საკუთრებიდან	142.1	130.4	91.7
პროცენტები	17.8	20.7	116.3
დივიდენდები	114.3	101.6	88.8
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	47.0	34.2	72.9
შემოსავალი ერთეული ბანკის მოგებიდან	67.3	67.3	100.0
რენტა	10.0	8.1	81.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	83.6	83.2	99.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადებები	74.6	74.9	100.4
საბაჟო მოსაკრებელი	23.0	26.7	115.9
სალიცენზიო მოსაკრებლები	0.7	0.7	100.6
სანებართვო მოსაკრებლები	27.3	21.9	80.3
სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები	0.03	0.03	107.0
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	1.6	1.6	97.9
სახელმწიფო საქსპერტიზო მოსაკრებელი	0.005	0.005	108.5
სახელმწიფო ბაჟი	17.3	19.1	110.3
საკონსულო მოსაკრებელი	2.8	2.9	103.8
სატენდერო მოსაკრებელი	0.8	0.8	104.9
სამხედრო საეკონომიკური სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.6	0.6	112.8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.5	0.6	115.4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	9.0	8.3	91.7
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	5.0	4.8	96.2
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	4.0	3.4	86.0
სანაწილობრივი (ჯარიმები და საურაგები)	95.9	116.6	121.6
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	6.7	7.1	105.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	18.7	20.5	109.5

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შედგება:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 130.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (142.1 მლნ ლარი) 91.7%-ია. აქედან,

- პროცენტები – 20.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17.8 მლნ ლარი) 116.3%-ია.

- დივიდენდები – 101.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (114.3 მლნ ლარი) 88.8%-ია.

- რენტა – 8.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10.0 მლნ ლარი) 81.1%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 83.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (83.6 მლნ ლარი) 99.5%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 74.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (74.6 მლნ ლარი) 100.4%-ია, მათ შორის:

- საბაჟო მოსაკრებელი – 26.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23.0 მლნ ლარი) 115.9%-ია;

- სალიცენზიო მოსაკრებელი – 0.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.7 მლნ ლარი) 100.6%-ია;

- სანებართვო მოსაკრებელი – 21.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (27.3 მლნ ლარი) 80.3%-ია;

- სარეგისტრაციო მოსაკრებელი – 1.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1.6 მლნ ლარი) 97.9%-ია;

- სახელმწიფო ბაჟი – 19.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17.3 მლნ ლარი) 110.3%-ია;

- საკონსულო მოსაკრებელი – 2.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2.8 მლნ ლარი) 103.8%-ია;

- სატენდერო მოსაკრებელი – 0.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.8 მლნ ლარი) 104.9%-ია;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 0.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.6 მლნ ლარი) 112.8%-ია.

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 8.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9.0 მლნ ლარი) 91.7%-ია, მათ შორის:

- საქონლის რეალიზაციიდან – 4.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5.0 მლნ ლარი) 96.2%-ია;

- მომსახურების გაწევიდან – 3.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.0 მლნ ლარი) 86.0%-ია;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 116.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (95.9 მლნ ლარი) 121.6%-ია.

ნებაყოფლობითი ტრანსფერებიდან, გრანტების გარდა, მობილიზებულია 7.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6.7 მლნ ლარი) 105.0%-ია.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 20.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18.7 მლნ ლარი) 109.5%-ია.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 146.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (150.0 მლნ ლარი) 97.9%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 0.7%-ია. არაფინანსური აქტივების წილი სულ შემოსულობებში 2.6%-ს შეადგენს.

ფინანსური აქტივების კლებიდან (ვალუტა და დეპოზიტების გარეშე) მობილიზებულ იქნა 65.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (62.0 მლნ

ლარი) 106.3%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 0.3%-ია. ფინანსური აქტივების წილი სულ შემოსულობებში 1.2%-ს შეადგენს.

გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 16 433.4 ათასი ლარი, საიდანაც 15 440.7 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებას, ხოლო 992.7 ათასი ლარი – გაურკვეველი თანხები, რომლებიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.


თაზო III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიბნებები

2010 წლის განმავლობაში სამჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში, ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 325 522.5 ათასი ლარით და განისაზღვრა 7 085 226.5 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 6 972 343.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.4 %-ია.

საქართველოს 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები


„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 5 607 501.8 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ხარჯების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 535 775.7 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 98.7%-ია, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 466 466.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.7%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 965 494.8 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 031 010.6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 106.8%-ია, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 020 265.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ია.

2010 წლის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 338 853.0 ათასი ლარით. ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 343 389.6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 101.3%-ია, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 314 287.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.5%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 173 376.9 ათასი ლარით. ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 175 050.6 ათასი

ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 101.0%-ია, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 171 324.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.9%-ია.

საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებების მიერ გატარებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებების მიერ გატარებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 20.0 ათასზე მეტი პირი, საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ – 144.9 ათასამდე ოჯახი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ დევნილების ოდენობამ, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას – 4.0 ათასამდე ოჯახი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიიმართა 163.0 მლნ ლარამდე;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო პენსიების ზოგიერთი კატეგორიის ზრდა. კერძოდ, გაიზარდა ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 84 ლარიდან 129 ლარამდე, ხოლო ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია – 70 ლარიდან 80 ლარამდე.

- გრძელდებოდა სახელმწიფო პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების გაცემა. სულ ზემოაღნიშნული მიზნებისთვის მიიმართა 897.6 მლნ ლარი;

- სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის ხორციელდებოდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. აღნიშნულ პირთა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 78.6 ათასამდე პირი და სულ ამ მიზნით მიიმართა 20.2 მლნ ლარი;

- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების სახით გაიცა 69.3 მლნ ლარი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღნიშნული შემწეობების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 228.5 ათასზე მეტი პირი;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე მიმართულ იქნა 33.0 მლნ ლარამდე;

- ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით ხორციელდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიების დაზღვევა, კერძოდ: „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა 885.4 ათასამდე ბენეფიციარი, „კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში – 12.9 ათასამდე ბენეფიციარი, „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში – 2.9 ათასამდე ბავშვი, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში – 180-მდე ბენეფიციარი. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში სულ გადარიცხულ იქნა 147.3 მლნ ლარი. სახელმწიფოს მიერ,

აგრეთვე, დაზღვეულ იქნა საქართველოს საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალი, სულ 75.5 ათასი ბენეფიციარი, რაზედაც საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 17.9 მლნ ლარი;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ყველა თანამშრომელის დაზღვევაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 7.0 მლნ ლარამდე.

- დაფინანსდა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული და ორგანიზებულად განსახლებული ოჯახების ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური, აგრეთვე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების კომუნალური ხარჯები.

- შესწავლილ იქნა სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების 190-მდე ობიექტი, საიდანაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 139 ობიექტს;

- გაიცა დახმარებები რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ 300 ოჯახზე, თითოეულზე 10.0 ათასი ლლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით;

- ქთბილისში განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი 27-მდე კომპაქტურად განსახლების ობიექტის საკუთრებაში გადაცემის პროცესი იქ ფაქტობრივად მცხოვრებ და დამისამართებულ დევნილებზე;

- ქალაქებში გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში ამოქმედდა მიგრაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, სადაც დასაქმდნენ პროგრამა „ნიდი“-ს ფარგლებში გადამზადებული კადრები.

- 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის, პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებისათვის, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩაუტარდათ სასწავლო ტრენინგები. დაფინანსდა 73 საარჩევნო ოლქი და ამ ოლქებში შემავალი 3 694 საარჩევნო უბანი. აღნიშნული დაფინანსება მოიცავდა ისეთ ხარჯებს, როგორცაა: საარჩევნო ოლქებისა და უბნების მოწყობის, ინვენტარისა და გადაზიდვის ხარჯები, ოლქების მიერ დაქირავებული დამხმარე და ტექნიკური პერსონალისა შრომის ანაზრაულება და არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქების მიმდინარე რემონტის ხარჯები.

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებზე გაცემულია 14.3 ათასზე მეტი ვაუჩერი და საანგარიშო პერიოდში საატესტაციო გამოცდების შედეგად სერთიფიკატი მოიპოვა 1 300-მდე პედაგოგმა;

- საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქართველოს საჯარო სკოლებში მუშაობდა საზვარგარეთიდან ჩამოსული 377 ინგლისურენოვანი სპეციალისტი, რომლებმაც უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლების დონის ამაღლება;

- საჯარო სკოლების 3000-მდე პირველკლასელ მოსწავლეს და მათ დამრიგებლებს დაურიგდათ ნებბუკები, რომლებშიც ჩატვირთულია სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამები, რათა პირველკლასელებს გაუადვილდეთ სასწავლო პროგრამის დაძლევა და ჩამოუყალიბდეთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები;

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ამოქმედდა სკოლის მანდატურის ინსტიტუტი და 290 საჯარო სკოლაში გადანაწილდა 850-მდე მანდატური;

- საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა წინა წლებში გამარჯვებული მიმდინარე სამეცნიერო პროექტები, ასევე ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსში გამარჯვებული პროექტები და მოკლევადიანი ინდივიდუალური სამეცნიერო სამოგზაურო გრანტები;
- საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების წევრთა, პერსპექტიულ სპორტსმენტა სტიპენდიების“ პროგრამით ხორციელდება ქვეყნის წამყვან სპორტსმენტა და მწვრთნელთა მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა. სტიპენდიებს ღებულობს 500-მდე სპორტსმენი და მწვრთნელი. „ვეტერან სპორტსმენტა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში ვეტერან სპორტსმენტა და სპორტის მუშაკთა მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 180-მდე ვეტერანმა სპორტსმენტა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიებს იღებდა 31 სახელოვანი სპორტსმენი, თითოეული 1000 ლარის ოდენობით;
- საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს საელჩოებმა ინდოეთში, ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, პორტუგალიაში, აგრეთვე დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოში გაიხსნა სექცია (ქ. დუბლინი) და სლოვაკეთის რესპუბლიკაში – საქართველოს საელჩოს სექცია (ქ. ლიუბლიანაში);
- ღვინისა და ვაზის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 2010 წელს საქართველომ უმასპინძლა 33-ე საერთაშორისო ღვინის კონგრესს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე, ქართული ღვინის ცნობადობის ზრდას და პოპულარიზაციას. საანგარიშო პერიოდში კონგრესის სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მიიმართა 1 406.0 ათასი ლარი.
- გურჯაანისა და თელავის რაიონებში მიმდინარეობდა არსებული ვენახების გათავისუფლება ჰიბრიდული ვაზის ნარგაობებისაგან, შესაბამისი კომპენსაციის მიღებით ერთ ჰექტარ ფართობზე 1 000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში გამოთავისუფლებულია სულ 192.6 ჰექტარი ფართობი. მათ შორის, გურჯაანის რაიონში 130.3 ჰექტარი, ხოლო თელავის რაიონში 62.4 ჰექტარი, რაზედაც გაცემულ იქნა შესაბამისი კომპენსაციები;
- პროგრამის – „2010 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“ ფარგლებში ყურძნის მოსავლის შეუფერხებლად რეალიზაციის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მოსახლეობის მიერ ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებზე ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით თითოეულ კილოგრამ რქაწითელის ჯიშის ყურძენზე გათვალისწინებულ იქნა 0.15 თეთრი, ხოლო საფერავზე – 0.25 თეთრი. 22 476.8 ტონა ყურძენზე სულ გაცემული იქნა 10 190 ვაუჩერი 4 739.3 ათასი ლარის ღირებულებით, მათ შორის: 8 799.2 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენზე – 2 930 ვაუჩერი 1 319.9 ათასი ლარის ღირებულებით, ხოლო 13 677.6 ტონა საფერავის ჯიშის ყურძენზე – 7 260 ცალი ვაუჩერი 3 419.4 ათასი ლარის ღირებულებით;
- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და ღუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული 9 709.5 ათასი მ³ ბუნებრივი აირის ღირებულება 4 426.7 ათასი ლარის ოდენობით;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (KfW, EIB, EBRD), რომლის ფარგლებში განხორციელდება 500 კვ ელექტროგადამცემი

ხაზის მშენებლობა. 2010 წლის განმავლობაში აღნიშნულ პროექტზე მიმართულ იქნა 157.1 მლნ ლარი;

- ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის, მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვის მიზნით საანგარიშო პერიოდში მიიმართა 678.9 ათასი ლარი;

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართა 546.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობაზე მიმართულ იქნა 99.1 მლნ ლარი;
- ✓ დაიწყო ქ. ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა, რაზედაც მიიმართა 24.8 მლნ ლარი;
- ✓ სამცხე-ჯავახეთში გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 170.2 მლნ ლარი;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებები - 249.8 მლნ ლარი;

- რეგიონებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციაზე მიმართულ იქნა 58.5 მლნ ლარი;

- მსოფლიო ბანკის (WB) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული იქნა 92.0 მლნ ლარამდე;

- 2009 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე მიმართული იქნა 8.6 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიკა 389 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 295.2 ათასი ლარი.

- საანგარიშო პერიოდში ყველა რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატში შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია არის საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისათვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რამაც გამოიწვია რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატების დაფინანსების ზრდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური

კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 996 382.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა – 993 483.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 18.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 898 625.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 881 586.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 16.1%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 53 405.9 ათასი ლარი;

მივლინებები – 48 470.0 ათასი ლარი;

ოფისის ხარჯები – 188 057.0 ათასი ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯები – 12 746.9 ათასი ლარი;

კვების ხარჯები – 84 707.8 ათასი ლარი;

სამედიცინო ხარჯები – 7 800.5 ათასი ლარი;

რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები – 37 630.9 ათასი ლარი;

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 106 590.1 ათასი ლარი;

სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები – 42 312.4 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 299 865.2 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 204 131.1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 200 663.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.7%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 211 566.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 196 306.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 92.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.6%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- პროფესიული განათლება, უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა და სამეცნიერო კვლევების პროგრამა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 34 220.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.5%-ს შეადგენს;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სახელოვნებო განათლება, ხელოვნების და სპორტის განვითარება – საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 58 930.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს;
- საქართველოს ენერგოსისტემა – აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 4 595.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 77.4% შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 099 637.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (1 102 862.9 ათასი ლარი) 99.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 20.1%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 481 067.6 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის

(1 483 799.7 ათასი ლარი) 99.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 27.1%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სახელმწიფო პენსიები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 843 178.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.
- სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 40 655.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.
- მონეტიზებული სოციალური შეღავათები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 19 989.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.
- სოციალური დახმარებები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 157 013.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.
- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 68 441.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 638 407.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 613 721.6 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 96.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 11.2%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- რეგიონებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ინვესტირება („ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ (MCC) ფარგლებში რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი) – აღნიშნული მიზნით მიიმართა 47 631.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89.3%-ს შეადგენს;
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 8 669.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87.5%-ს შეადგენს;
- დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია და საოჯახო ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა – აღნიშნული მიზნით მიიმართა 29 897.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 83.9%-ს შეადგენს;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება – აღნიშნული მიზნით მიიმართა 325 156.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დაზღვევა – აღნიშნული მიზნით მიიმართა 17 935.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამები და გრანტები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 20 168.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ს შეადგენს;
- პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში საზღვარგარეთ ქართველი სტუდენტების სასწავლებლად გამგზავრების დაფინანსება – აღნიშნული მიზნით მიიმართა 5 145.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.7%-ს შეადგენს;

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა – აღნიშნული მიზნით მიიმართა 4 024.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს;
- შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (EBRD, EIB, KFW) – აღნიშნული მიზნით მიიმართა 15 460.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- პროგრამა „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ფარგლებში ყურძნის მოსავლის შეუფერხებლად რეალიზაციის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მოსახლეობის მიერ ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებზე ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით გაწეული კომპენსაციები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 4 739.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.5%-ს შეადგენს;

2010 წლის ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჯრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 800 555.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 827 224.0 ათასი ლარი) 98.5%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 27.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 355 030.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (366 268.1 ათასი ლარი) 96.9%-ია;

- საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 22 538.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 639.3 ათასი ლარი) 95.3%-ია;
- ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 33 419.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (33 675.8 ათასი ლარი) 99.2%-ია;
- გამოყენებით კვლევებზე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 99.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ია;
- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 200 992.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.2%-ია;
- საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 1 151 275.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 161 290.5 ათასი ლარი) 99.1%;
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 37 201.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (37 672.2 ათასი ლარი) 98.7%-ია;

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 672 043.1 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 671 217.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.9% ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10.3%;

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 835 993.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 832 703.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12.8%; მათ შორის:

- პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 586 325.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (587 558.8 ათასი ლარი) 99.8%;
- სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 64 851.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (65 361.1 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 113 364.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (114 085.2 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 113.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (113.5 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 68 048.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (68 875.2 ათასი ლარი) 98.8%-ს შეადგენს.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის გეგმამ შეადგინა 794 314.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 777 618.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12.0%. მათ შორის:

- საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 25 920.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (29 946.8 ათასი ლარი) 86.6%;

- სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 27 100.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (34 101.3 ათასი ლარი) 79.5%-ს შეადგენს.

- სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 29 733.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 682.7 ათასი ლარი) 91.0%-ს შეადგენს.

- ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 546 581.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (539 687.8 ათასი ლარი) 101.3%;

- ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 100 534.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (108 570.6 ათასი ლარი) 92.6%;

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში კვლევების და განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 7 254.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 376.8 ათასი ლარი) 98.3%-ს შეადგენს.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 40 493.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (41 948.9 ათასი ლარი) 96.5%-ს შეადგენს.

გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის გეგმამ შეადგინა 19 043.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 18 028.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.3%. მათ შორის:

- გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 3 806.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 824.0 ათასი ლარი) 99.5%;

- ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4 882.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 526.3 ათასი ლარი) 88.3%-ს შეადგენს.

- გარემოს დაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 991.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (994.2 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს.

- გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 8 347.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 698.9 ათასი ლარი) 96.0%-ს შეადგენს.

35 13 07 – „ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა – ფაზა II (KFW)“ ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოიწვია იმან, რომ რეფერენს-ლაბორატორიის მშენებლობა დაიწყო დაგეგმილთან შედარებით გვიან, რაც თავის მხრივ დაკავშირებული იყო ტენდერის დაგვიანებით ჩატარებასთან.

36 03 06 – ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიების დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება ანაზღაურებულ იქნა აირის ფაქტიური ხარჯვით.

36 04 04 და **36 04 05** – რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – I პროექტის (ალავერდი) (KFW) და ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამის (KFW) დაზუსტებულ გეგმებსა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ პროექტებში ძირითადი სამუშაოების შესრულება დასრულებულია 2010 წელს, ხოლო შესრულებული სამუშაოებისათვის თანხების ანაზღაურება დონორების მიერ განხორციელდება 2011 წელს;

36 04 06 – ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (ხულონის კომპონენტი) (WB) დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ ანაზღაურება განხორციელდა შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯის მიხედვით. ხოლო დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ პროექტის დამთავრებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა გარკვეული კორექტივების შეტანა საბოლოო ანგარიშსწორებების განსახორციელებლად;

36 04 08 - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შავი ზღვის ელექტროგადამცემი (500 კვ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესწავლის პროექტის ფარგლებში დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ პროექტი დასრულდა 2009 წელს, ხოლო 2010 წელს გადახდილ იქნა მხოლოდ

ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ანგარიშების თანადაფინანსების თანხები;

37 01 02 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2010 წლის 1 სექტემბრიდან სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანოებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება.

37 01 04 – პროგრამის „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ (სინგაპურში) ღვინის საერთაშორისო გამოფენზე „Wine for asia 2010“ მონაწილეობის მიღების ორგანიზების დასაფინანსებლად საჭირო თანხამ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად შეადგინა უფრო ნაკლები, ვიდრე გათვალისწინებული იყო „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით;

37 01 05 – „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“ პროგრამის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან, (შიდა გადანაწილების გზით) დაიფარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული თანამშრომლების საკომპენსაციო თანხები;

37 01 06 – პროგრამის „სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“ დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა გათვალისწინებული იყო სამელიორაციო შპს-ების მოთხოვნის შესაბამისად მათთვის სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით სესხის გასაცემად. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ შპს-ებს არ მოუმართავთ სამინისტროსათვის მათზე სესხის გაცემის თხოვნით;

37 02 02 – პროგრამის „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“ დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2010 წლის განმავლობაში არ ყოფილა მოწამვლების ხშირი შემთხვევა და შესაბამისად არ დადგა საჭიროება გეგმით გათვალისწინებული ნიმუშების სრულყოფილი შესყიდვებისა და ანალიზისის განხორციელების;

37 02 03 – პროგრამის „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებების“ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ღონისძიების ორგანიზაციის (FAO-s) მიერ წლის მეორე ნახევარში გადმოცემულ იქნა ჰუმანიტარული ვაქცინა, რის გამოც ეროვნული სამსახურის მიერ აღარ მოხდა ვაქცინაციისთვის საჭირო დამზარე მასალების შექმნა. ხოლო, პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია ბიოპრეპარატების შექმნაზე გამოცხადებული ტენდერის პირველ ეტაპზე უარყოფითი შედეგით დამთავრებით, რაც შემდეგ ჩაითვალა არშემდგარად, რის გამოც ვერ განხორციელდა პროგრამით გათვალისწინებული პრეპარატების შესყიდვა;

37 02 04 – პროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედობა“ დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ ამერიკული თეთრი ჰეპელას გავრცელების არეალის ინტენსივობიდან გამომდინარე არ გახდა საჭირო შტატგარეშე მოსამსახურეთა აყვანა ღონისძიების გასატარებლად, ამასთან კალიების შემოსევის აღმკვეთი ღონისძიებები ჩატარებულ იქნა ავიაციის გამოყენებით, რამაც „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პროგრამისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებზე ნაკლები დანახარჯები მოითხოვა;

37 03 01 – სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტის“ აპარატის დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ისრაელში და ბულგარეთში ქართული ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციაზე შეტანილი გასაჩივრების ხარჯების გაწევა აღარ შეიქმნა საჭირო, ვინაიდან პროცესი დამთავრდა დეპარტამენტის სასარგებლოდ;

37 03 04 – პროგრამის „ღვინის ლაბორატორიული კვლევა“ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პროგრამის ღირებულება იქნა შემცირებული, ამასთან გამოცხადებული ტენდერი შეწყვეტილი იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ. ხოლო პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში საჭიროებიდან გამომდინარე აღებულ იქნა მხოლოდ 33 ნიმუში;

37 03 05 – პროგრამის „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ქ. ლონღონში ქართული კუთხის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომლის განხორციელებაც გადატანილ იქნა 2011 წლისათვის. შემოდინიშნულიდან გამომდინარე დარჩენილი ეკონომია მიმართულ იქნა პროგრამა „მსოფლიო ღვინის კონგრესის“ დასაფინანსებლად;

37 03 13 – პროგრამის „ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებები“ დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დეპარტამენტ „სამტრესტის“ მიერ კომპენსაცია გაცემულ იქნა მხოლოდ იმ ვენახების შესაკუთრებზე, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი მათ სარგებლობაში არსებული ჰიბრიდული ჯიშის ვენახების ნარგაობების გაშენებული ფართობების გამოთავისუფლებაზე;

37 05 01 – „სოფლის განვითარების პროექტის (WB, IFAD)“ დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საკონკურსო გრანტების სისტემა არ ამოქმედება. არ მოხდა საკონკურსო გრანტების საოპერაციო სახელმძღვანელოს დამტკიცება და შესაბამისად ვერ მოხერხდა აღნიშნული პროგრამის განხორციელება;

37 05 03 – „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის (IFAD)“ დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დაფინანსება ღონისძიების მიერ განხორციელდა 2011 წლის იანვარში;

37 05 04 – „ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტის (WB)“ დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი იყო რამოდენიმე სახის საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც ვერ განხორციელდა;

37 05 05 – სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროექტის (WB, IFAD) დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროექტის ფარგლებში თანხის პირველი ტრანშის ჩამორიცხვა მოხდა 2010 წლის 30 დეკემბერს, შესაბამისად თანხების ათვისება ვერ მოხერხდა;

38 03 01 - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი და დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობები გამოწვეულია იმით, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურებისათვის საექსპერტო დასკვნების მომზადება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განახორციელა საკუთარი საკადრო რესურსებით;

38 03 04 - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია საქართველოს მოსახლეობის შემოსულობების განაღდებაზე დაბალი მოთხოვნით;

38 06 02 - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების შესყიდვის განხორციელების შედეგად დარჩენილი თავისუფალი რესურსით;

38 12 03 - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისგან დაცვის ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო მავნებლების საწინააღმდეგო შესაწამლი ნივთიერებების შესყიდვა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე ვერ იქნა მოძიებული;

38 15 07 – ხარაგულის სათემო ტყის საცდელი პროექტის (KFW) დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ დროულად ვერ განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება და შესაბამისად, თანხა არ იქნა გადარიცხული;

39 01 – საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატში დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის განსხვავება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს აპარატისთვის საქართველოს ნაკრების გუნდების წევრთა ფულადი პრიზებით დაჯილდოების მიზნით თანხის გამოყოფით;

39 02 07 – „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის განსხვავება გამოწვეულია შპს „მონიოს“ კუთვნილი საცურაო აუზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით;

39 04 01 – პროგრამა „პატრიოტის“ ფარგლებში დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის განსხვავება ძირითად გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან საზაფხულო ბანაკ „პატრიოტში“ პოლონელი, ბელორუსი, მოლდოველი, სომეხი და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების მიღების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხებით.


თავი VI

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები


საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები

საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციებისთვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 37 526.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 36 318.3 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 470.6 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციებისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 4.1%.



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია


საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 18 876.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 17 347.4 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 873.3 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 93.1%, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 6.9%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი


საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 23 652.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 23 555.6 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 6 274.9 ათასი ლარით აღემატება.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.6%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს მთავრობის კანცელარია


საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 9 518.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 9 404.4 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 635.6 ათასი ლარით აღემატება.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 3.9%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს კონტროლის პალატა


საქართველოს კონტროლის პალატისთვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 12 629.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 12 287.6 ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 292.8 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს კონტროლის პალატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 61.1%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 38.9%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.07%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

INTOSAI-ს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური განვითარება, დამოუკიდებელ მაღალპროფესიულ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება

- ქ. ვარშავაში ევროპის სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუციათა ორგანიზაციის (EUROSAI) ეგიდით გაიმართა სემინარი თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიული ინტეგრაციის პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებმა.
- გაიმართა სემინარი თემაზე: „კონტროლის პალატის ახალი როლი და მისი ურთიერთობა პარლამენტთან“. სემინარის ორგანიზატორები საქართველოს კონტროლის პალატა და საერთაშორისო ორგანიზაცია SIGMA (Support for Improvement in Governance and Management) იყვნენ.
- საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ესპანეთის აუდიტორულ სასამართლოში. ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრებისას მონაწილეები გაეცნენ ესპანეთის აუდიტორული სასამართლოს

გამოცდილებას წარმომადგენლობით ორგანოებთან ურთიერთობის, თვითმმართველობების საქმიანობის აუდიტის, აუდიტორული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების, აგრეთვე აუდიტისას თანამედროვე პროფილური საინფორმაციო ტექნოლოგიების (CAGE, PROFOR, OPERA, TEAMMATE, IDEA) გამოყენების სფეროებში.

- გაიმართა სამუშაო შეხვედრა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) რეგიონალურ ბიუროსთან ერთად. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს კონტროლის პალატის ანგარიშგების ხარისხისა და აღიარების გაუმჯობესების საკითხები. ასევე გაიმართა სემინარი თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემოწმება გერმანიაში - შედარებითი აუდიტის პრაქტიკა“.

- ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის სამწლიან მემორანდუმს საქართველოს კონტროლის პალატასა და შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისს შორის.

- განახლდა მუშაობა კონტროლის პალატის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით. პალატის მმართველობითი გუნდი საქართველოს შეფასების ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც შემუშავებული საქართველოს კონტროლის პალატის ხედვის, მისიის, სტრატეგიული მიზნების, პირველი სტრატეგიული გეგმის შესაბამისი შედეგები და საქმიანობის განხილვა ჩატარდა.

- საერთაშორისო ორგანიზაცია SIGMA-ს (Subcpport for improvement in governance end management) ეგიდით საქართველოს კონტროლის პალატას ლატვიის ეროვნული აუდიტორული ოფისის წარმომადგენელი ეწვია, რომელმაც ჩაატარა სემინარი თემაზე: „საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით.

- ქ. ქუთაისში, საქართველოს კონტროლის პალატის სათაო ოფისში ჩატარებული აუდიტორ-სტაჟიორთა სასწავლო პროგრამის ფარგლებში 25 სტაჟიორმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა შერჩევა მოხდა კონტროლის პალატის მიერ 2009 წელს გამართულ აუდიტორ-სტაჟიორთა კურსების მსურველთა სარეზერვო ბაზიდან. მათ შორის საუკეთესო 8 აუდიტორ-სტაჟიორი დასაქმდა საქართველოს კონტროლის პალატაში.

- გაიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EVROSAI) ფარგლებში შექმნილი სპეციალური ჯგუფის შეხვედრა. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობის სფეროა „სტიქიური უბედურობების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრების აუდიტი“.

- საქართველოს კონტროლის პალატას ვიზიტით ლატვიის სახელმწიფო აუდიტორული ოფისის გენერალური აუდიტორი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ლატვიელ კოლეგებთან ერთად სამი სამინისტროს ერთობლივი ფინანსური აუდიტის ჩატარებას ითვალისწინებს. ხელშეკრულების თანახმად, SAO (ლატვიის სახელმწიფო აუდიტორული ოფისი) კონტროლის პალატაში სამ ტრენერს მოავლენს, რომლებიც პალატის თანამშრომლებისათვის ფინანსურ აუდიტში პრაქტიკულ ტრენინგებს ჩაატარებენ.

- საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია სტუმრად ეწვია შვედეთის სახელმწიფო აუდიტორულ ოფისს (SNAO-ს) უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მენეჯმენტის თანამედროვე გამოცდილების გაზიარების მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შვედეთის სახელმწიფო აუდიტორულ ოფისში გაიმართა პრეზენტაციები

თემაზე: „უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მენეჯმენტი“. 9 სექტემბერს საქართველოს კონტროლის პალატას შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის (SNAO-ს) წარმომადგენელი ეწვია, რომელმაც ჩაატარა სემინარები თემაზე „სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური კონსოლიდირებული ანგარიშის აუდიტი“.

- საქართველოს კონტროლის პალატას გერმანული ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) წარმომადგენლები ეწვივნენ და ჩაატარეს სამუშაო შეხვედრები თემაზე: „კონტროლის პალატის შესახებ კანონის სამართლებრივი ანალიზი“. ვიზიტის ძირითადი მიზანია საქართველოს კონტროლის პალატის დახმარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტის მეთოდოლოგიის განვითარებაში.

- საქართველოს კონტროლის პალატას შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტი ეწვია. სტუმრობის მიზანი გახლდათ კონტროლის პალატაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მხრივ არსებული მდგომარეობის შესწავლა და ამ მიმართულებით სტრატეგიული გეგმის შემუშავება. აღნიშნული შეხვედრა პროექტის „საქართველოს კონტროლის პალატასა და შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისს შორის ინსტიტუციონალური განვითარების თანამშრომლობის“, ფარგლებში განხორციელდა.

- საქართველოს კონტროლის პალატას შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის (SNAO - ს) წარმომადგენლები რამოდენიმეჯერ ეწვივნენ და გამართეს შიდა და გარე კომუნიკაციების შესახებ შეხვედრები. შეხვედრებზე განხილულ იქნა იმ რეკომენდაციების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებზეც შვედური და ქართული მხარე 2010 წლის მარტის სამუშაო შეხვედრაზე შეთანხმდნენ. ასევე გაიმართა შეხვედრები ეფექტიანობის აუდიტის შესახებ.

- საქართველოს კონტროლის პალატის თბილისის ოფისში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) პროექტის – „საქართველოს კონტროლის პალატის მხარდაჭერის“ ბიუროს პრეზენტაცია გაიმართა.

სახელმწიფო ფინანსების მართვის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გამხორციელებულ იქნა 119 აუდიტი, მათ შორის: 48 ობიექტზე ჩატარდა ფინანსური აუდიტი, 7 ობიექტზე – შესაბამისობის აუდიტი, 37 ობიექტზე – ფინანსური/შესაბამისობის აუდიტი, 2 ობიექტზე – კომპლექსური აუდიტი და 25 ობიექტზე ჩატარდა თემატური აუდიტი.

- 2010 წლის 12-13 მაისს საქართველოს კონტროლის პალატის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში გერმანულმა ორგანიზაციამ GTZ (გერმანული ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება) საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისათვის გამართა სემინარი თემაზე: „ეფექტიანობის კვლევა“.

- ქ. ქუთაისში გაიხსნა საქართველოს კონტროლის პალატის ახალი სათაო ოფისი.
- საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა 2009 წლის ანგარიში „საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის შესახებ“.

- ქ. რიგაში გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ხელს შეუწყობს ორ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ორგანიზაციების პროფესიული გამოცდილების გაზიარებას.


- ორგანიზაცია GTZ-ის მიერ, საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისათვის ქ. ბათუმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ეფექტიანობის კვლევა საბიუჯეტო ორგანიზაციებში - სამართლებრივი საფუძვლები, საპილოტო აუდიტის მომზადება“.

- საქართველოს კონტროლის პალატასა და რუმინეთის საანგარიშო სასამართლოს (რუმინეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანო) შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს კონტროლის პალატასა და რუმინეთის საანგარიშო სასამართლოს განავითარონ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები და ორმხრივი თანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ფინანსური რესურსების აუდიტის სფეროში შეხვედრულებების, ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია


საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 41 046.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 40 539.1 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 27 895.1 ათასი ლარით აღემატება. განსხვავება გამოწვეულია 2010 წელს დაფინანსებული არ ჩვენების გამო

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 3.6%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო


საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასივნებებმა შეადგინა 2 667.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 2 642.0 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 81.0 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასივნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.3%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 3.7%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს უზენაესი სასამართლო


საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 955.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 5 972.0 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 15.3 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.2%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 1.8%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საერთო სასამართლოები


საერთო სასამართლოებისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 33 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 32 458.0 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4 461.9 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 93.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 6.4%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 987.1 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 95.7 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 94.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 6.0%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2010 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნა, მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის დანერგვა და მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების დახვეწა.

- სექტემბრიდან განხორციელდა ქუთაისის საქალაქო, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოების ლიკვიდაცია და შეიქმნა ქუთაისის საქალაქო სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 3 მაგისტრატი მოსამართლე;

- დასრულდა მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარემონტო სამუშაოები და სასამართლო აღიჭურვა საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. ასევე დასრულდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოსა და ონისა და გურჯაანის მაგისტრატი სასამართლოების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მიმდინარეობდა ხარაგაულის მაგისტრატი სასამართლოს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

- ჩატარდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. ასევე ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსი. კონკურსის შედეგად იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა 6 იუსტიციის მსმენელი;

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის გადამზადების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 56 სემინარი მოსამართლეებისათვის და სასამართლოს აპარატის მოხელეთათვის. სემინარები შეეხებოდა სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხორციელებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას,

გადახდისუნარიობას, საკორპორაციო და დელიქტურ სამართალს, საარჩევნო კანონმდებლობას, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, სასამართლოს მენეჯმენტსა და საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვას, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთასა და გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვის თავისებურებებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებულ სხდომის აუდიო ჩაწერას;

სასამართლოს მენეჯმენტის გაუმჯობესება, საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების სრულყოფა.

- 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შესაგებლის განახლებული ფორმები. სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ აღნიშნული ფორმებით. ახალი ფორმები გახდა კიდევ უფრო სრულყოფილი, რაც შესაძლებელს გახდის მხარეთა უფლებების დაცვასა და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

- შემუშავებულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილებათა ფორმები. ფორმაში კონკრეტულადაა მითითებული ის მონაცემები, რასაც უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილების თითოეული (შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო) ნაწილი. ფორმით ასევე გათვალისწინებულია თანმიმდევრობა, რომელიც გადაწყვეტილების თითოეული ნაწილის ფარგლებში დაცული უნდა იქნეს მისი დაწერის დროს. აღნიშნული ფორმების მიზანია, რომ მხარეთათვის უფრო მარტივი და ადვილად აღქმადი გახდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი.

- საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების სრულყოფისათვის გრძელდებოდა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის შექმნაზე მუშაობა. ყველა ტიპის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობდა საქმის წარმოების პროგრამის ტესტირება. ამასთან ეტაპობრივად ხდება საერთო სასამართლოების ახალ სისტემაში ჩართვა. სისტემაში უკვე ჩართულია ქუთაისის სააპელაციო, რუსთავისა და ბათუმის საქალაქო, მცხეთის, თეთრიწყაროს, ბოლნისისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოები.

- თბილისის სააპელაციო სასამართლოში ამოქმედდა საქმეთა მართვის პროგრამა (CMP). სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსებულია აღნიშნული პროგრამის მოდული, საიდანაც ნებისმიერ პირს შეუძლია შევიდეს თავის საქმეში და სრულად მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია, მათ შორის სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და სხდომის ოქმების ელექტრონული ასლები, საქმეთა მართვის პროგრამასთან ინტეგრირებულია მოკლე ტექსტური შეტყობინებების პროგრამა, რომლის მეშვეობით დაინტერესებული პირი დროის რეალურ რეჟიმში იღებს ინფორმაციას მის საქმესთან დაკავშირებით დაფიქსირებული ყველა სიახლის შესახებ.

- შეიქმნა „ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც მიზნად ისახავს მაქსიმალურად მარტივი ენით აუხსნას იურიდიული განათლების არმქონე პირებს (ძირითადად მოქალაქეებს, რომლებიც პირადად აწარმოებენ საქმეს სასამართლოში) საკვანძო სამართლებრივ ცნებათა არსი. ლექსიკონი ასევე დაეხმარება სასამართლო მოხელეებს, სრულად მიიტანონ მოქალაქეებზე მისთვის განკუთვნილი ინფორმაცია. ლექსიკონში განმარტებულია 400-ზე მეტი იურიდიული ცნების მნიშვნელობა.


- თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიქმნა სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (ELL), რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო მოხელეებს მათი

საქმიანობისათვის აუცილებელი წიგნების ფონდით. ბიბლიოთეკის შექმნა ინფორმაციის მოძიების კომფორტულობის, სისწრაფისა და სიმარტივისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან სასამართლო მოხელე შეძლებს სამუშაო ოთახიდან გაუსვლელად, მისი პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით მოიპოვოს ის წიგნი, რომელსაც კონკრეტულ მომენტში საჭიროებს. ბიბლიოთეკისათვის დაიწერა სპეციალური პროგრამა, რაც მაქსიმალურად მოსახერხებელს ხდის სასურველი დასახელებისა თუ თემატიკის წიგნის მოძიებას.


სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 24 710.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 24 589.1 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 22 859.3 ათასი ლარით. აღნიშნული მატება ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2010 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გამოყოფილი იქნა სახსრები ანაკლია-განმუხურის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 12.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 87.4%.



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში


ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 996.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 996.3 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 404.3 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 67.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 32.6%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში

ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 296.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 243.3 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 529.9 ათასი ლარით.



ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 78.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 22.0%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში


ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 252.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 195.5 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 486.8 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 72.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 27.3%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში


დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 056.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 052.5 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 482.9 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 68.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 32.0%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში


ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 038.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 005.1 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 498.0 ათასი ლარით აღემატება.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 67.2%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 32.8%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში


ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 133.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 121.9 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 478.7 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 64.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 36.0%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, ღმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში


ბოლნისის, გარდაბნის, ღმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის საანგარიშო პერიოდში 2010 წელს დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 1 198.3 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 542.1 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ბოლნისის, გარდაბნის, ღმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 70.2%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 29.8%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში


გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 057.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 011.2 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 455.1 ათასი ლარით.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 72.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 27.1%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი


ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 2 300.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 2 237.0 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 395.4 ათასი ლარით აღემატება.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 3.3%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

NATO-ში ინტეგრაციის კოორდინაცია

- NATO-ში ინტეგრაციის პროცესში ჩართული უწყებების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა წლიური ეროვნული პროგრამა და მისი განხორციელების დეტალური გეგმა. სახელმწიფო მინისტრის აპარატი აღნიშნული პროგრამის განხორციელებას აქტიურად უწევდა მონიტორინგსა და კოორდინაციას;
- NATO-ს შტაბ-ბინაში გაიმართა NATO-საქართველოს კომისიის სხდომა, სადაც წარდგენილი იყო 2010 წლის ANP. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა NATO-ს „ნდობის ფონდის“ პროექტს „ფეთქებადი უვარგისი ნარჩენების გაუვნებელოების შესახებ“ (NAMSA).
- ქ. ბრიუსელში NATO-ს შტაბ-ბინაში გაიმართა NATO-საქართველოს კომისიის სხდომები, სადაც განხილულ იქნა: საქართველოში დემოკრატიის განმტკიცების მიმართულებით მიღწეული პროგრესი; უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე რეფორმები და კონცეპტუალური დოკუმენტების პროცესი; რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემა; პოლიციის რეფორმა. ასევე, გაიმართა სხდომა ელჩების დონეზე, სადაც ქართულმა მხარემ აღიანსს გააცნო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა, მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებში მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უსაფრთხოების ვითარება.
- ქ. ბერლინში გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ 27-ე საერთაშორისო სემინარში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან.
- ვიცე-პრემიერმა თავდაცვის მინისტრთან ერთად ავღანეთში სამშვიდობო მისიით მყოფი ქართველი სამხედროები მონაზულა. ქართული დელეგაცია ავღანეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების სარდალმა მიიღო. მხარეებმა ISAF-ის ოპერაციაში საქართველოს მნიშვნელობაზე ისაუბრეს.
- ნატოს სტაბ-ბინაში ელჩების დონეზე გამართულ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2010 წლის ANP-ს შეფასების დოკუმენტი.
- ვიცე პრემიერმა მონაწილეობა მიიღო „აზია-წყნარი ოკეანის თავდაცვის“ ფორუმში, რომელიც თავდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოწვევებსა და კიბერ უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა. საქართველოს დელეგაცია იმყოფებოდა ქ. ლისაბონში ნატო-ს სამიტზე, სადაც მიღებულ ნატო-ს ახალ სტრატეგიულ კონცეფციასა და დეკლარაციაში განმეორდა და განმტკიცდა ნატო-ს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. საქართველოს დაეთმო ცალკე პარაგრაფი (ბუქარესტის სამიტისგან განსხვავებით მოხდა უკრაინისა და საქართველოს განცალკევება). მტკიცედ მოეთხოვა რუსეთს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება და საქართველოს რეგიონების - სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარების შეცვლა.

ევროკავშირში ინტეგრაციის კოორდინაცია

- მომზადდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) 2009 წლის შესრულების ანგარიში და შემუშავდა ENP AP 2010 წლის განხორციელების გეგმა;

- თბილისში გაიმართა მე-ნ საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის ინსტიტუტების და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისათვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის გაცნობას.

- ბათუმში გაიმართა მე-7 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“, რომელიც მიზნად ისახავდა „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის“ განხორციელებაში მიღწეული პროგრესისა და ევროკავშირ-საქართველოს შორის თანამშრომლობის მთავარი ასპექტების წარმოჩენას.

- მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები საქართველო-ევროკავშირს შორის ფართო და ყოვლისმომცველი (Deep and Comprehensive FTA) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 36-ე სხდომაზე განხილულ იქნა ევროკომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული და ასევე ევროპელი პარტნიორების შენიშვნების შესაბამისად ჩასწორებული დოკუმენტები: „სტრატეგია კონკურენციის პოლიტიკის შესახებ“; „სურსათის უვნებლობის სტრატეგია“, „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირების და მეტროლოგიის სტრატეგია“ და „საკანონმდებლო რეფორმებისა და ტექნიკური რეგულაციების შემოღების პროგრამა“. ზემოთაღნიშნული დოკუმენტები განსახილველად მიეწოდა ევროპულ მხარეს.

- ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმებას.

- ჩატარდა საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკებს შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების 2 რაუნდი.

- ბრიუსელში საქართველოსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში გაიმართა პირველი ოფიციალური შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე პროექტები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. შეხვედრის ფარგლებში ევროპულ მხარეს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბაზაზე მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და სამოქალაქო რეესტრში მიმდინარე პროექტების შესახებ. შეხვედრაზე მხარეებმა დაამტკიცეს „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის განახლებული გეგმა (Scoreboard).

- აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ჩამოყალიბდა ოთხი თემატური პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად მიმართულებებზე თანამშრომლობის ღია და გამჭვირვალე მსჯელობისათვის აუცილებელ ფორუმს. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული პლატფორმების მუშაობაში. თანამშრომლობის პლატფორმებია: I - „დემოკრატია, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა“, II - „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკებთან

შესაბამისობის უზრუნველყოფა“, III - „ენერგოუსაფრთხოება“ და IV - „ხალხთა შორის კონტაქტები“. საანგარიშო პერიოდში შედგა აღმოსავლეთ პარტნიორობის თემატური ოთხივე პლატფორმის შეხვედრები.

- ქ. ბუდაპეშტში გაიმართა ვიშეგრადის ჯგუფის (Visegrád Group, V4) საგარეო საქმეთა მინისტრების გაფართოებული შეხვედრა, რომელშიც ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მონაწილე ქვეყნების, ესტონეთის, ლიტვის, ესპანეთის, ბელგიის, შვედეთისა და ევროკომისიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

- ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი საქართველოსთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით და გაიმართა ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პირველი რაუნდი.

- შედგა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტები იტალიაში, უნგრეთში, ლატვიაში, უკრაინაში, პოლონეთსა და ავსტრიაში. ვიზიტების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის ინსტიტუტების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან, პარლამენტარებთან, სამეცნიერო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე განხილულ იქნა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები, მიღწეული წარმატებები, რეგიონალური თანამშრომლობისა და საქართველო-რუსეთის კონფლიქტთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში პირველი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. ევროპულ დელეგაციაში წარმოდგენილნი იყვნენ “პარტნიორობა მობილურობისათვის” ინიციატივაში მონაწილე ევროკავშირის 16 წევრი ქვეყანა, ევროკავშირის საგარეო საზღვრებზე თანამშრომლობის მართვის სააგენტო - “FRONTEX” და სწავლების ევროპული ფონდი - “ETF”. შეხვედრაზე მხარეების მიერ განხილულ იქნა პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე პროექტები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

- დეკემბერში გამართულ “აღმოსავლეთ პარტნიორობაში” მონაწილე ქვეყნების მინისტრიალისთვის აპარატის მიერ მომზადდა ვრცელი ანგარიში “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მიმდინარე საკითხებზე.

- გაიმართა ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების მე-2 და მე-3 რაუნდები. მოლაპარაკებათა აღნიშნულ რაუნდებზე ყურადღება დაეთმო ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა პოლიტიკური დიალოგი და ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობა, ასევე სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხები.

ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაცია

- ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების 2008 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ საფინანსო შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მხარდასაჭერად.

- დარგობრივ სამინისტროებთან და ევროკომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე შეთანხმდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებული ახალი დახმარების ინსტრუმენტის – „Comprehensive Institutional Building – CIB“-ის კონცეფცია და პოტენციური პროგრამის ბენეფიციარი ინსტიტუტები. საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა CIB-ის ინსტრუმენტის ჩარჩო შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის. ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულ 2011-2013 წლების ინდიკატურ პროგრამას (NIP). შეთანხმდა ევროკავშირის დახმარების 2010 წლის სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის განაწილება და პრიორიტეტები.

- განახლდა ევროკავშირის მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების მონაცემთა ბაზა, რომელიც ასახავს ინფორმაციას ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე და დაგეგმილი ყველა პროგრამისა და პროექტის შესახებ 2010 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

- ჩატარდა სამუშაოები 2010 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში საფინანსო შეთანხმებების მოსამზადებლად.

- ევროკომისიასთან ერთად მომზადდა ანალიტიკური მასალა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების პროგრამების განხორციელების პერსპექტივების შესახებ.

- პროგრამა CIUDAD-ის ხელმძღვანელობასთან ერთად შემუშავდა, საქართველოს მუნიციპალიტეტებში პროგრამის განხორციელების ზოგადი სტრატეგია.

- KFW და EBRD-ისთან კონსულტაციების საფუძველზე შემუშავდა სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (NIF) ფარგლებში გათვალისწინებული 3 პროექტის განხორციელების ზოგადი მიმართულებები. მომზადდა ანალიტიკური მასალა მცირე და საშუალო საწარმოთა (SME) მხარდამჭერი პროექტების განხორციელების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

- პროგრამა SIGMA-ს ფარგლებში დაიწყო საქართველოს პარლამენტის მხარდამჭერი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საპარლამენტო პროცედურების გამარტივებას, დახვეწას და მეტი გამჭვირვალობის შემოტანას. ასევე დაიწყო პროექტები კონტროლის პალატაში და სახელმწიფო შესყიდვების ეროვნულ სააგენტოში.

- საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ინფორმაციის გაცვლის პროგრამა TAIEX-ის ფარგლებში გამართულ 32 ღონისძიებაში.

- განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) დაკავშირებული უწყებების მხარდაჭერაზე. აპარატის მიერ მოთხოვნილი 8 წინადადებიდან დაფინანსდა შემდეგი 3 სასწავლო ვიზიტი (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; საბაჟო პროცედურების შესახებ და საბაჟოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გასაზრდელად) და 2 სემინარი (აღსრულების ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებით; წარმოშობის წესების შესახებ).


- სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა TWINNING-ის ფარგლებში პროექტების მომზადებაში. TWINNING-ის პროგრამის მიმღები უწყებებისათვის ჩატარდა სემინარი პროგრამის განხორციელების პროცედურებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ. საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა საინფორმაციო სემინარი პროგრამა TWINNING-ის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით ქ. ბათუმში პირველად ჩატარდა ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (Black Sea CBC) მმართველი კომიტეტის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ 10 ქვეყნის სამთავრობო დელეგაციები. ასევე მომზადდა და CBC პროგრამის მაკოორდინებელ უწყებას გადაეგზავნა ქართული მხარის წინადადებები პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელ პროცედურულ მასალებზე.

ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი


ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 306.6 ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა – 1 306.0 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 400.0 ათასი ლარით აღემატება.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 91.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 8.9%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ქართული დიასპორების სამშობლოსთან ინტეგრაცია

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად განახორციელა ბიზნეს-ტური „დაბრუნება საქართველოში“. აღნიშნულ ბიზნეს-ტურში მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთ მოღვაწე 25 ქართველმა ბიზნესმენმა, რომლებიც გაეცნენ ქართულ საინვესტიციო გარემოს და მიმდინარე პროექტებს.

- საანგარიშო პერიოდში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატას შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატის ოფიციალური წარმომადგენელი გახდა უცხოეთში მცხოვრები 20 ქართველი ბიზნესმენი (შვეიცარია, გერმანია, ესპანეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ტაჯიკეთი, კანადა, ამერიკა, უკრაინა, სამხრეთ აფრიკა, აზერბაიჯანი, თურქეთი და სხვ.). დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების ერთობლივი პროგრამის - „ისწავლე საქართველოში“ ფარგლებში, პირველ სასწავლო წელს 50 ახალგაზრდა გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩაირიცხა საქართველოს უნივერსიტეტებში;

- 26-27 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

- დიასპორის 100 ახალგაზრდა წარმომადგენელმა (ასაკი 14-22 წელი) დაისვენა „პატრიოტთა“ ბანაკებში;

- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ბრიტანეთის ბიბლიოთეკის საბჭოსთან, რომლითაც განისაზღვრა თანამშრომლობის ზოგადი სფეროები, მათ შორის, ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში და საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკებსა და არქივებში დაცული მასალების გამოყენებით ქართული კულტურისა და მემკვიდრეობის დოკუმენტირებისა და შესწავლის ხელშეწყობა.

- ურთიერთთანამშრომლობის მიზნით განხორციელდა თურქეთში არსებული ქართული რადიო „ჩვენებურების“ და საზოგადოებრივი რადიოს დაკავშირება.

- სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნულ აგრარულ კავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ორგანიზებითა და ხელშეწყობით, საქართველოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფერმერთა თხუთმეტკაციანი დელეგაცია ესტუმრა სამხრეთ აფრიკული ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით.

- ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, მათი ორგანიზაციების, საქართველოთი დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისათვის სწრაფი და კვალიფიციური იურიდიული დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით.

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შეიქმნა საზღვარგარეთ სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, საქართველოთი დაინტერესებული სხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

- „ბავშვები ჩვენი მომავალია“ პროექტის ფარგლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრებმა 15 ქართველმა მოზარდმა თერჯოლაში სასწავლო-შემეცნებითი ტიპის ბანაკში დაისვენა.

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში ფეხბურთში დავით ყიფიანის სახელობის ჩემპიონატი გაიმართა.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერა

- უცხოეთში არსებულ 11 ქართულ ანსამბლს გადაეცა ქართული ნაციონალური ჩოხები, კაბები, მუსიკალური საკრავები და ანსამბლების წევრთათვის სხვა საჭირო ატრიბუტიკა.

- დასრულდა პირველადი სამუშაოები სოცილური ქსელის – www.iamgeorgian.com ასამუშავებლად.

- აპარატის ხელშეწყობით ჩატარდა სვეტიცხოვლის აღდგენის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი XII საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“.

- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ჰამბურგში არსებული გემანულ-კავკასიური საზოგადოება „ლილეს“ ინიციატივით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხარდაჭერით ლტოლვილთა დასახლება წილკანში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი.

- აპარატმა თბილისის მერიასთან და არასამთავრობო ორგანიზაცია „კარიერასთან“ ერთად განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან 10 ქართველმა ბავშვმა საქართველოში სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ამასთან, ბავშვები რუსთავსა და თბილისში ქართულ ოჯახებში ცხოვრობდნენ.

- აპარატში შეიქმნა საზღვარგარეთ სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, საქართველოთი დაინტერესებული სხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო მონაცემთა ელექტრონული ბაზა. დასრულდა დიასპორის შესახებ საინფორმაციო-ანალიტიკურ ბაზაზე მუშაობა, რომელიც ჩართულია აპარატის ელექტრონულ ქსელში და შეიცავს ინფორმაციას დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლების, ხელოვანების, მეცნიერების, სპორტსმენების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების შესახებ.

ქართული დიასპორის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა


- საანგარიშო პერიოდში მომზადდა გამოცემა უცხოეთში მოღვაწე ქართველების შესახებ.

- აპარატისა და თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი „პერეთის დღეები“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, ფოტოგამოფენა და კონცერტი.

- ქ. ბათუმში აპარატის ხელშეწყობითა და შუამდგომლობით გაიმართა რუსეთის ფედერაციის ქ. სანქტ-პეტერბურგის ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლების „ივერიის“, „სინარულიისა“ და „საქართველოს“ ერთობლივი კონცერტი.


რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 435.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 1 434.4 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 29.7 ათასი ლარით აღემატება.



რეინტეგრაციის საკითხებში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.8%, ხოლო მუხლით – 1.2%.


საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 319 726.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 303 066.8 ათასი ლარი.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სისტემისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 168 762.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 165 065.1 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22 970.5 ათასი ლარით მეტია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 59.91%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 39.92%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.13%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლში – 0.04%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტროებიდან და უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განახლებული ფორმატით შემუშავდა საქართველოს „2011-2014 წლებისათვის მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი“, რომელშიც ასახულია როგორც საშუალოვადიანი პრიორიტეტები, ასევე ამ პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები და დასაგეგმი წლებისათვის მხარჯავი დაწესებულებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;
- მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და შესაბამისი ვადების დაცვით მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა, საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშებთან ერთად მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- განხილულ იქნა საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების 2009 ბიუჯეტების და 2010 წლის ბიუჯეტების კვარტალური შესაბამისად მომზადდა ნაერთი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- შემუშავდა პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის დანერგვის გეგმა, რომლის მიხედვითაც 6 საპილოტო სამინისტრო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და სოფლის მეურნეობის სამინისტროები) ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით 2011-2014 წლებისათვის მოამზადა პროგრამული ბიუჯეტების პროექტები, რომლებიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტს.
- შემუშავდა „E-budget“ ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ჩართულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ყველა მხარჯავი დაწესებულება. 2011

წლის ბიუჯეტის პროექტის განაცხადები შეივსო აღნიშნული ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

- მომზადდა და მიღებულ იქნა „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2011-2014 წლებისათვის განახლებული ვარიანტი;

- შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, რომლის ამოქმედებით შესაძლებელია უფრო დეტალურად აღირიცხოს ბიუჯეტის გადასახდელები, რითაც გაიზრდება მათი გამჭვირვალობა;

- მომზადდა და მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც გადამხდელთათვის ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნის მიზნით, გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები. აღნიშნული ითვალისწინებს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და რეალობის გათვალისწინებით არსებული სისტემის დახვეწასა და ოპტიმიზაციას; ერთიანი უნიფიცირებული დოკუმენტის შექმნას, რომელშიც გაწერილია საზღვრის გადაკვეთიდან დაწყებული ლიკვიდაციით დასრულებული გადასახადის გადამხდელის საქმიანობის მარეგულირებელი ყველა საგადასახადო პროცედურა თუ ნორმა; მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას; გადამხდელთა უფლებების დაცვას; გადასახადის გადამხდელისათვის დავების განხილვის საბჭოში საგადასახადო მოთხოვნის/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების პროცედურის გაადვილებას.

- შემუშავდა და დამტკიცდა: პროცედურული სახელმძღვანელოები გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებზე, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებზე და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებაზე, ინსტრუქციები საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაზე და მეთოდური მითითებები საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევათა გამოვლენისას შესაბამისი სანქციების გამოყენებაზე.

- შემუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა საგადასახადო შემოწმების განხორციელებისას გამოსაყენებელი შესაძლო სიტუაციური გადაწყვეტილებები – ე.წ „მანუალები“.

- დაინერგა საქართველოს საგადასახადო კოდექსის აუდიო-ვიდეო ვერსია, რაც გადასახადის გადამხდელს საშუალებას აძლევს ვიდეო რგოლების საშუალებით გაეცნოს საგადასახადო ნორმების განმარტებებს და მათი გამოყენების საკითხებს.

- დაინერგა საექსპერტო მომსახურება საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენის, საქონლის/ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საქონლის მიმართ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის განსაზღვრის, საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის და საბაჟო დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე სამსახურის წინასწარი საბაჟო გადაწყვეტილების მომზადების კუთხით, რამაც უზრუნველყო ექსპერტიზის ჩატარების დროში ლიმიტირება და მისი მოქცევა ერთი ფანჯრის პრინციპში, დაიტერესებულ პირთათვის ჯამური პროცედურების გაიაფება, გაცემული დასკვნის აბსოლუტური (სავალდებულო) ხასიათი.

- განხორციელდა არსებული საბაჟო რისკების მართვის სისტემის სრულყოფა (გამიჯნული იქნა ნაციონალურ და ლოკალურ დონეებზე) და მასში იმპლემენტირებული

რისკის პროფილების განახლება/სრულყოფა და ახალი პროფილების შექმნა. დერეფნების კუთხით იმპლემენტირებული იქნა „ლურჯი“ და მწვანე“ დერეფნები შესაბამისი პროცენტული თანაფარდობით. გამარტივდა საბაჟო – სავაჭრო თანამშრომლობაში („ოქროს სია“) ორგანიზაციების მიღების პროცედურები რის შედეგადაც „ოქროს სიაში“ შეყვანილი იქნა 200–ზე მეტი ორგანიზაცია. განხორციელდა უცხოეთის საბაჟო სამსახურებიდან მოწოდებული საბაჟო სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და ინფორმაციული გაცვლა, აგრეთვე საქართველოს საბაჟო სტატისტიკური ყოველთვიური ინფორმაციის დამუშავება და შედარება წინა თვეებთან, საბაჟო გადასახდელების შემცირების და საბაჟო ღირებულების შემცირების განხორციელდა საგადასახადო აუდიტისათვის (შემოწმება) შესარჩევი რისკის კრიტერიუმების შემუშავება, გადამხდელთა რანჟირებული სიის მისაღებად. განხორციელდა რისკების მართვის კომპიუტერული პროგრამისათვის ახალი კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც მოემსახურება საგადასახადო ადმინისტრირების მიზნებს. აღნიშნული კრიტერიუმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადმინისტრირების ღონისძიებებისა და რესურსების ფოკუსირებისათვის შედარებით მაღალი საგადასახადო დარღვევების რისკის მქონე გადამხდელებზე.

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, აშშ საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის დახმარებით დაინერგა 7 კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ავტომატიზირებულს ხდის საექსპორტო/საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე ნებართვის გაცემის პროცესს.

- ძალაში შევიდა ორმაგი დაბეგვრის შესახებ ხელშეკრულებები 30 ქვეყანასთან; ხელშეკრულებები რატიფიცირებულია ესპანეთთან, შვეიცარიასთან, ქუვეითთან, ისრაელთან და ეკვატორსთან, ასევე რატიფიცირებულია ცვლილებების ოქმი ესტონეთთან და ბრიტანეთთან; პარაფირებულია ხელშეკრულებები ბაჰრეინთან, არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, კატართან, კვიპროსთან, ინდოეთთან, სლოვენიასთან და სლოვაკეთთან ასევე ცვლილებების ოქმი – ლატვიასთან;

- საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებების ინიცირება მოხდა სულ 51 ქვეყანასთან, ყველა სახელმწიფოსთან დასრულდა შიდა პროცედურები და მიეწოდათ შეთანხმების ტექსტი ოფიციალურ დონეზე დიპლომატიური ნოტით.

- საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებები ინიცირებულია 26 ქვეყანასთან, აქედან 24 სახელმწიფოსთან დასრულდა შიდა პროცედურები და მიეწოდათ შეთანხმების ტექსტი ოფიციალურ დონეზე.

- საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების ინიცირება განხორციელდა 30 ქვეყანასთან, აქედან 28 სახელმწიფოსთან დასრულდა შიდა პროცედურები და მიეწოდათ შეთანხმების ტექსტი ოფიციალურ დონეზე დიპლომატიური ნოტით.

- ხელი მოეწერა 63 საგრანტო, სასესხო, თანხის გადაცემის და სხვა ხელშეკრულებას. დონორებისაგან მიღებული სახსრები მიმართულია ბიუჯეტის მხარდასაჭერად და სხვადასხვა ინვესტიციური პროექტების განსახორციელებლად. შეთანხმებები ძირითადად ხელმოწერილია 2008 წლის ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე მიღებული დაპირებების ფარგლებში.

- შესრულებული იქნა სახელმწიფოს სახელით (ან მისი გარანტიით) ხელმოწერილი საკრედიტო ხელშეკრულებებით 2010 წლის განმავლობაში შესასრულებელი ყველა ვალდებულება, ყაზახეთის გარდა.

- შესრულებულია, საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში წევრობიდან გამომდინარე 2010 წლის განმავლობაში შესასრულებელი ყველა ფინანსური ვალდებულება.

- შემუშავდა და www.eauction.ge ვებ-გვერდზე ამოქმედდა ელექტრონული აუქციონის სისტემა, რომლის მეშვეობითაც წარმატებით ხორციელდება მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაცია. ამასთან, მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სისტემის განახლებასა და გაუმჯობესებაზე. სისტემას პერიოდულად ემატება ახალი ფუნქციები და სერვისები. მომსახურების სააგენტომ შესთავაზა სისტემის მომხმარებლებს ადგილზე მიტანის უფასო სერვისი, უფასო სადებეტო ბარათის შეკვეთა პირდაპირ საიტიდან და ქონების საფასურის გადახდა ონლაინ რეჟიმში, რათა მაქსიმალურად კომფორტული გაეხადა ქონების შეძენის პროცედურა. მარტივად დეკემბრამდე სისტემაში დარეგისტრირდა 2000-ზე მეტი მომხმარებელი და საიტი არის რეიტინგული. დღეში საიტს სტაბილურად სტუმრობს 1500-დან 2500-მდე მომხმარებელი.

- შეიქმნა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეესტრის ელექტრონული პროგრამა, რომელშიც სრულად არის ასახული 2005-2010 წლის რეესტრის მონაცემები. მონაცემთა მიგრაცია დასრულდა 2010 წლის ივნისში. აგრეთვე ყოვერდღიურად ხორციელდება მიმდინარე ინფორმაციის ასახვა ელექტრონულ პროგრამაში.

- სექტემბერში დაიწყო ინტერნეტ მაღაზიის სისტემაზე მუშაობა და სისტემა სრულად ამოქმედდა ნოემბრიდან. აღნიშნული პროექტი კიდევ უფრო გაამარტივებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს.

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო, როგორც საქართველოს მთავრობის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საბჭოს პირველი სხდომა, სადაც მოწონებულ იქნა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული 2010 წლის სამუშაო გეგმა. საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად მომზადდა სალაროს ორგანიზების შესახებ ინსტრუქციის პროექტი.

- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ბუღალტრული აღრიცხვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვის მიზნით განისაზღვრა 11 საპილოტე ორგანიზაცია, შემუშავდა პილოტური ორგანიზაციებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დასანერგად მეთოდოლოგიის პროექტი, რომლის განხილვაც მოხდება საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სხდომაზე.

- საანგარიშო პერიოდში აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში, გაგრძელდა მუშაობა მთლიან სახელმწიფო სექტორში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის ფინანსური ანგარიშგების პაკეტისა და ინსტრუქციების შესამუშავებლად.

- განხორციელდა სახაზინო სამსახურის რეორგანიზაცია. ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს საოპერაციო და ფინანსური რისკების დაზღვევას ინსტიტუციონალურ დონეზე. ამასთან, გარკვეულწილად გაფართოვდა შიდა კონტროლის მექანიზმები სახაზინო სამსახურში.

- ამოქმედდა „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის“ ფუნქციონირების ინსტრუქცია. შემუშავდა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართულია თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია.

- მიმდინარეობდა ხაზინის საინფორმაციო სისტემის (TIS) შექმნა, ბიუჯეტის მართვის საინფორმაციო სისტემის (BMIS) შექმნა და დანერგვა, საბაჟო გადასახდელების მართვის საინფორმაციო სისტემის (ASYKUDA WORLD) დანერგვა, საგადასახადო საჩივრების ელექტრონული სახით წარდგენა.

- წარმატებით განხორციელდა საშუალოვადიანი (2 წლიანი) სახაზინო ობლიგაციების ემისია და ფასიანი ქარაღების ბაზარზე 2010 წელს პირველად გაჩნდა საშუალოვადიანი სახაზინო ობლიგაციები.

- სამშენებლო სამუშაოები დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა: ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია), ამბროლაურის საგადასახადო მომსახურების ცენტრი; საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხი“; სასაწყობო მეურნეობა ქ. სამტრედიის (სსიპ მომსახურების სააგენტოს ობიექტი); სასაწყობო მეურნეობა ქ. ახალციხეში (სსიპ მომსახურების სააგენტოს ობიექტი); ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) და ფოთში საგამოძიებო სამმართველოს შენობა; საგამოძიებო მომსახურების მცხეთის საგამოძიებო სამმართველოს შენობა; საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბანი“ I; საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბანი“ II; თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია); სსიპ მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული შენობა; საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო“; ლილოს საბაჟო სერვისცენტრის სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომი; ადლიის საბაჟო სერვისცენტრი (გარდა სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომისა).

- განხორციელდა: ბათუმის რეგიონალური ცენტრის და თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) არქივის მოწყობა; ქ. თბილისში გულუას ქ. №4-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე საგამოძიებო მომსახურების ადმინისტრაციული ეზოს კეთილმოწყობა. შენობების ექსპლუატაციაში შესვლასთან ერთად მიმდინარეობდა მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა.


- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და დასრულდება 2011 წელს: საბაჟო გამშვები პუნქტის „კარწახი“; საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფი“; საბაჟო გამშვები პუნქტის „ნინოწმინდა“: ლილოს საბაჟო სერვისცენტრის (გარდა სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომისა); ადლიის საბაჟო სერვისცენტრის სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომი;

- საქართველოს სახალმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 389 პიროვნებაზე, სულ თანხამ შეადგინა 295 200 ლარი. კერძოდ: ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე დაწესებული პრემია გაიცა 30 პიროვნებაზე; ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე დაწესებული პრემია გაიცა 39 პიროვნებაზე; ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე დაწესებული პრემია გაიცა 34 პიროვნებაზე; ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენზე დაწესებული ფულადი პრემია გაიცა 24 პიროვნებაზე; ღირსების ორდენზე დაწესებული ფულადი პრემია გაიცა 179 პიროვნებაზე; მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“ დაწესებული ფულადი პრემია გაიცა 81 პიროვნებაზე; წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გაიცა 2 პიროვნებაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო


საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 78 253.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 75 878.4 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 14 005.6 ათასი ლარით მეტია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 55.95%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.57%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 39.45%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მოხლით - 0.03%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა

- მიმდინარეობდა მუშაობა: აშშ-თან პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სავაჭრო რეჟიმის, დამატებით 1 400 დასახელების პროდუქტით გაფართოებასთან დაკავშირებით; საქართველო-ამერიკას შორის 2009 წლის 9 იანვარს გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიით გათვალისწინებულ საკითხებზე; საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო რეჟიმების განვითარების კუთხით.

- მომზადდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების 2010 წლის წლიური ანგარიში, 2011 წლის სამოქმედო გეგმა;

- გაიმართა ვაჭრობის, ეკონომიკურ და შესაბამის სამართლებრივ საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-9 სხდომა, რომელზეც ევროკომისიის წარმომადგენლებს წარედგინა შესაბამისი ინფორმაცია;

- მომზადდა "სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმების დებულებათა შესრულებისათვის ხელშემკვრელ მხარეთა მოქმედების მაკოორდინირებელი სამუშაო ორგანოს შექმნისა და მისი საქმიანობის წესის შესახებ ოქმის" პროექტი და შესათანხმებლად მიეწოდა სუამ-ის სამდივნოს;

- გაკეთდა ანალიზი იმ მრავალმხრივ ხელშეკრულებათა შესახებ, რომელთა წევრობაც არ არის შეზღუდული დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა წრით და განისაზღვრა ნუსხა იმ ხელშეკრულებებისა, რომელთა წევრობაც მიზანშეწონილია მიუხედავად საქართველოს დსთ-დან გამოსვლისა;

- ხელი მოეწერა: საქართველოს მთავრობასა და იორდანის კავშირით მთავრობას შორის სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას; საქართველოსა და ინდოეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის საკითხებზე მთავრობათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ შეთანხმებას; საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.

- ხელმოსაწერად მომზადდა: საქართველოსა და ინდონეზიას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და სავაჭრო შეთანხმების შეთანხმების პროექტი;

- პროცედურებს გადიოდა: 21 ქვეყანასთან ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების პროექტები; 15 ქვეყანასთან სავაჭრო და ეკონომიკური ხასიათის შეთანხმების პროექტები; 4 ქვეყანასთან ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ შეთანხმების პროექტები; 10 ქვეყანასთან გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების პროექტები; 8 ქვეყანასთან სტანდარტიზაციის შესახებ შეთანხმების პროექტები; 12 ქვეყანასთან ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტები.

- ჩატარდა მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიების სხდომები: საქართველო-ევგვიპტის მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიის მე-2 სხდომა, საქართველო-სომხეთის მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიის მე-

8 სხდომა, საქართველო-პოლონეთის მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიის პირველი სხდომა, საქართველო-ყაზახეთის მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიის მე-4 სხდომა, საქართველო-ბელარუსის მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიის პირველი სხდომა, საქართველო-აზერბაიჯანის მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისია. საქართველო-ჩინეთის მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიის მე-4 სხდომა, და მომზადდა შესაბამისი მასალები. ასევე, მიმდინარეობდა სისტემატური მუშაობა საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყანას შორის უკვე გამართულ მთავრობათაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიების სხდომების ოქმებით გათვალისწინებული საკითხების შესრულებასთან დაკავშირებით.

- სისტემატურად მიმდინარეობდა ექსპორტიორებისა და იმპორტიორების კონსულტირება საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე (პრეფერენციულ რეჟიმებზე – GSP, GSP+, სატარიფო და არასატარიფო ბარიერებზე, ა.შ.);

- მომზადდა 2009 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ანალიზი;
- დსთ-ს შიდა ბაზარზე და მესამე ქვეყნის ბაზრებზე შესვლის ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა და სხვადასხვა ქვეყანას გაეგზავნა საქართველოში წარმოებული კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის ნუსხა. აგრეთვე, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური ხასიათის სახელშეკრულებო ბაზის ანალიზი და მის სრულყოფასთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებების (ან ხელშეკრულების) შემუშავება.

- საანგარიშო პერიოდში სულ გაცემულია 6 781 სერტიფიკატი: საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა „A” - 1 101 ცალი (განკუთვნილი პრეფერენციათა განზოგადებული სისტემისთვის (GSP)); საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა EUR-1 - 232 ცალი (განკუთვნილი თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმისთვის), საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა CT-1 – 2 961 ცალი (განკუთვნილი დსთ-ს ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმისთვის); საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - 2 487 ცალი. გაცემულია 1 790 ნებართვა ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტზე, იმპორტზე, რეექსპორტსა და ტრანზიტზე.

- საქართველოში ტურისტებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გამოცემული და სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული იქნა ჟურნალები, ბიზნეს-ტურისტული გზამკვლევები, საინფორმაციო ბროშურები და მიმოხილვის ბულებები.

- ჩატარდა: მრავალი მაგიდა „გერმანულ-ქართული ბიზნეს თანამშრომლობის ხელშეწყობა“ (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად); „მე-4 ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმი“; მარნეული-საქართველო-აზერბაიჯანის, საქართველო – სლოვაკეთის, საქართველო – ავსტრიის, თურქეთ-საქართველოს, საქართველო-იორდანის, გერმანია-საქართველოს, საქართველო-ლატვიის, საქართველო-პოლონეთის, საქართველო-ირანის და საქართველო-პოლონეთის სამთავრობო დონის ბიზნეს ფორუმები.

- მონაწილეობა იქნა მიღებული: ბიოპროდუქციის საერთაშორისო გამოფენაზე; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის კონფერენციაზე; შვედეთის ვაჭრობის საბჭოს მხარდაჭერით ორგანიზებულ სემინარზე; ბიზნეს სემინარზე ბუდაპეშტი; კასპიის ნავთობისა და გაზის მე-17 საერთაშორისო გამოფენაზე და კონფერენციაზე; საქართველოს დღეები გერმანიაში - ბიზნეს ფორუმზე.

- შედგა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის პოტენციურ ინვესტორებთან, მათ შორის აღსანიშნავია ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორცაა: ITOCHU, DAEWOO, SCANIA, HP, BOSCH, Niras (Denmark,), ARUP (Ireland).

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა: საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, ევროკავშირის წარმომადგენლობის საქართველოში და გერმანული ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) სემინარი ევროკავშირის ვაჭრობის დახმარების ინსტრუმენტის “EU Exporter’s Help Desk” შესახებ ქართველი მწარმოებლებისა და ექსპორტიორებისთვის; თბილისი, აშშ-ს აგრო-ბიზნესის სფეროს სავაჭრო მისიის ვიზიტი/სემინარები; თბილისი, ქუთაისი და ბათუმი სამი სემინარი აშშ-ში იმპორტის სტანდარტებისა და ქართველი ექსპორტიორებისათვის GSP-ის გამოყენების შესახებ; გერმანიის ტექნიკურ თანამშრომლობის ასოციაციასთან ერთად ორგანიზებული ერთობლივი სემინარი ექსპორტის ხელშეწყობის შესახებ.

- საინვესტიციო სააგენტოს მიერ მიმდინარეობდა მსოფლიო საინვესტიციო ბაზრის ყოველწლიური ანალიზი; სექტორული პრეზენტაციები; საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური ბაზის შექმნა; CRM – ინვესტორების აღრიცხვისა და ურთიერთობის პროგრამის შექმნა; ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული საინვესტიციო პროექტების განხილვა-რეალიზაცია;

- საქართველო მონაწილეობდა და წარმოდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში: Vacantiebeurs (უტრეხტი, ნიდერლანდები); FITUR (მადრიდი, ესპანეთი); MATKA (ჰელსინკი, ფინეთი); Baltour (რიგა, ლატვია); IMTM (თელ ავივი, ისრაელი); BIT (მილანი, იტალია); Mahana (ლიონი, საფრანგეთი); ITB (ბერლინი, გერმანია); UITT (კიევი, უკრაინა); Aitf 2010 (ბაქო, აზერბაიჯანი); KITF 2010 (ალმაატა, ყაზახეთი); CTF – Caucasus Travel Fair (თბილისი, საქართველო); “Batumi EXPO” (ბათუმი; საქართველო); ღვინის საერთაშორისო გამოფენა (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); „TT Warsaw“ (ვარშავა, პოლონეთი); საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობა (ტოკიო, იაპონია); საერთაშორისო ტურიზმის გამოფენა-ბაზრობა (კიევი, უკრაინა).

- ჩატარდა 19 პრეს-ტური მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში:

- მომზადდა სპეციალური სარეკლამო-საიმიჯო კლიპი საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებზე, რომელიც აქტიურად შეუქმნებოდა უკრაინის 6 წამყვან ტელეარხზე;

- მარკეტინგული პროექტებისთვის სხვადასხვა ენებზე დაიბეჭდა საქართველოს რუკა, რეგიონალური რუკები, ქართულენოვანი გზამკვლევი ქართველი ტურისტებისთვის.

- ბრიტანულ-ესპანურმა პიარ-კომპანია „BUZZ TV“-მ მოამზადა საქართველოს საიმიჯო 52 წუთიანი ფილმი;

- საქართველომ მონაწილეობა მიიღო ჩინეთში, ყველაზე მასშტაბური გამოფენაში – EXPO ევროპის საგამოფენო პავილიონში, სადაც საქართველო იყო წარმოდგენილი აღნიშნულ გამოფენაზე 324 მ2 სტენდზე, სტენდის დიზაინი მაქსიმალურად წარმოაჩენდა ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს, ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობა, ბუნების მრავალფეროვნებას. წარმოდგენილი იყო საქართველოს მდიდარი მემკვიდრეობის ამსახველი ექსპონატები.

- მიმდინარეობს მუშაობა სვანეთის განვითარების პროექტზე, პროექტის ფარგლებში გაიხსნა მესტიის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი;

- ყვარელში გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი;

- საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა ეტალონური ბაზის (32 ამოსავალი ეტალონი) შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები.

- წლის განმავლობაში სულ რეგისტრირებულია გაზომვის საშუალების 37 ტიპი;

- 2010 წლის განმავლობაში განხორციელდებულა 141 063 გაზომვის საშუალების პირველადი დამოწმების შედეგების აღიარება, მათ შორის: 26 699 ცალი ელექტრომრიცხველის, 87 557 ცალი გაზის მრიცხველის, 26 707 ცალის წყლის მრიცხველის და 100 ცალი სხვა გაზომვის საშუალების;

- საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიული მომსახურების ცენტრის მიერ ჩატარდა 341 ბენზოგასამართი სადგურის, 437 საწვავის მარიგებელი სვეტის და 68 ავტო გაზგასამართი სადგურის, 233 ბუნებრივი გაზის მარიგებელის და აღრიცხვის სვეტის დამოწმება, აგრეთვე გაწეული მეტროლოგიური მომსახურება - დამოწმებული/დაკალიბრებულია გაეწია 14 797 გაზომვის საშუალება;

- სტანდარტების რეესტრში გატარებულია: საქართველოს ეროვნული სტანდარტი – 22 ერთეული; საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო სტანდარტი – 977 ერთეული; საქართველოს სტანდარტად მიღებული უცხო ქვეყნის სტანდარტი – 16 ერთეული; მეწარმე სუბიექტის სტანდარტი - 367 ერთეული; მეწარმე სუბიექტის სტანდარტის ცვლილება - 151 ერთეული; სტანდარტიზაციის სხვა ნორმატიული დოკუმენტები (სახელმძღვანელოები, ტექნიკური ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები) – 264 ერთეული;

- საინფორმაციო ეროვნული ფონდის მიერ გაფორმდა 134 ხელშეკრულება კონსულტაციასა და საინფორმაციო მომსახურებაზე ფონდი შეივსო 983 დასახელების საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტით.

- მომზადდა სტანდარტების საერთაშორისო კლასიფიკატორის ქართულენოვანი ვერსია.

- აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ აკრედიტაციის წესების შესაბამისად განხორციელდა 75 სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაცია. მათ შორის: 54 ტესტირების ლაბორატორია, 4 დამამოწმებელი ლაბორატორია, 1 მომსახურების სერტიფიკაციის ორგანო, 6 პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო, 10 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი.

- საინსპექციო კონტროლი გაიარა 68 აკრედიტებულმა პირმა, მათ შორის: 42 ტესტირების ლაბორატორია, 5 დაკალიბრების ლაბორატორია, 1 დამამოწმებელი ლაბორატორია, 5 პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო, 14 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი, 1 პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო.

- აკრედიტაციის ცენტრში TACIS-ის პროექტის მხარდაჭერით დამთავრდა EA ILAC (international Laboratory), IAF-ის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისი ქართული სახელმძღვანელოების მომზადება.

- ჩატარდა აკრედიტაციის შემფასებლების და აკრედიტაციის სამუშაოებში ჩართული მოწვეული ტექნიკური ექსპერტების ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სახელმწიფო ქონების პრივატიზება


- სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დაჩქარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მონაცემთა ბაზის პროგრამა.

- საპრივატიზაციოდ მომზადდა 45 საწარმო, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გადაეცა 39 საწარმო, განხორციელდა 10 შერწყმა, ხოლო ლიკვიდაციის რეჟიმში იმყოფება 44 საწარმო და ლიკვიდაციის პროცესი დასრულდა 5 საწარმოში;
- საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ პრივატიზებული იქნა 217 ობიექტი.


საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 728 220.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 716 704.5 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 38 665.1 ათასი ლარით აღემატება.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 21.0%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 77.8%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.2%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 1.0%.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის“ ღონისძიებების ფარგლებში:

- სარეაბილიტაციო სამუშაოების 2009 წლიდან 2010 წელს გარდამავალ ობიექტების 90 პროცენტი დამთავრებულია;

- 2010 წლის გეგმით გათვალისწინებულ ახალ ობიექტების ნაწილზე სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია, ხოლო ნაწილი დასრულდება 2011 წელს;

- განხორციელდა ასფალტბეტონის და ცემენტობეტონის ახალი საფარების მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით 2010 წელს ჩასატარებელი სამუშაოები.

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „გზების მიმდინარე შეკეთებისა და შენახვა ზამთრის პერიოდში“ ღონისძიების ფარგლებში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, გზის სავალი ნაწილის, წყალგამტარი ნაგებობების და სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კეთილმოწყობის სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.

- თბილისის შემოსასვლელი საავტომობილო გზის 15-21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ფარგლებში დასრულდა მოსამზადებელი და სამობილზაციო სამუშაოები (ტრასის აღდგენა დამაგრება-დაკვალვა, მშენებლობისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების და აღჭურვილობის მობილიზება).

- სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის მე-100 კმ-ზე მდინარე კუბისწყალზე ახალი ხიდის მშენებლობის ფარგლებში მთლიანად დასრულდა ხიდის მშენებლობა საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებაზე და ხიდზე გაიხსნა მოძრაობა.

- სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი - ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს ფარგლებში:

- დასრულდა ხიდების მშენებლობა, მოეწყო ასფალის საფარი, დასრულდა გზის სამოდრაო ზოლების განმსაზღვრელი ხაზების და საგაზაო ნიშნების მოწყობის ძირითადი სამუშაოები. 2010 წლის 15 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა საპროექტო გზა.

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ არსებული რიკოთის საავტომობილო საულელტენილო გვირაბის და ასაქცევი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- დასრულდა ასაქცევი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. შესრულდა არსებული წყალგამტარი ნაგებობების გაწმენდის და შეკეთების, ასევე სავალი ნაწილის გაგანიერების ადგილებზე საფუძვლისა და საფარის მოწყობის, არსებული საფარის ორმოული შეკეთების და მასზე საცვეთი ფენის გადაკვრის, ს/გზის რკინა-ბეტონის უსაფრთხოების ზღუდარებით შემოფარგვლისა და საგზაო ნიშნებით აღჭურვის სამუშაოები. საანგარიშო წლის ივნისის დასაწყისში გვირაბში სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით მთლიანად მოწესრიგდა ასაქცევი გზა;

- რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები (ტრასის აღდგენა-დამაგრება, გზისა და ნაგებობების ღერძების დეტალური დაკვალვა). არსებული კომუნიკაციების დემონტაჟის, გვირაბის მოკეთებასა და კლდოვან ქანებს შორის არსებული სიცარიელეების ქვიშა-ცემენტის ხსნარით შევსების სამუშაოები;

- დასრულდა გვირაბის შეკიდული ჭერის ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი დასრულებულია;

- გვირაბში 1 750 მეტრზე შესრულებულია არსებული საგზაო სამოსის მონგრევა-გაფხვიერების სამუშაოები 0.8 მეტრის სიღრმემდე. ამასთანავე მოწყობილია გრუნტის წყლების სადრენაჟო სისტემა. მთლიანად შესრულდა ბეტონის საგების მოჭიმვის, გვირაბის საძირკვლის რკინა-ბეტონის ფილის კონსტრუქციით გამაგრების სამუშაოები;

- ზამთრის პერიოდისათვის რიკოთის გვირაბში უსაფრთხო და შეუფხვებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად მოეწყო ღროებითი ვენტილაცია, განათება და რკინაბეტონის უკუთალზე ასფალტ-ბეტონის საფარი. რიკოთის გვირაბში ღროებით აღდგა სატრანსპორტო მოძრაობა.

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის კმ55-80 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში შესრულდა ხელოვნური ნაგებობების, რკინაბეტონის საყრდენი კედლების, სადრენაჟო სისტემების, წყალგამტარი მილების, ბეტონის კიუვეტების, უსაფრთხოების ნიუჯერსის ბარიერებისა და ლითონის ზღუდარების მშენებლობის, ასევე გაბიონების მოწყობის სამუშაოები.

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის კმ55-კმ80 მონაკვეთზე იგოეთის გზაგამტარისა და მდ. ლეხურას ხიდების მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში დასრულებულია მარცხენა მიმართულების ხიდებზე რკინაბეტონის ბურჯების სამშენებლო სამუშაოები, იგოეთის გზაგამტარზე და ლეხურას ხიდზე განაპირა, შუალედური ბურჯების და რიგელების მშენებლობა.

- მიმდინარეობდა იგოეთის გზაგამტარისათვის მალის ნაშენის კონსტრუქციისათვის რკინა-ბეტონის კოჭების დამზადების სამუშაოები.

- ლეხურას ხიდებზე მიმდინარეობდა სარეგულაციო კედლის მშენებლობის სამუშაოები და დასრულდა მალის ნაშენის და რკინა-ბეტონის გამაერთიანებელი ფილის მოწყობის სამუშაოები.

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (სვენეთი-მდ. ლიახვის) კმ80-კმ84,75 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- საავტომობილო გზის მარჯვენა ახალ მიმართულებაზე დასრულებულია ოთხივე ახალ ხილზე ასფალტობეტონის საფარის, ტროტუარებისა და მოაჯირების მოწყობის სამუშაოები. ასევე, ახალ მარჯვენა მიმართულებაზე დასრულებულია ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.

- დასრულებულია გზის კუთვნილებების მოწყობის სამუშაოები (შემოფარგვლა რკინა-ბეტონის ნიუჯერის ბარიერებით, დროებითი საგზაო ნიშნების მოწყობა), გარდა ლითონის მრუდხაზოვანი თვალამრიდი ძელებისა.

- საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებაზე გაიხსნა მოძრაობა, რის შემდეგაც დაიწყო ს/გზის მარცხენა მიმართულების სარეკონსტრუქციო სამუშაოები, არსებული საფარის ფრეზირება, არსებული წყალგამტარი მილების დემონტაჟი და ახალი მილების მშენებლობის სამუშაოები.

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვზე ხიდის) კმ84.75-კმ86.2 მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- მდ. ლიახვზე ხიდი-ესტაკადის მშენებლობაზე მიმდინარეობდა ნაბურღ-ნატანი ხიმინჯებისა და მათზე როსტვერკების მოწყობის სამუშაოები;

- დასრულებულია არსებული ხელოვნური ნაგებობების (გზაგამტარები) და დროებითი ლითონის ხიდის დემონტაჟის სამუშაოები. აგრეთვე ხიდის განაპირა ბურჯის ფარგლებში ყრილის მოწყობის სამუშაოები;

- მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე დაიგეგმა ასაქცევი გზის მშენებლობა ცხინვალის კვანძიდან მდ. ლიახვის მარჯვენა სანაპიროს კმ 86+200-მდე. (მდ. ლიახვზე კაპიტალური ხილით). საანგარიშო პერიოდში დასრულდა ასაქცევი გზის ფაზა 0-ით განსაზღვრული სამუშაოები, მათ შორის ახალი 5 მალისანი ხიდის მშენებლობა ასევე, სხვა ხელოვნური ნაგებობების და ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობა გაიხსნა გასული წლის 23 ნოემბერს.

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვი-რუისი) კმ86,2-კმ94,531 მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში: მიმდინარეობდა გვირაბში ოთხივე მხრიდან სამთო წესით გვირაბის მშენებლობა, გზის ახალ მარჯვენა მიმართულებაზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, გზის 4.5კმ-ზე დასრულებულია საგზაო სამოსის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

- დასრულდა გვირაბის აღმოსავლეთ და დასავლეთ პორტალების ფერდობის გამაგრებითი სამუშაოები.

- საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებაზე მიმდინარეობდა ბეტონის ნიუ-ჯერის ტიპის ბარიერების მოწყობის სამუშაოები.

- ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტის (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში კმ1 – კმ27: კმ28 – კმ55 დასრულებულია ძირითადი საგზაო სამშენებლო სამუშაოები: მათ შორის მთლიანად მოწყობილია ასფალტ-ბეტონის საგზაო საფარი, დასრულებულია 2 ახალი ხიდის მშენებლობა და 7 არსებული ხიდის რეაბილიტაცია;

- ნაწილობრივ დასრულებულია წყალგამტარი მილების და გზის გასწვრივ სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები.

- დასრულებულია საგზაო მონიშვნის სამუშაოები.

- მიმდინარეობდა გზის კეთილმოწყობის ავტოპავილიონებისა და ავტომანქანების გასაჩერებელი მოედნების და დასახლებულ პუნქტებში - ეზოში შესასვლელებისა და მიერთებების მოწყობის სამუშაოები, გზის კუთვნილებებისა და შემოფარგვლის ლითონის მრუდხაზოვანი ძელების, ბეტონის სპეცპროფილის პარაპეტების და საგზაო ნიშნების სამუშაოები.

- ჩოლოქი-სარფის გზის ახალი მიმართულების (ქ. ქობულეთის შემოვლითი გზა) (ADB) ფარგლებში:

- ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობაზე კმ0+000 – კმ12+400 მონაკვეთზე და არსებული 2-ზოლიანი გზის გაგანიერება 4-ზოლიანამდე ჩაქვი-მანინჯაურის კმ30+000 – კმ33+000 მონაკვეთზე გამოვლინდა გამარჯვებული კონტრაქტორი კომპანია და საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაფორმდა ხელშეკრულება.

- დაიწყო ქობულეთის შემოვლითი გზის დეტალური პროექტირება კმ12+400 – კმ30+000.

- დაიწყო ბათუმის შემოვლითი გზის დეტალური პროექტირება კმ34+000 – კმ48+000.

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (JICA) ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება საპროექტო კომპანიასთან, რომელიც შეასრულებს ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის 59 კმ გზის პროექტირებას, პირველ ეტაპზე დაგეგმილია ქუთაისის შემოვლითი გზის 17 კმ მონაკვეთის დეტალური პროექტირება, დასრულებულია ქუთაისის შემოვლითი გზაზე წინასაკვალიფიკაციო პროცედურები.

რეგიონალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

- აზიის განვითარების ბანკის მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის (MSDP) და მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის II ფაზის (MSDP 2) ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დასრულდა:

- ქ. რუსთავში თბილისისა და ფალიაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია, კერძოდ, გამოიცვალა ასფალტო-ცემენტის საფარი (მოცულობით 23.9 ათასი მ²), ასევე შეიცვალა ბორდიურები და 32 წყალსადენის ჭა;

- ქ. ფოთში №9 და №12 საკანალიზაციო სისტემის სატუმბ-სადგურების (თითოეულზე დამონტაჟდა 3 ტუმბო) რეაბილიტაცია, სადგურის შენობების და სანიტარული ზონის მოწყობა;

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიმდებარე სოფლების წყალსადენის რეაბილიტაცია, მიწების შეცვლა ქ. ლაგოდეხის ცენტში და მიმდებარე 10 სოფელში სულ 3.2 ათას მეტრზე, მათ შორის 2.2 ათას მეტრზე ასფალტის საფარის მოწყობა, ჭების შეცვლა;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურისა და ცეცხლაურის წყალსადენის, სატუმბი სადგურების და რეზერვუარების რეაბილიტაცია, მიმდინარე შეცვლა 14.8 ათას მეტრზე;

- ქ. ცაგერის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: ახალი სათავე ნაგებობის და შესაბამისი საკონტროლო და შემკრები ჭების, სათავე ნაგებობებიდან რეზერვუარამდე ახალი გრავიტაციული წყალსადენის, საქლორატორის, საყარაულო ჯიხურისა და სათავე ნაგებობის სანიტარული დაცვის ზონების მოწყობა და არსებული რეზერვუარის შეკეთება;

- დაბა ვალეს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, კერძოდ: ჯებირებისა და წყალამრიდების მოწყობა, ახალი საქლორატორო სადგურის აშენება, არსებული სატუმბო სადგურის შენობის რეკონსტრუქცია, საყარაულო ჯიხურის მშენებლობა, სანიტარული ზონის მოწყობა;

- ქ. მარტვილის წყალსადენის ქსელზე კაპტაჟებისა და ქსელის რეაბილიტაცია, სატუმბო სადგურის, სადაწნეო კოშკისა და ურდულეებიანი ჭების მოწყობა;

- ქ. ქარელში ქუჩების რეაბილიტაცია, კერძოდ: არსებული საფარის დამუშავება ფრეზირებით, შეკეთდა საფუძვლის და საფარის ქვედა და ზედა ფენა, გაიწმინდა არსებული მილები, მოეწყო ბეტონის კიუვეტები.

- ქ. ახალციხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, კერძოდ: გარემონტდა რეზერვუარები, ცენტრალური რეზერვუარებიდან მოეწყო თვითდენითი მილსადენები, აშენდა საყარაულო ჯიხური და საშობერო კამერა, აღდგენილი იქნა ლობის დაზიანებული ნაწილები, არსებული წნევიანი მილსადენიდან მოეწყო განშტოებები, რეაბილიტირებულ იქნა ქალაქის ქუჩების წყალსადენის ქსელები.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონეთიდან დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

- დაბა შუახევის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია.

- ქ. დუშეთის წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები: კერძოდ, ქსელის მილსადენების რეაბილიტაცია (32 ქუჩა), ჭების მოწყობა, ჟინვალის წყალსადენისა, კანალიზაციის სისტემისა და რეზერვუარების რეაბილიტაცია, ფილტრის მოწყობა, მილსადენის გამოცვლა, სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია;

- ქ. გარდაბნის კანალიზაციის სისტემის მილსადენების რეაბილიტაცია, ჭების და სატუმბო სადგურის მოწყობა, გზის (11.8 კმ) რეაბილიტაცია, ასფალტის საფარის დაგება. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის გზის (1.0 კმ) რეაბილიტაცია, ასფალტის საფარის დაგება;

- ქ. ლაგოდეხში ვარდისუბნის შემოვლითი გზის (3.4 კმ) რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, ასფალტის საფარის დაგება;

- ქ. ზუგდიდში რამდენიმე ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გზის ასფალტობეტონის ფენის მოწყობა;

- დაბა ჩოხატაურში წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები: კერძოდ, წყალმიმღები ნაგებობების რეაბილიტაცია, არსებული ნელი ფილტრების და რეზერვუარის შეკეთება, საქლორატოროს მოწყობა;

- სოფელ ლასურიაში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები: კერძოდ, ხუთმალიანი ხიდის მშენებლობა, ხილთან მისასვლელი ყრილის მოწყობა და გამაგრება ლოდებით და ბეტონის კუბებით;

- დაბა მესტიაში, ილია გაბლიანის, თამარ მეფის შესახვევის, ბორის კახიანის, მიხეილ ხერგიანის ქუჩების ასფალტსაფარიანი და ლალაიდის გზის მონაკვეთის ხრეშიანი გზის რეაბილიტაცია;

- ქ. თერჯოლის, სოფელ სიქთარვას, ახალი თერჯოლისა და სოფელ ეწერის გზის (საერთო სიგრძე 5.4 კმ) საფარის აღდგენა და ხელოვნური ნაგებობების შეკეთება, კიუვეტებისა და ლითონის მილის გაწმენდა. 1.4 კმ და სოფ. კვანჭირის 1.03 კმ მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარის, ოთხკუთხა კიუვეტების და ლითონის მილის მოწყობა;

- ქ. საჩხერის, სოფელ სხვიტორი-კვერეთის გზის (საერთო სიგრძე 4.3 კმ) რეაბილიტაცია, და ხელოვნური ნაგებობების მოწყობა;

- ქ. წყალტუბოს, სოფელ ჩუნეშის, ქვიტირისა და მესხეთის საავტომობილო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა სიგრძით 2.5 კმ;

- ქ. ხონის, სოფელ მათხოჯი-გორდის გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთის 3,8 ათასი მ-ის ბოლომდე დასრულება, ასფალტბეტონის საფარის მოწყობა, მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების შეკეთება, ეზოში შესასვლელების მოწყობა, ბეტონის ღარის მოწყობა;
- ქ. აბაშაში ქუჩების (საერთო სიგრძე 4.9 კმ) გზის საფარის აღდგენა, მიერთებებისა და ეზოში შესასვლელების მოწყობა, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა, მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების შეკეთება, ეზოში შესასვლელების მოწყობა;
- ქ. სენაკში ქუჩების შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები (საერთო სიგრძით 5.9 კმ), მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების შეკეთება, ეზოში შესასვლელების მოწყობა;
- ქ. ჩხოროწყუში ასფალტსაფარიანი გზის რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა, მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების შეკეთება, ეზოში შესასვლელებისა და ბეტონის ღარის მოწყობა;
- ქ. წალენჯიხაში ასფალტსაფარიანი ქუჩების რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა, ასფალტ-ბეტონის საფარის ორი ფენის მოწყობა, მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების შეკეთება, ეზოში შესასვლელებისა და ბეტონის ღარის მოწყობა;
- ქ. წალკაში წყალმომარაგების სისტემის სარეკონსტრუქციო სამუშაოები: კერძოდ, ნარდევანში არსებული კაპტაჟის რეკონსტრუქცია, დამატებითი კაპტაჟის მოწყობა, ოზნში ახალი საკაპტაჟე ნაგებობების მოწყობა-შეკეთება; საწყობის, სადარაჯოს (2 ცალი), საქლორატოროს (1 ცალი), ლითონის ღობის მოწყობა სადგურის პერიმეტრზე, გარე და შიდა განათების ქსელის გაყვანა, მაგისტრალური ხაზების მოწყობა;
- ქ. დუშეთი - ჟინვალის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.0 კმ);
- ახალქალაქის რაიონის სოფლების (იხტილა, არაგვა, ორჯა, დიფი, მუჯახეთი, ჩანდურა) – წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 20.3 კმ).
- ქ. ფოთის გზების რეაბილიტაცია (სიგრძე 40.0 კმ);
- ქ. ბორჯომის სადგური-ტბა-ცემის გზის მონაკვეთის შეკეთება და მოასფალტება (სიგრძე 5.9 კმ);
- ქ. გურჯაანის კარდენახი-ბაკურციხის 3 კმ-იანი გზის მონაკვეთის რემონტი;
- ქ. გურჯაანის კაჭრეთის გზის რემონტი (სიგრძე 3.8 კმ);
- ქ. რუსთავის თბილისისა და ფალიაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 1.2კმ);
- ქ. ოზურგეთის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია (სიგრძე 12.2კმ);
- ქ. ვანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 5.8კმ);
- ქ. ახმეტის წყალმომარაგებისა (სიგრძე 1.7 კმ). და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.1 კმ);
- ქ. წნორის რუსთაველისა და სიხაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.1 კმ);
- ქ. სენაკის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია (სიგრძე 10.2 კმ);
- დაბა მანგლისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 6.3კმ);
- ქ. გარდაბნის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 1.9 კმ);
- გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალის გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 2.3 კმ);
- ფოთის ზონის ქსელის რეაბილიტაცია;
- ქ. ფოთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.5 კმ);
- ქ. ოზურგეთის ნარუჯის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 11.4 კმ);
- ქ. ბაღდათის სოფ. დიმის გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 4.1 კმ);

- ქ. ვანის სოფ. შუამთა-ტობანიერის გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 4.1 კმ);
- ქ. ვანის სოფ. ზეინდარი-შუაგორის გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 2.1 კმ);
- ქ. თერჯოლის სოფ. ჭოგნარი-კვახჭირის გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 2.4 კმ);
- ქ. საჩხერის (არგვეთი-მერჯევი) წყალსადენის რეაბილიტაცია (სიგრძე 23.3 კმ);
- ქ. ტყიბულის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 4.7 კმ);
- ქ. ხარაგაულის სოფ. კიცხი-ვარძიის გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 4.6 კმ);
- ქ. ყვარლის ქუჩებისა და სანიადვრე არხების რეაბილიტაცია (სიგრძე 6.5 კმ);
- ქ. მცხეთის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 2.2 კმ);
- სოფ. მუხრანიდან სოფ. ვაზიანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.4 კმ);
- ქ. ამბროლაურის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 2.1 კმ);
- ქ. ონი ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.1 კმ);
- ქ. მარტვილის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 4.1 კმ);
- ქ. მესტიის გზის 126-130 კმ რეაბილიტაცია (სიგრძე 4.7 კმ);
- ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის გზა 78-ე კმ-ის მონაკვეთის რეაბილიტაცია (სიგრძე 0.3 კმ);
- ქ. ადიგენის სოფ. უდეს გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.3 კმ);
- ქ. ახალციხის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 1.6 კმ);
- ქ. ახალციხის სოფ. ვალეს ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 1.2 კმ);
- ქ. ბორჯომის ქუჩებისა და სანიადვრეების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.2 კმ);
- მსოფლიო ბანკის რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის (RMIDP) და რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის (RMIDP-AF) დამატებითი დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა:
 - ქ. ზუგდიდის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, (სიგრძის 17.4 კმ) მოწყობა;
 - ქ. ზესტაფონის კვალითის დასახლების გზის, წყალსადენის და კანალიზაციის რეაბილიტაცია, ქალაქის ქუჩებზე (2.6 კმ) ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა, იგივე ქუჩებზე წყალსადენის ქსელის, კანალიზაციის სისტემის მიწების და ჭების სახურავების გამოცვლა;
 - ქ. თელავის წყალსადენის შიდა ქსელის ზონირება, ჩატარდა წყალსადენის ზონების გამოყოფა და სექტორიზაცია, წყალსადენის მიწები შეიცვალა სიგრძით – 6.5 კმ-ზე, მოეწყო და შემოიღობა №3 რეზერვუარი;
 - ქ. საგარეჯოში ქუჩების რეაბილიტაცია;
 - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების ბაღდა და სკურდის წყალმომარაგების სისტემის, რეზერვუარისა და საქლორატოროს მშენებლობა, მისასვლელი გზის, არსებული ფოთის წყალსატარიდან პროექტით გათვალისწინებულ რეზერვუარებამდე წყალსადენის, წყალსადენის ჭების, სახანძრო ჰიდრანტებისა და ქსელის მოწყობა და წყალმზომების მონტაჟი;
 - ქ. ვანში რუსთაველისა და სანაპიროს ქუჩების რეაბილიტაცია.
 - დაბა ფასანაურში საკანალიზაციო სისტემის, მილსადენების და ჭების სამშენებლობა/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ქ. ზესტაფონში კვალითის დასახლების წყალსადენის და საკანალიზაციო სისტემის, მილსადენების, ჭების და გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ქ. ხობში შიდა გზების რეაბილიტაცია (24.5 კმ), ასფალტ-ცემენტის საფარის მოწყობა;

- სოფელ ოძალში წყალსადენის სისტემის მიღებისა და ჭების მოწყობა, მიწის სამუშაოები, ახალი რეზერვუარის მშენებლობა, ახალი საქლორატოროს მშენებლობა;
- ქ. საგარეჯოში ქუჩების კაპიტალური ტიპის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა (4.6 კმ);
- ქ. ყვარელში საკანალიზაციო ქსელების მოწყობა ჭავჭავაძის ქუჩის ნაწილზე, საბჭოს ქუჩაზე, პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე და ვაჟა-ფშაველას მიმდებარე უბნებზე, მიწის სამუშაოების შესრულება და ჭების მოწყობა. მდინარე ბურსაზე კაშხლის აშენება, სალექარისა და ფილტრების რეკონსტრუქცია, 800 მ³ რეზერვუარის ტერიტორიაზე საქლორატოროს და საყარაულო ჯიხურის კაპიტალური შეკეთება, მდინარე ნახეჩხე კაშხლის აშენება. „ყაზარმების ტერიტორიაზე“ სალექარისა და ფილტრების რეკონსტრუქცია, სალექარისა და ფილტრების ტერიტორიის კეთილმოწყობა, 2 000 მ³ რეზერვუარის კაპიტალური შეკეთება;
- დაბა ლენტეხში ქუჩების საფარის ქვედა ფენის მოწყობა ასფალტის ნარევით, გზის გვერდულების მოწყობა, ტროტუარის შეკეთება, ხელოვნური ნაგებობების მოწყობა;
- ქ. ონში წყალსადენისა და კანალიზაციის ჭების მოწყობა, ქსელების რეაბილიტაცია;
- ქ. ხაშურში (გზის საერთო სიგრძეა 4.4 კმ) მაგისტრალური და შიდა ქსელის პოლიეთილენის მილების მოწყობა, წყალსადენის რეზერვუარის კაპიტალური რემონტი და ტუმბოს მონტაჟი, რ/ბეტონის ჭების მოწყობა;
- ქ. ხობში ცენტრის გზის რეაბილიტაცია, ასფალტ-ცემენტის საფარის მოწყობა, (ქვალონი-გამოსგონჯილი);
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ თოხლიაურის ცენტრალური გზისა და სოფელ ნინოწმინდაში წმინდა ნინოს მონასტერთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაცია სამუშაოები: კერძოდ, გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა (2.2 კმ), არსებული დაზიანებული გზის საფარისა და მისი საფუძვლის მოშლა;
- ადიგენის მუნიციპალიტეტში სოფელ ბოლაჯურსა და ჩორჩანში ცენტრალურის გზიდან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები: კერძოდ, მისასვლელი გზა (2.8 კმ) და სოფ. ჩორჩანის მისასვლელი გზა (0.8 კმ);
- ქ. მარნეულში წყალსადენის რეაბილიტაცია - 2 ეტაპის სამუშაოები, შიდა ქსელის მოწყობა;
- ქ. ბოლნისის წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 18.5 კმ);
- ქ. მცხეთაში ქსნის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 8.4 კმ);
- დაბა ფასანაურში კანალიზაციის სისტემას მშენებლობა/რეაბილიტაცია (სიგრძე 7.2 კმ);
- ქ. ზესტაფონში კვალითის დასახლების წყალსადენ-კანალიზაციის სისტემას რეაბილიტაცია (სიგრძე 2.3 კმ);
- ქ. ხობში შიდა გზების რეაბილიტაცია (სიგრძე 2.5 კმ);
- ქ. თელავში შიდა ქსელის ზონირება;
- ქ. გურჯაანში წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია (სიგრძე 18.3 კმ);
- ქ. ხულოში დაბა ხულოს ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.8 კმ);
- დაბა თიანეთის ქუჩების, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (სიგრძე 3.1 კმ);
- ქ. მესტიის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 12.4 კმ).
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვრის კანალიზაციის სისტემების რეკონსტრუქცია (სიგრძე 6.7 კმ);

- ქ. ნინოწმინდის კანალიზაციის შემკრები კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (სიგრძე 2.5 კმ);
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქსოვრეთის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 18.6 კმ);
- ქ. რუსთავის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 15.8 კმ);
- ქ. მარნეულის მიმდებარე სოფლების (წერეთელი, თამარისი, ორჯონიკიძე) გზების მოწყობა (სიგრძე 6.1 კმ);
- ქ. ზობის ცენტრის მოასფალტება (სიგრძე 4.0 კმ);
- ქ. ბათუმში სანიაღვრეს მოწყობა ს. ხიმშიაშვილის ქუჩაზე (სიგრძე 1.8 კმ);
- ქ. ქობულეთში სანიაღვრე არხის ნაწილობრივი რეაბილიტაცია;
- ქ. გურჯაანის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 5.2 კმ);
- ქ. ხელვაჩაურის წყალსადენის მოწყობა (სიგრძე 12.8 კმ);
- ქ. თელავის გზის მოწყობა (სიგრძე 4.1 კმ);
- ქ. ბოლნისის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 4.1 კმ);
- ქ. ზუგდიდის გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 2.8 კმ);
- დაბა ქედამი დაბა ქედის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 2.0 კმ);
- დაბა შუახევში ზამლეთი - ხიხაძირის გზის სოფ. ფურტიოს მონაკვეთის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.8 კმ);
- დაბა ჩოხატაურის დაბა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 14.6 კმ);
- ქ. სამტრედიაში ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.4 კმ);
- ქ. ქუთაისში ზ. გამსახურდიას, ჩეხოვის, ევლოშვილის ქუჩების და წმინდა სამების ქუჩის შესახვევის რეაბილიტაცია (სიგრძე 2.6 კმ);
- ქ. წყალტუბოში ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 5.1 კმ);
- ქ. ჭიათურაში ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 2.9 კმ);
- ქ. ახმეტაში შიდა გზების (სიგრძე 4.8 კმ) და ნინოშვილის ქუჩაზე კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია (სიგრძე 1.8 კმ);
- ქ. დედოფლისწყაროში ჩრდილოეთ ნაწილის წყალმომარაგების შიდა ქსელების რეაბილიტაცია, ქუჩების, ზემო და ქვემო მაჩხანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.6 კმ);
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფელ ბაისუბნის და სოფელ კართუბნის დამაკავშირებელი, აგრეთვე ყოველსაკვირაო ბაზრის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.7 კმ);
- სიღნაღში სოფელ ბოდბეში გონთხევის უბანში და სოფელ ძველ ანაგაში შესასვლელი გზების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.5 კმ);
- ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფელ მთისძირის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 1.1 კმ);
- ქ. ღუშეთში ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 4.4 კმ);
- დაბა თიანეთში წყალსადენისა და ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 0.95 კმ);
- ქ. მცხეთაში კანალიზაციის 2 სატუმბი სადგურის და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია;
- დაბა სტეფანწმინდაში ბარათაშვილის ქ. ქვაფენილის მოწყობა და სოფ. სიონი-გარბანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 2.8 კმ);
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ნიკორწმინდის წყალსადენის რეაბილიტაცია (სიგრძე 24.6 კმ);
- დაბა ლენტეხში დაბა ლენტეხის თემის ცენტრის (სპორტული კომპლექსის) რეაბილიტაცია;

- დაბა ცაგერში წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.7 კმ);

- ქ. სენაკში წყალსადენის რეაბილიტაცია (სიგრძე 5.8 კმ);
- ქ. ჩხოროწყუში წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია (სიგრძე 18.2 კმ);
- ქ. ასპინძაში ყაზბეგის ქუჩის რეაბილიტაცია (სიგრძე 3.5 კმ);
- ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფ. ნიჯგორისა და სოფ. აწყვითის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (სიგრძე 15.6 კმ);

- ქ. ახალქალაქში შიდა ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 2.1 კმ);
- ქ. ნინოწმინდაში სპანდარიანის ქუჩის რეაბილიტაცია (სიგრძე 1.4 კმ);
- ქ. ნინოწმინდაში სპანდარიანისა და პოვსეფიანის ქუჩებზე წყალმომარაგების (სიგრძე 2.3 კმ) და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია. (სიგრძე 3.2 კმ);

- ქ. დმანისში 9 აპრილის ქუჩისა და შესახვევის ასფალტირების, ტროტუარების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.1 კმ);

- ქ. თეთრიწყაროში შიდა გზების რეაბილიტაცია (სიგრძე 1.4 კმ);
- დაბა მანგლისში შიდა გზების რეაბილიტაცია (სიგრძე 1.1 კმ);
- წალკაში ჭელიძისა და კალინინის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 1.6 კმ);
- ქ. გორში გორკის, სუხიშვილისა და მშვიდობის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 3.8 კმ);

- ქ. კასპში აღმაშენებლის, 9 ძმის, გურამიშვილის, ერეკლეს და კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხის მოწყობა (სიგრძე 5.6 კმ);

- ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის რუსთაველის ქუჩაზე წყალსადენის რეაბილიტაცია (სიგრძე 1.4 კმ);

- ქ. ხაშურში წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქცია (სიგრძე 8.0 კმ);
- ქ. ხაშურში დემეტრე თავდადებულის, მე-5 სკოლასთან მისასვლელი გზის, ძნელადის, კოსტავას ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 0.8 კმ).

• დაიწყო 150 მეტრიანი სატრანსპორტო ხიდის მშენებლობა მდ. მტკვარზე, ს. ახალსოფელთან;

• იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამების (ევროკავშირის პროგრამა) ფარგლებში დასრულდა იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური დასახლებების რეაბილიტაცია, სულ 22 კონტრაქტი 1 336 ბინა, იძულებით გადაადგილებულ პირთა კორპუსების საინჟინრო ინფრასტრუქტურის (წყალსადენ-კანალიზაცია, გაზი, ელმომარაგება) რეაბილიტაცია, სულ 16 კონტრაქტი, შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე 4 მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგების გაუმჯობესების სამუშაოები;

- მიმდინარეობდა ახალი (4-5 სართულიანი) სახლების მშენებლობა ქ. ფოთსა (32 სახლი), ქ. წყალტუბოში (10 სახლი) გარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა, სულ 42 სახლი, 1 520 ბინა.


• შიდა ქართლის რეგიონში დევნილთა კოტეჯებში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დასრულდა სამუშაოები 1 963 კოტეჯში, მათ შორის 1 263 კოტეჯში ჩატარდა სრული სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები;

• ონის მუნიციპალიტეტში მიწისძვრით დაზიანებული სახლების გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა 10 კორპუსს (269 ბინა) და 946 კერძო სახლს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო


საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 58 918.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 57 961.5 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 297.9 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 73.85%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 26.08%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.06%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2010 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

სისხლის სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის რეფორმა

- დასრულდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ინტეგრირებულ სისტემაზე მუშაობა. პროგრამა დაინერგა იმერეთში, გურიასა და აჭარაში, მცხეთა-მთიანეთში, აგრეთვე თბილისში, რუსთავსა და გარდაბანში;

- შექმნილია საპროცესო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსთან ერთად, 2010 წლის ოქტომბერში. აგრეთვე, შექმნილია ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები და კითხვარი. ჩატარდა კვლევა მოწმეთა დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით და შექმნილია შესაბამისი რეკომენდაციები. დაიგეგმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პილოტაჟი თბილისის საქალაქო სასამართლოში. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით დამზადდა სამსერიანი მხატვრული ფილმი „ნაფიც მსაჯული“ და ვიდეო რგოლები, დაიგეგმა ინდივიდუალური წერილები მოქალაქეებთან, მოეწყო საჯარო განხილვები და დისკუსიები. ჩატარდა ტრენინგები ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით. შექმნილია ახალი საპროცესო ფორმები.

- სისხლის სამართლის სტატისტიკის რეფორმის ფარგლებში შექმნილია სისხლის სამართლის სტატისტიკის ზოგადი კონცეფცია და ერთიანი ეროვნული სტატისტიკის წარმოების სქემა. ხელი მოეწერა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მემორანდუმს სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ. 2010 წლის ივნისიდან აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე ყოველითვიურად ქვეყნდება ერთიანი სტატისტიკური ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-მისამართზე.

- დანაშაულის აღქმისა და დანაშაულის გრძელვადიანი ტენდენციების მონაცემთა ყოველწლიური ანალიზის მიზნით, განხორციელდა დანაშაულისა და კრიმინოგენური მდგომარეობის კვლევა 3000 რესპოდენტის გამოკითხვის საფუძველზე. გაიმართა კვლევის შედეგების პრეზენტაცია, სადაც მოწვეულნი იყვნენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები.

- გადამზადების კურსი გაიარა 454 პროკურორმა, რომლის დროსაც ყურადღება მიექცა ისეთ ძირეულ სიახლეებს, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, დაცვის სპეციალური ღონისძიებები, მტკიცებულების ახალი სტანდარტები, დევნის დისკრეციულობის საკითხები და სხვა. სპეციალური ტრენინგი პროკურორებისთვის სასამართლო პროცესისთვის საჭირო უნარჩვევებზე გაიარა 415 პროკურორმა. სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ინტეგრირებული სისტემის ტრენინგი გაიარა 255 პროკურორმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 495 გამომძიებელმა. სამართლებრივი წერის დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებით ტრენინგი ჩაუტარდა 440 პროკურორს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით 405 პროკურორს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად 10 პროკურორს, ნაფიც მსაჯულთა შერჩევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის 10 პროკურორს, არასრულწლოვანთა განრიდების განსახორციელებელი პროგრამის გარეგნულად 14 პროკურორს, ფინანსური დანაშაულის გამოძიებათან დაკავშირებით 43 პროკურორს, ხოლო UNICEF-თან თანამშრომლობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით 50 პროკურორს;

- საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში, საჯარო სკოლებში ჩატარდა გაკვეთილები, ასევე მოეწყო სპორტული და კულტურული ღონისძიებები. პროექტი ხორციელდება 15 რაიონულ პროკურატურაში. იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში შემუშავდა საზოგადოებრივი პროკურატურის კონცეფცია და 6 თვიანი სამოქმედო გეგმა. პრობაციონერთა და მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების დასაქმების კამპანიის ფარგლებში დასაქმდა 20-მდე ადამიანი. თითოეულ რაიონულ პროკურატურაში შეიქმნა ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოები, რომელთა მიზანია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე.

- საქართველოს 3 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) გაიხსნა დაზარალებულთა საკონსულტაციო საპილოტე ცენტრები, რომლებიც აღიჭურვა საჭირო ინვენტარით და დაკომპლექტდება კვალიფიციური კადრებით. ცენტრების თანამშრომლებმა კონსულტაცია გაუწიეს 640 მოქალაქეს.

- „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის“ პროექტის ფარგლებში განახლდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარი ყველა სახის დანაშაულზე განისაზღვრა 14 წლით. კოდექსით გაძინულია არასრულწლოვან ეჭვიმტანილთა/ბრალდებულთა „განრიდება“ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროდან. საქართველოში დანერგილი განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალ მექანიზმს წარმოადგენს. იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა კონცეფცია არასრულწლოვანთა განრიდებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების დანერგვის შესახებ, რომელიც პილოტაჟის სახით დაინერგა თბილისს, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში. იუსტიციის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა პროკურორთა და სოციალურ მუშაკთა ტრენინგი განრიდებისა და მედიაციის თემაზე. შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები და სპეციალური ფორმები განრიდებისა და მედიაციის მექანიზმში ჩართული პირებისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

- სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებული ურთიერთობის შედეგად 46 ინდივიდუალურ განაცხადზე მოხდა სამთავრობო მიმოხილვის გაგზავნა ევროსასამართლოში, ასევე 34 განაცხადზე სასამართლოს მიეწოდა კომენტარები და სამთავრობო პოზიცია განმცხადებლის სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან და საქართველოს სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობით, აქტიურად მიმდინარეობდა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი განჩინებების აღსრულების პროცესი 10 საქმეზე. ევროპულმა სასამართლომ მთავრობის სასარგებლოდ გამოიტანა 11 გადაწყვეტილება, აქედან 6 გადაწყვეტილებით ევროპული სასამართლოს განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხულ იქნა 1558 განაცხადი, ხოლო 5 გადაწყვეტილებით დაუშვებლად იქნა ცნობილი შესაბამისად 5 განაცხადი. მომზადდა სხვადასხვა სახის შიდასახელმწიფოებრივი ხასიათის წერილები სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებისგან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, უზრუნველყოფილ იქნა საარბიტრაჟო დავებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და კერძო სტრუქტურების თანამშრომლებთან შეხვედრები, ორგანიზებულ იქნა შეხვედრები მოწმებებთან, მომზადდა დაკითხვებისთვის შესაბამისი

დოკუმენტები და ა/შ, გარკვეულ საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით მომზადდა სამართლებრივი ანალიზი და დასკვნები, მოხდა მოპოვებული დოკუმენტების სისტემატიზაცია, დეტალური შესწავლა, დამუშავება, თარგმანების უზრუნველყოფა.

ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციისა და ელექტრონული გამოქვეყნების ავტომატიზაცია (საკანონმდებლო მაცნეს ვებ-პორტალი).

- დასრულდა ძალაში მყოფი საქართველოს კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, მთავრობის დადგენილებების და უწყებრივი ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია. დაინერგა საკანონმდებლო დოკუმენტების რეგისტრაციისა და გამოქვეყნების ელექტრონული პროგრამა.
- შეიქმნა საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), ნორმატიული აქტების საძიებო სისტემით. განხორციელდა ნორმატიული აქტების ელექტრონული გამოქვეყნება ვებგვერდის მეშვეობით.

ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა

- მონაცემთა ბაზაში გაადვილებულია ინფორმაციის გადამოწმება, მონაცემები დაცულია განადგურებისა და ფიზიკური ცვეთისაგან, მონაცემთა ბაზაში გენერირდება მოქალაქის ბიომეტრიული მონაცემები, როგორცაა სურათი, თითის ანაბეჭდი და ელექტრონული ხელმოწერა. აღნიშნული პროცესი უწყვეტია.


სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობა და მისი მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

- გაიხსნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ახალი საოფისე შენობა, სადაც აგრეთვე განთავსდა თბილისის სააღსრულებო ბიურო. შენობა აღჭურვილია თანამედროვე საოფისე ტექნიკით და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაინერგა და ეფექტურად ამოქმედდა ადამიანური რესურსების მართვის კომპონენტი, რამაც უზრუნველყო კვალიფიკაციური კადრების შერჩევის სწრაფი და ეფექტური მექანიზმის ამოქმედება.
- მიმდინარეობდა ბათუმის „იუსტიციის სახლის“ მშენებლობაში მონაწილეობის მიღება.
- დაინერგა და ამოქმედდა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა და მოვალეთა ელექტრონული რეესტრი (მოვალეთა რეესტრი). აღსრულების მხარეებს მიეცათ საშუალება, სახლიდან გაუსვლელად ნახონ მათი საქმის მიმდინარეობის ეტაპები.
- აღსრულების ეროვნული ბიუროს სათაო ოფისში დაინერგა რიგის მარეგულირებელი სისტემა, რამაც გააუმჯობესა მოქალაქეთა მომსახურების ხარისხი.
- ჩატარდა თემატური ტრენინგები - კომუნიკაცია და ეფექტური მომსახურება, ადამიანური რესურსების მართვა, მენეჯმენტი, უძრავი ქონების შეფასების სტანდარტები და სპიკერთა ტრენინგი.
- კანონმდებლობაში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავენ სააღსრულებო სისტემის დახვეწას და სააღსრულებო პროცესის კიდევ უფრო გაჭვირვალედ წარმართვას. აღნიშნულთან დაკავშირებით აღსრულების ეროვნულ ბიუროში


შეიქმნა დაყადაღებული ქონების შეფასების სამსახური, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საბაზრო ფასის გათვალისწინებით დაყადაღებული ქონების შეფასება.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასივნებებმა შეადგინა 125 359.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 124 235.2 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 5 328.7 ათასი ლარით აღემატება.



საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 72.6%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 27.3%, ხოლო „კალდებულებების კლების“ მუხლით – 0.1%.



2010 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- დასრულდა დაბა ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში ახალი, 2 200 მსჯავრდებულზე განსაზღვრული სარეჟიმო კორპუსის მშენებლობა, ეზოს კეთილმოწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა და 1000 მსჯავრდებულზე განკუთვნილი სასადილოსა და სამზარეულოს მშენებლობა; აგრეთვე, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა ამავე დაწესებულებაში არსებულ ორსართულიან შენობას, სადაც განთავსდა 620 პატიმარი. ასევე, განხორციელდა დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი სარეჟიმო კორპუსის ღობეებზე განათების მოწყობის სამუშაოები;

- დასრულდა ქ. რუსთავის №16 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2 080 მსჯავრდებულზე განსაზღვრული სარეჟიმო კორპუსის მშენებლობა, სამედიცინო კორპუსის რეკონსტრუქცია, შემომზღუდავი ღობეების კოსმეტიკური სამუშაოები და ეზოს კეთილმოწყობა; მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა 600 პატიმარზე განსაზღვრული არსებული სარეჟიმო კორპუსის სამღებრო, სანტექნიკური და ელ.გაყვანილობის სამუშაოები. მთლიანად კორპუსს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, ასევე განხორციელდა დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სარემონტო და ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, საშვთა ბიუროსა და მოქალაქეთა მოსაცდელის შენობების სამშენებლო სამუშაოები;

- დასრულდა ქ. რუსთავის №6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ქალთა – 1 200 მსჯავრდებულზე განსაზღვრული მთლიანი კომპლექსის სარეჟიმო კორპუსის მშენებლობა, გარე მაღალი ძაბვის ელ.მომარაგება, საქვებისა და სატრანსფორმატორო შენობების მშენებლობა,

ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა, სარეჟიმო კორპუსის გარე ლესვები. არსებული სასაბუღალტრო და სამხარეულოს მშენებლობა-რეკონსტრუქცია, შემომზღველადვი ღობეების მშენებლობა. მიმდინარეობდა დაწესებულების მიმდებარედ მშენებარე ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი ერთსართულიანი დედათა და ჩვილ-ბავშვთა საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები.

- ქ. ქუთაისის №2 საპრობაციოსა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების A კორპუსს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები;

- მიმდინარეობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ლითონის ღობეების მოწყობის, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრის მიწისაგან გაწმენდისა და სახურავის მოწყობის სამუშაოები. ასევე, განხორციელდა ახალი ერთსართულიანი ადმინისტრაციული კორპუსის სამშენებლო სამუშაოები და ძველ ადმინისტრაციულ კორპუსში დამატებითი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №10 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების პერიმეტრზე მოეწყო 5 ცალი სათვალთვალ კომპიუტერი;

- ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

- განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მე-4 კორპუსის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

- დაიწყო გრძელვადიანი პაემებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა არასრულწლოვანთა №11, რუსთავის №6 და №16 დაწესებულების ტერიტორიაზე

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2500-ზე მეტმა თანამშრომელმა აიმაღლა თავისი უნარ-ჩვევები;

- პრობაციის ფოთის ოფისის ინიციატივით მოეწყო არასრულწლოვანთათვის ანტინარკოტიკული აქცია;

- გორის რაიონის სოფ. ხიდისთავის პროფესიულ სასწავლებელში ჩაირიცხა 5 პრობაციონერი;

- „British Centre“-ში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე ჩაირიცხა 10 არასრულწლოვანი პრობაციონერები;

- დაბა ქარელში 2 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე, ხოლო 1 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ბიუროში;

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს 20 თანამშრომლისაგან შემდგარ საპილოტე ჯგუფისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 3 ტრენერისათვის, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში და საერთაშორისო ორგანიზაცია „Human Dynamics“-ის ეგიდით, ჩატარდა 3-დღიანი ტრენინგი გუდაურში სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის საკითხებზე;

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში ქართულ ენაზე გამოიცა „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული“;

- ჩატარდა სასჯელაღსრულების სისტემის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი (ძირითადი 90-საათიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 თანამშრომელმა;

- გარემონტდა და სრულად აღიჭურვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 50 ოფისი, განახლდა თბილისის ბიუროს ავტოპარკი).

- სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები გაეცნენ პატიმრობის ახალი კოდექსის ძირითად საკითხებს. სერტიფიცირებულია დაახლოებით 854 თანამშრომელი, რაც ნიშნავს, რომ მათ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევები;

- მომზადდა სასწავლო ცენტრის 10 ტრენერი „ინფორმირება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ პროგრამით;

- გაფორმდა მემორანდუმი პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის, რომელიც ითვალისწინებს თვეში ერთხელ არასრულწლოვანთათვის ლექციების ჩატარებას სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე

- საგრძნობლად გაუმჯობესდა სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო ნაწილების მომარაგება სახარჯი მასალებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით. გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სამოქალაქო სექტორში კვალიფიციური დახმარება გაეწია 820 პატიმარს (ჰოსპიტალიზაცია, ამბულატორიული დახმარება). ასევე, „დაავადებათა კონტროლის ჯგუფის“ მიერ დამატებითი კონსულტაციების ხარჯზე 19 292 პატიმარს გაეწია სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება.

- გაუმჯობესდა სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტოს რაიონულ ოფისებში სამუშაო პირობები და ტექნიკური ბაზა (საჩხერე, დუშეთი, ხაშური);

- დაქტილოსკოპური აპარატების დანერგვით დაიხვეწა კონტროლის მექანიზმი;

- საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სამუშაოზე დასაქმდა 100 პრობაციონერი.

- გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ამოქმედდა იურიდიული დახმარების ბიურო (ახალციხე) და საკონსულტაციო ცენტრი (ახალქალაქი);

- საერთაშორისო ურთიერთობები - პრობაციის ეროვნული სააგენტო გაწევრიანდა პრობაციის ევროპულ ორგანიზაციაში (CEP-the European Organization for Probation).

- გაფორმდა მემორანდუმი პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის, რომელიც ითვალისწინებს თვეში ერთხელ არასრულწლოვანთათვის ლექციების ჩატარებას სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე.

- საზოგადოებრივი ადვოკატები, უფასო იურიდიული დახმარების თემაზე შეხვდნენ საჩხერის, ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ლანჩხუთის, ამბროლაურის, კოდის, რუსთავის, თელავის, ქობულეთის, ოზურგეთის, მარნეულისა და კასპის მოსახლეობას;

- გაუმჯობესდა შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროების ინფრასტრუქტურა;

- საზოგადოებრივ ადვოკატებს ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: სამართლებრივი მართლწერა (რეესტრის ადვოკატებისათვის), არასრულწლოვანთა დაცვა, ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები, მატერიალური სისხლის სამართალი, ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხები, სასამართლო უნარ-ჩვევების

საკითხები (რეესტრის ადვოკატებისათვის), სასამართლო ფსიქიატრია, ალკეითის ღონისძიება და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები (რეესტრის ადვოკატებისათვის), ზეპირი მტკიცების უნარ-ჩვევები, ლტოლვილთა სამართლებრივი დაცვის საკითხები, ევექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, ოჯახში ძალადობის საკითხები.

- იურიდიული დახმარების ბიუროების თანამშრომლებმა ჩაატარეს ლექციები არასრულწლოვანი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; მოაწვეეს გასვლითი კონსულტაციები დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში; შეხვდნენ პრობაციონერებს და ესაუბრნენ მათი უფლება-მოვალეობების შესახებ;

- საქართველოს რვა უნივერსიტეტის ოცამდე სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო სტუდენტური ნაშრომების კონკურსში „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა საზოგადოებაში და საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური“. სტუდენტებმა გაეროს განვითარების პროგრამისგან (UNDP) სამახსოვრო პრიზები და სერთიფიკატები მიიღეს. გარდა ამისა, UNDP-ის მხარდაჭერით სტუდენტების ნაშრომები ცალკე კრებულად გამოიცემა;


- ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ სამომხმარებლო კვლევა;

- გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში დაიწყო მედია კამპანია, რომელიც ყოველთვიურად საგაზეთო ჩანართისა და რადიო გადაცემის მომზადებას გულისხმობს. ასევე, მომზადდა და ეთერში გავიდა კლიპი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ.

- მსჯავრდებულთა და პატიმართა პროფილური, სტაციონარული დახმარების გაწევის მიზნით, სატენდერო წესით, გაფორმდა ხელშეკრულებები სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორში არსებულ კლინიკებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში დადებულ იქნა ხელშეკრულება 9 კლინიკასთან, ხოლო დასავლეთ საქართველოში 6 კლინიკასთან. ხელშეკრულებების შედეგად მიღებული სამედიცინო სერვისების შესყიდვაზე დაიხარჯა 523.7 ათასი ლარი.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 70 378.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 67 979.5 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 1 874.8 ათასი ლარით აღემატება.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.3%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2010 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა ყაზახეთის თავმჯდომარეობასა და ეუთო-ს სხვა წევრ-სახელწიფოებთან საქართველოში ეუთო-ს წარმომადგენლობის აღდგენის მიზნით.

- ეუთო-ში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სხდომაზე გააკეთა საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ოკუპაციის შედეგად არსებული ვითარების ამსახველი შვიდი განცხადება.

- გრძელდებოდა კონსულტაციები პარტნიორ ქვეყნებთან საქართველოს რეგიონების ოკუპაციისა და განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის მიღების საკითხთან დაკავშირებით.

- საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით, ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში გაიმართა შეხვედრების მე-9 მე-14 რაუნდები.

- საქართველოს პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალისხმევით, ლიტვის სეიმის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ, რომლითაც აღიარებულია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

- ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატის 12 თვით, 2011 წლის სექტემბრამდე გახანგრძლივების შესახებ.

- გაერო-ს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიაზე წარმატებით გავიდა ქართული მხარის მიერ ინიცირებული რეზოლუცია: „ყაზახეთში საქართველოს და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი, საქართველო ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სიტუაციის შესახებ“

- ოქტომბერში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოჩენილი მტკიცე პოზიციის შედეგად, რუსეთმა გაიყვანა თავისი სამხედრო ნაწილი სოფ. პერევიდან

- ხორციელდებოდა გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების გაფორმებისათვის საჭირო შიდა პროცედურები, რის შედეგადაც ხელი მოეწერა გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმებას.

- დასრულდა მოლაპარაკებები საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე. ასევე, ქართულმა მხარემ დაასრულა საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმების ხელმოსაწერად საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

- ქ. ბრიუსელში გაიმართა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის პირველი ოფიციალური შეხვედრა;

- ქ. ბრიუსელში, საქართველოსა და ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის „ტროიკას“ ფორმატის შეხვედრა.

- დაიწყო მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე;

- პარაფორმულ იქნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება და დაიწყო მისი ხელმოწერისათვის საჭირო შესაბამისი შიდა პროცედურები;

- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტის მე-10 სხდომის ფარგლებში დაფუძნდა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ორი ახალი ქვეკომიტეტი.

- კომპეტენციის ფარგლებში, მიმდინარეობდა წლიური ეროვნული პროგრამის მომზადებაზე მუშაობა და წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობა, შესაბამისად ალიანსთან შეთანხმდა NATO-საქართველოს კომიის შეხვედრების გეგმა გრაფიკი და გაიმართა NATO-საქართველოს კომიის 15 შეხვედრა.

- პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ნდობის ფონდის ფარგლებში ალიანსთან შეთანხმდა საქართველოს ტერიტორიაზე ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან დასუფთავების პროექტი.

- სექტემბრიდან ოფიციალურად შევიდა ძალაში შეთანხმება NATO-ს სამეკავშირეო ოფისის ფუნქციონირების შესახებ.

- მიმდინარეობდა თანამშრომლობა სამოქალაქო, ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკური საკითხებზე ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში.

- NATO-სთან საქართველოს მისიამ გამართა 11 შეხვედრა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში.

- განხორციელდა NATO-ს გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში. ოქტომბერში ოფიციალურად გაიხსნა ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში.

- ოქტომბერში საქართველოში გაიმართა ნატოს კვირეული, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ალიანსის საქმიანობასა და მიზნებთან დაკავშირებით.

- ქ. ლისაბონში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტი, სადაც დამტკიცებულ იქნა ნატოს-ს ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელში ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ კონცეფციის შემადგენელი ნაწილი გახდა.

- ივნისში თბილისში შედგა შვედეთის სავაჭრო საბჭოსა და ექსპორტის ხელშეწყობი ორგანიზაცია Open Trade Gate-ის ორგანიზებით გამართული ბიზნეს ფორუმი. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მსხვილი პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობების განხილვა.

- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის მინისტრის მოადგილის, ჩინეთის ბიზნეს წრეების, ჩინეთის მთავრობისა და სინძიანის ავტონომიური რეგიონის წარმომადგენლების ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებას „ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის“ შესახებ გრანტზე, რომელიც გამოყენებულ იქნება ორი ქვეყნის მთავრობებს შორის შეთანხმებული ეკონომიკურ-ტექნიკური პროექტების განსახორციელებლად.

- საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, შედგა იაპონური კომპანია „ITOCHU Corporation“-ის წარმომადგენლების ვიზიტი. იაპონელი სტუმრების ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პროექტში „East-West Highway“ მონაწილეობის შესაძლებლობის განსაზღვრა, ქ. თბილისის მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის გაცნობა და მისი შესაძლო განვითარებისათვის ქართულ მხარესთან თანამშრომლობის წარმართვა. ვიზიტის ფარგლებში, მოხდა შეთანხმება, რომ ქართულმა მხარემ მოამზადოს და მიაწოდოს

ინფორმაცია იაპონურ მხარეს, ქ. თბილისის მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისათვის განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებების შესახებ.

- ენერგეტიკული კონფერენციაზე სახელწოდებით „Developing the Southern Corridor – promotion of energy supplies from Caspian Region“, მიღებულ იქნა ბათუმის ენერგეტიკული დეკლარაცია.

- ქ. ანკარაში გამართულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა შეთანხმება ოშკის გუმბათის გამაგრების პროექტზე, ასევე მხარეების შეთანხმდნენ, რომ ოქმში აისახება დამატებითი ძეგლების რესტავრაციის განხორციელების საკითხი

- დაიგეგმა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების, სხდომებისა და ბიზნეს ფორუმების ჩატარება იაპონიაში, ჩინეთში, ისრაელში, ინდოეთში, იორდანიაში და ირანში.

- დაიგეგმა და განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტები აშშ–სთან. მათ შორის, აღმოსავლეთ–ევროპული ტურნეს ფარგლებში საქართველოს ეწვია აშშ–ს სახელმწიფო მდივანი ქალბატონი ჰილარი კლინტონი.

- გაიმართა საქართველოს უმაღლესი დონის დელეგაციის ვიზიტი ქ. ნიუ იორკში, რომლის მიზანიც გაერო-ს გენ ასამბლეის 65-ე სესიის გენერალურ დებატებში მონაწილეობა გახლდათ. ვიზიტისას გაიმართა 80-მდე ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა. ჩატარდა კონსულტაციები სუამის, ბისეკის, ევროკავშირის ფორმატებში.

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ლიტვის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში კომისიის დამფუძნებელ დოკუმენტს.

- ქართულ მხარესა და ეროვნულ უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესო კომისრის იფისს (HCNM) შორის გაფორმდა თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ შეთანხმება.

- განხორციელდა საქართველოსა და ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების თაობაზე შეთანხმების მიღწევა და ხელშეკრულების გასაფორმებლად შესაბამისი პროცედურების ინიცირება. გაიხსნა საქართველოს საელჩო ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში;

- გაიხსნა საქართველოს საელჩო პორტუგალიის რესპუბლიკაში.

- მოხერხდა მექსიკის ელჩის (რეზიდენციით ქ. ანკარა) საქართველოში დანიშვნა.

- ქ.ტოკიოში გაიმართა საქართველოსა და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები

- პოლიტიკური კონსულტაციების პირველი რაუნდი გაიმართა ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ფიჯის კუნძულების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან;

- საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის შედგა მთავრობათაშორისი ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მე-4 სხდომა ქ. პეკინში;

- ხელი მოეწერა საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის ასევე საქართველოსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის შორის შემოსავლებზე და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებას;

- განხორციელდა საქართველოსა და ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების თაობაზე შეთანხმების მიღწევა და ხელშეკრულების გასაფორმებლად შესაბამისი პროცედურების ინიცირება.

- ხელი მოეწერა „სირიის არაბთა რესპუბლიკასა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის შეთანხმების ოქმს და შეთანხმებას მთავრობებს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“

- პერუში გაიმართა საქართველოსა და პერუს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები;

- ხელი მოეწერა საქართველოსა და პერუს მთავრობებს შორის დიპლომატიური, სპეციალური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელების ვიზის მიღების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას.

- მიღებულ იქნა თანხმობა კანადის მხარისგან ქ. ოტავაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.

- ხელი მოეწერა ინდოეთთან შემდეგ შეთანხმებს: 1”საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება” 2.” საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება”. 3.”საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო, ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის საკითხებზე მთავრობათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ შეთანხმება”.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით, რაც გულისხმობს საქართველოს მოქალაქეების დაკავება/დეპორტაციის დროს სათანადო რეაგირებას, გარდაცვლილთა გადმოსვენების ხელშეწყობას, სათანადო დოკუმენტაციით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ საკითხებში დახმარებას.

- მიმდინარეობდა მუშაობა ნორვეგიის სამეფოსთან რეადმისიის შეთანხმების თაობაზე. ასევე, მოლდოვასა და ტაჯიკეთთან საქართველოს მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების თაობაზე.

- საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთათვის ეფექტური მომსახურების ასამაღლებლად, მიმდინარეობდა მუშაობა დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და ნოტარიუსთა პალატის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში სრულად ჩართვის მიზნით.

- საქართველოს დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა ისრაელის სახელმწიფოს, ხორვატიის, სლოვენის, სირიის არაბთა, მალტის, ბრაზილიის, პოლონეთის, სამხრეთ აფრიკის, ალბანეთის და ინდოეთის რესპუბლიკებთან. ხოლო ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის—ირანის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ბრაზილიის და მოლდოვის სახელმწიფოებთან.

- გაფართოვებულ იქნა საკონსულო სამსახურების დაფარვის არეალი. დაინიშნენ საქართველოს საპატიო კონსულები სევილიაში, პოლონეთში, ავსტრიასა, ლიბანის რესპუბლიკაში, საფრანგეთში, აშშ-ში და ფილიპინებში.

- შესაძლებელი გახდა საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ გადაადგილების გამარტივება, თანამშრომლობის გაძლიერება უკანონო მიგრაციის

წინააღმდეგ, ლიბერალური სავიზო რეჟიმის შემოღება, ასევე, დროებითი ცხოვრებისა და შრომითი უფლებების მიღება.


- საქართველოს საელჩოებს პოლონეთში, საბერძნეთის რესპუბლიკაში, ბელგიის სამეფოში, ბულგარეთის რესპუბლიკაში, ქუვეითის სახელმწიფოში და ქ.ტრაპზონში საქართველოს საკონსულოს გაეგზავნა ქართულენოვანი მხატვრული ლიტერატურა. მიმდინარეობს მუშაობა, რათა სხვა ქვეყნებშიც იქნას მიწოდებული ლიტერატურა საქართველოს თავისუფლებააღკვეთილი მოქალაქეებისათვის მიწოდების მიზნით. ამავდროულად, პოლონეთის რესპუბლიკაში, კვიპროსის რესპუბლიკასა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში ციხეებში და/ან სადებორტაციო/საიმიგრაციო დაწესებულებებში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მიეწოდათ შესაბამისი დაწესებულების შინაგანაწესის ქართულენოვანი თარგმანები.

- შემუშავებულ და პარლამენტში განსახილველად წარდგენილ იქნა საკონსულო საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო


საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 748 721.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 728 007.5 ათასი ლარი, რაც 2009 წელს შესაბამის მაჩვენებელზე 141 681.7 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 79.6%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 12.9%, ხოლო „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 7.5%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2010 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება

- ამაღლდა PPBS-ის იმპლემენტაციის პროცესში თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთქმედების ხარისხი;
- საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის შემუშავდა დოკტრინები სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე;
- შემუშავდა შემდეგი დოკუმენტები: „მინისტრის ხელვა 2010“, „საქართველოს საფრთხეების შეფასება 2010-2013“ (სამხედრო ნაწილი კუთხით), „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“ და „თავდაცვის დაგეგმვის კონცეფცია 2010“;
- განხორციელდა შესყიდვების მართვის არსებული სისტემის ოპტიმიზაცია და დაიწყო მისი დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების ერთიან სისტემაში ეტაპობრივი ინტეგრაცია;
- ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში PPBS-ის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები;

- დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა PPBS-ის სტრატეგიული დონის სახელმძღვანელო, მიმდინარეობდა მუშაობა და დამტკიცდა სტრატეგიულ-ოპერატიული დონის სახელმძღვანელო;

- დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა გადაწყვეტილების მიმღები საბჭოსა და მართვის ჯგუფის დებულებები;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის ფარგლებში პირველად შემუშავდა ნაწილობრივ პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც დადებითად იქნა შეფასებული უცხოელი ექსპერტების მიერ;

- ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ ბაზაზე გაიხსნა სიმულაციური სასწავლო ცენტრი.

- დაინერგა SAP - HR მოდული, და დასრულების ეტაპზეა სისტემაში მონაცემების განთავსების პროცესი;

- მედიასთან, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად გაიზარდა შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესებისა და თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი. გააქტიურდა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგი;

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და სოციალური პირობების გაუმჯობესება

- გატარდა ღონისძიებები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის კვალიფიკაციის მაღალი დონის მისაღწევად;

- დაინერგა სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის პროფესიული და სასწავლო-მეთოდოლოგიური მომზადების თანამედროვე პროგრამები;

- თავდაცვის სამინისტროში დაინერგა სასწავლო კურსებზე წარსაგზავნ კანდიდატთა შერჩევის მექანიზმები. შემუშავდა პროფესიული განვითარების სახელმძღვანელოს პროექტი. პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა NATO-სთან თავსებადი შერჩევის საბჭო.

- მომზადდა არსებულ ძალთა სტრუქტურის მიხედვით ძირითადი სამხედრო თანამდებობების საშტატო განრიგების პროექტები;

- მომზადდა და იურიდიულ პროცედურებს გადის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი და თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტი;

- შემუშავდა სამხედრო განათლების შესახებ კანონის პროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

- მოსამსახურეთა სოციალური პირობების ამაღლების მიზნით, რიგ სამხედრო მოსამსახურეებს, თავიანთი სპეციფიკისა და შეიარაღებული ძალებისათვის მეტად საჭირო სპეციალობების მიხედვით დაუწესდათ სპეციალური დანამატები;

- საყაზარძე პირობების გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა ყაზარძეების სარემონტო სამუშაოები და ყაზარძეები დაკომპლექტდა საოფისე და სასადილო ინვენტარით.

- გაუმჯობესდა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალისა და შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა.
- დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, რაც ხელსშეუწყობს მომავალი წარმატებული სამხედრო კადრების მომზადებას;

შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება

- გაუმჯობესდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების მექანიზმები;
- გაიზარდა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის მზადყოფნა;
- მიმდინარეობდა მუშაობა თავდაცვის სამინისტროს ერთიანი კორპორატიული კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების (CIS) ქსელის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით აგების მიზნით, რომელიც სავარაუდოთ დასრულდება 2012 წელს;
- ამერიკის შეერთებული შტატების მრჩეველთა ჯგუფთან (CUBIC) მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა შემდგომ თემატურ საკითხებზე:
ოფიცრებისა და სერჟანტებისათვის პროფესიული განვითარების კურსების შემუშავება, ღირექტივებისა და სახელმძღვანელოების დანერგვა და ლოქტრინების შემუშავება;
- საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობდა მუშაობა CIMIC-ის შესაბამისი სტრუქტურის (მათ შორის PSYOPS) შექმნის მიზნით;
- საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შემუშავდა ლოქტრინებისა და კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისა და განვითარების ახალი კონცეფცია;
- შემუშავდა და განხორციელდა ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარების და შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების გეგმა.
- NATO-ს სტანდარტებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნების შესაბამისად დაიწყო ლოგისტიკის ტრანსფორმაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესი;
- განახლდა შეიარაღებული ძალების რეზერვის კონცეფცია, რის საფუძველზეც განხორციელდა ეროვნული გვარდიის სტრუქტურული და საშტატო რეორგანიზაცია;
- „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, შემუშავდა პროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს განსახილველად;
- 2010 წელს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადმოეცა რიგი სამეცნიერო-კვლევითი პროფილის ინსტიტუტები;

NATO-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია


- ამაღლდა საქართველოს თავდაცვის სისტემის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან თავსებადობის ხარისხი;
- მომზადდა ნატოს შერეული და კოალიციური ჯარების შემადგენლობასთან ერთობლივი დავალებების შესრულების მქონე ქვედანაყოფები;

- გაერთიანებულ შტაბთან და სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით შემუშავებულ იქნა ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP);
- NATO-სთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად გადაწყდა პარტნიორობის მიზნების გადახედვა და ახალი მიზნების დასახვა;
- განხორციელდა „ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა“ (IPP) და დაიგეგმა შემდგომი წლის პროგრამა;
- განხორციელდა ენების კოორდინაციის ბიუროს (BILC) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტები, რომელთა დროს შეფასდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ინგლისური ენის სწავლების პროცესი და შემუშავდა შემდგომი რეკომენდაციები;
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და მოლდოვას Clearing Houses-ის კონფერენციებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დონორ ქვეყნებს წარედგინათ ვრცელი ინფორმაცია მიმდინარე რეფორმების შესახებ და მიეწოდათ განახლებული დახმარებების ნუსხა (Assistance List);
- NATO -სთან თანამშრომლობის ფარგლებში ინიცირებულ იქნა ახალი პროექტი სამხედრო განათლებისა და წვრთნების გაუმჯობესების საკითხებზე;
- ჩატარდა სემინარი სტანდარტიზაციის საკითხებზე, NATO-ს სტანდარტიზაციის სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით;
- NATO–საქართველოს კომისიის ფარგლებში თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა პროფესიული განვითარების პროგრამა;
- განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტები სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და თავდაცვის რესურსების მართვის საკითხებზე;
- პარტნიორ ქვეყნებთან შემუშავდა 2010 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები;
- ავღანეთში მიმდინარე NATO-ს ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად მომზადდა და გაიგზავნა სახმელეთო ჯარების შემადგენლობის მსუბუქი ქვეითი ბატალიონი და სამშვიდობო ასეული;
- ქართული სამშვიდობო ასეული განაგრძობდა ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილეობას ფრანგული კონტიგენტის შემადგენლობაში, ქ. ქაბულში, რეგიონალური სარდლობის შტაბ-ბინაში მდებარე „ვორჰაუს“-ის ბაზაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ავღანეთის სამხრეთით მდებარე ჰელმანდის პროვინციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის 750 სამხედრო პირი გაიგზავნა, რომელიც აშშ-ის სახმელეთო ძალების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდა. 31-ე ბატალიონი მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონმა განმავლობაში როტაციის წესით ჩაანაცვლა 2010 წლის ნოემბრის თვეში;
- საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით, სამხედრო მოსამსახურეებმა შეიძინეს პრაქტიკულ საბრძოლო გამოცდილება და გამოხატეს მზადყოფნა ითანამშრომლონ NATO-სა და სხვა პარტნიორი ქვეყნების ჯარებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 550 446.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 549 235.7 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 24 137.5 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 85.57%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 14.42%, ხოლო „ვალდებულების კლების მუხლში“ – 0.01%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2010 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა

- აღირიცხა 767 673 სამართალდარღვევის ფაქტი, გაცემულია პასუხი სხვადასხვა სამსახურებიდან 80 203 პირთან დაკავშირებით შემოსულ შეკითხვაზე, დარეგისტრირდა სისხლის სამართლის დანაშაულის 34 739 ფაქტი, დანაშაულის გახსნის 17 101 შემთხვევა და საქმის შეწყვეტის 15 016 სააღრიცხვო ბარათი;

- გროვდებოდა და მუშავდებოდა ოჯახურ კონფლიქტებთან, ძალადობის ფაქტებთან, ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის სფეროში დარღვევებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზები, მიმდინარეობდა მათი ანალიზი, წმენდა არარეალური და დუბლირებული ჩანაწერებისაგან, ჩანაწერების კორექტირება და შესაბამისი კარტოთეკების წარმოება;

- ოპერატიულ-საცნობარო კარტოთეკაში შემოწმებულ იქნა მოთხოვნა 205.3 ათასამდე პირზე. გაიცა 132 789 ცნობა ნასამართლეობაზე, იარაღზე – 21 920, ძეხნაზე შემოწმდა – 13 799 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე შემოწმდა 272.0 ათასამდე პირი;

- შენობა-ნაგებობების მშენებლობის ღონისძიებების ფარგლებში ქ. თბილისში აშენდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა ვაკე-საბურთალოს პოლიციის I განყოფილება, გლდან-ნაძალადევის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა, ისანი-სამგორის VI და დიდუბე-ჩუღურეთის III განყოფილებები; მიმდინარეობდა ისანი-სამგორის II და VIII განყოფილებების, გლდანი ნაძალადევის I და V განყოფილებების, ძველი თბილისისა და ისან-სამგორის სამმართველოების ახალი ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო სამუშაოები და დასრულდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს შენობის სარემონტო სამუშაოები; კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მოდულის შენობას;

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აშენდა და თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა პოლიციის 30 ტიპური შენობა; აშენდა თამარისისა და გომარეთის პოლიციის განყოფილებები, ახმეტისა და ხაშურის რაიონული სამმართველოები, დუისის განყოფილება და გორის რაიონული სამმართველო. დასრულდა შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ვარიანის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტი; მიმდინარეობდა პერევის განყოფილების ახალი შენობის, მარტვილის რაიონული სამმართველოს სამშენებლო სამუშაოები და აშენდა ნარაზენის, იფარისა და ხევსურთსოფელის განყოფილებების ადმინისტრაციული შენობები;

- დასრულდა ქალაქ ბათუმის სამმართველოს VII განყოფილების შენობის მშენებლობა;

- კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ღროებითი მოთავსების იზოლატორების დიდ ნაწილს; აშენდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს I და

II სახაზო-საპატრულო განყოფილება. დასრულდა წყალწმინდის განყოფილების, შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა და ადიგენის რაიონული სამმართველოსა და აბასთუმნის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობების კაპიტალური რემონტი;

- განახლდა ავტოპარკი, კერძოდ, შექნილ იქნა 220 ერთეული მაღალი გამავლობის და 31 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა;
- საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნა ახალი მონაცემთა ბაზები და განხორციელდა მათი შემდგომში ოპტიმიზაცია ინფორმაციის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- შეიქმნა კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა, სადაც შევიდა სახელმწიფო უშიშროების 300 თანამშრომელზე არსებული მონაცემები. აგრეთვე, მიმდინარეობდა კართოტეკაზე მუშაობა, რომელშიც შესულია მონაცემები 14 000 პირზე;

სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა

- სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად განხორციელდა სახელმწიფო საზღვრის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა;
- სახელმწიფო საზღვარზე მიმდინარეობდა ოპერატიული სამძებრო საქმიანობა; სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიება და ადმინისტრაციული საქმის წარმოება;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, ქვეყნის საზღვაო სივრცეში და იურისდიქციისაღმე დაქვემდებარებულ გეგმებსა და საფრენ საშუალებებზე მიმდინარეობდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- მიმდინარეობდა სასაზღვრო ინციდენტების, სამხედრო და სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება;
- ხორციელდებოდა სამაშველო ოპერაციები ზღვაზე, სასაზღვრო ზოლსა და ზონაში;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში მიმდინარეობდა არსებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი რეაგირების მექანიზმის შემუშავება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება;
- ნავსადგურებში ხორციელდებოდა უსაფრთხოების დაცვა, საზღვაო სივრცეში სუვერენული უფლებების და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში მიმდინარეობდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), კონტრაბანდული საქონლის,

მ.შ. ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

- შემცირდა კონტრაბანდული საქონლის იმპორტი და ექსპორტი;
- მაღალმთიანი რეგიონების სწრაფი რეაგირების ჯგუფები უზრუნველყოფილ იქნენ სამთო-სამაშველო აღჭურვილობით.

- საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე დაკავებულია 27 მოქალაქე, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევაზე – 35 მოქალაქე, 1 ძებნილი მოქალაქე, კონტრაბანდული საქონლის იმპორტზე – 4 მოქალაქე, გამოვლინდა საჰაერო სივრცის დარღვევის 8 ფაქტი;

- საზღვაო სივრცეში გამოვლენილი სამართალდარღვევებისათვის დაკავებულია: ზღვის დაბინძურებაზე – 20 გემი, ნაოსნობის წესების დარღვევაზე – 6; უკანონო თევზჭერაზე – 2; ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლისათვის – 1, ჩამორთმეულია და გადაცემულია სახელმწიფო საკუთრებაში უკანონოდ მოპოვებული 66.4 ტონა თევზი. ხოლო, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ საქართველოს საზღვაო სივრცეში გამოვლენილი სამართალდარღვევებისათვის დაკავებულია 32 გემი და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ შეადგინა – 1.7 მლნ ლარი;

- განხორციელდა 8 სამაშველო ოპერაცია ზღვაზე და 5 სამაშველო ოპერაცია ხმელეთზე;

- მესაზღვრეთა პროფესიული დონის ასამაღლებლად საქართველოში ჩატარებული სწავლებები გაიარა სასაზღვრო პოლიციის 665 მოსამსახურემ, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში, ასევე აშშ-სა და თურქეთის რესპუბლიკაში შესაბამის სასწავლო ცენტრებში მომზადება-გადამზადება გაიარა 96 მოსამსახურემ, ხოლო ვიზიტებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 116 მოსამსახურემ;

- სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს: საქართველოში აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხის შემცირების სააგენტოს საერთაშორისო გაუვრცელებლობის პროგრამის ეგიდით ჩატარებულ „მასობრივი განადგურების იარაღის ინციდენტის დროს ეროვნული სამეთაურო მართვის ცენტრის მოქმედებებთან დაკავშირებული სასწავლო მეცადინეობის დაგეგმვით ღონისძიებებში“, „BLACKSEAFOR“-ის თანამშრომლობის ფარგლებში შავი ზღვის სამხედრო საზღვაო ძალების სარდალთა შეხვედრებში, გაეროს განვითარების პროგრამა „სამიგრაციო პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან“ ერთად დაგეგმილ სამხრეთ კავკასიაში ინტეგრირებული საზღვრის მართვის სისტემის პროგრამის სამუშაო შეხვედრაში;

- მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან საქართველო-სომხეთის, საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკების სადელიმიტაციო კომისიებისათვის შექმნილი მსხვილმასშტაბიანი რუკების ანალიზზე; საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო-სადემარკაციო კომისიების ექსპერტთა ჯგუფებში; საქართველო-სომხეთის, საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო პროცესებთან დაკავშირებით მოძიებულ მასალებზე; „სახელმწიფო საზღვრის დაცვის

ინსტრუქციაში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით წინადადებების შემუშავებაზე; საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო-სადემარკაციო კომისიების ექსპერტთა ჯგუფებში;

- ბაქო-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო გზის პროექტის მარაბდა-კარწახის მშენებლობის მონაკვეთში 50 000 მასშტაბის რუკაზე დაზუსტდა რკინიგზის ხაზისა და სახელმწიფო საზღვრის კვეთის ადგილი და მისი გამავლობა სასაზღვრო ზონაში და ზოლში;

პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება

- განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა, კერძოდ კი დეტექტივ-გამომძიებელთა გადამზადება. აგრეთვე, განახლდა სალექციო მასალა;

- ექსპლუატაციაში შევიდა სასწავლო კორპუსის მე-4 სართული, სადაც განთავსდა 12 ახალი აუდიტორია, 5 სამუშაო კაბინეტი და 1 ტექნიკური ოთახი, აკადემიის ტერიტორიაზე არსებულ აუზს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები;

- ჩატარდა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საფინანსო დანაყოფების ხელმძღვანელთა და ამავე დანაყოფებში სახელმწიფო შესყიდვებზე უფლებამოსილ მომსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;

- შსს აკადემიაში სპეციალური გადამზადების კურსები გაიარა 2 670 მსმენელმა; საბაზისო მომზადების კურსები – 798, დაწინაურების კურსები – 175, სსიპ შემოსავლების სამსახურის სტაჟიორთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსები – 297 ადამიანმა. ასევე, შსს აკადემიაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლის მანდატურთა საბაზისო მომზადების კურსი გაიარა 910 ადამიანმა; მიმდინარეობდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ტრენინგებად შსს-ს თანამშრომლების მომზადება. გამოძიების ელექტრონულ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, შსს აკადემიაში სისხლის სამართლის ახალ პროცესში შერჩეულმა ტრენინგებმა, გაიარეს მომზადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოძიებისათვის შექმნილ პროგრამაში.

- შემუშავდა და დაიხვეწა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გადამზადების თემატური გეგმები და სასწავლო მასალა;

ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- განხორციელდა დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, მნიშვნელოვანი ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვა, ფულადი სახსრებისა და მოძრავი ტვირთების დაცვა - გაცილებდა;

- გარემონტდა და თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა სსიპ – დაცვის პოლიციის ადმინისტრაციული შენობა და განახლდა ავტოპარკი, განხორციელდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების 5%-იანი ზრდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვა


- ექიმებთან მიღება გაიარა 65.6 ათასზე მეტმა პაციენტმა; სტომატოლოგიური მკურნალობა ჩატარდა 5.7 ათასზე მეტ პაციენტს; ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 4.1 ათასამდე გამოკვლევა; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 5.5 ათასამდე გამოკვლევა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში ჩატარებულ იქნა 10.0 ათასამდე პროცედურა, რენტგენოლოგიურ კაბინეტში მიღებულ იქნა 9.3 ათასზე მეტი პაციენტი; ლაბორატორიული ანალიზი ჩატარდა 19.0 ათასამდე პაციენტს; საინექციო კაბინეტში ჩატარდა 1.2 ათასზე მეტი პროცედურა; მასაჟის კაბინეტში მიღებულ იქნა 4.0 ათასამდე პაციენტი; სულ კომისია გაიარა 4.8 ათასამდე პირმა. სტაციონალური სამედიცინო მკურნალობა გაიარა 1.4 ათასამდე პაციენტმა.

სახელმწიფო მატერიალური რეზერვის მარაგის შენახვა და მომსახურება, ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა

- განხორციელდა ჯავშანმოხსნილი მატერიალური ფასეულობების აუქციონის წესით რეალიზაცია, რეალიზაციიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა – 37 905 ლარი, რომელიც მიმართულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში;
- პერიოდულად ტარდებოდა საპასუხისმგებლო შენახვაზე მიბარებული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და უნებართვო ხარჯვის გამოვლენის შემთხვევაში საქმეები გადაცემულ იქნა შესაბამის ორგანოებზე.


საქართველოს დაზვერვის სამსახური

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 5 000.0 ათასი ლარი, 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 500.0 ათასი ლარით ნაკლებია.




საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 100%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 550 424.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 537 999.0 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 49 340.2 ათასი ლარით აღემატება.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 93.0%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 6.8%, ხოლო „ვალდებულების კლების“ მუხლში – 0.2%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით 2010 წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის დეცენტრალიზებული სისტემების სრულყოფა

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები უზრუნველყოფილი იყვნენ ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 1300-მდე მცირეკონტინგენტიანმა საჯარო სკოლმა მიიღო დამატებითი დაფინანსება სახელფასო და მიმდინარე ხარჯების დაფარვის მიზნით;

- ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფილნი იყვნენ საქართველოს საჯარო სკოლების მასწავლებლები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და ზოგიერთი დაწესებულებების აღმზრდელები, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, სულ 75.5 ათასზე მეტი ბენეფიციარი;

- ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები და შედეგად გამოცდებზე დარეგისტრირებული 36.0 ათასი აბიტურიენტიდან 26.0 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის 8.5 ათასზე მეტმა პირმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ხოლო გრანტი გაიუმჯობესა 208 სტუდენტმა.

- საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დარეგისტრირებული 6.5 ათასზე მეტი მაგისტრანტობის კანდიდატიდან აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ სპეციალობის გამოცდაში/გამოცდებში გასვლის უფლება მოიპოვა 4.6 ათასზე მეტმა კანდიდატმა, მათ შორის 900-ზე მეტმა კანდიდატმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი;

- მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში დარეგისტრირებული 13.5 ათასზე მეტი პედაგოგიდან, სასერტიფიკაციო გამოცდები (ქართულ ენასა და ლიტერატურის, მათემატიკაში, უცხოურ ენებსა და პროფესიულ უნარებში) წარმატებით დაძლია სულ 1.2 ათასზე მეტმა პირმა.

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო 2011 წლის ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო/მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების დაგეგმვა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს საინფორმაციო ბაზების ფორმირება, მეთვალყურეების, კურატორების და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირების შერჩევის პირველი ეტაპი და გატარდა გარკვეული ღონისძიებები ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო/მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდებზე ელექტრონული რეგისტრაციის დანერგვისთან დაკავშირებით; ჩატარდა საცდელი ტესტირებები;

- 2010-2011 სასწავლო წლის დამამთავრებელი კლასის გამოცდების ტესტის ფორმატის და საგამოცდო პროგრამის შემუშავების, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და საგამოცდო პროცესის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით შერჩეულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარდა საცდელი ტესტირებები, რომლებშიც მონაწილეობდა 32.4 ათასზე მეტი მოსწავლე;

- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების 5 ღონიანი სისტემა;

- მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტი, სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტი, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და კვალიფიკაციათა ნუსხა;

- პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDR) და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა და გამოიცა 13 დასახელების სახელმძღვანელო სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის დარგებში; პროექტში ჩართული იყო 31 მასწავლებელი გაეროს განვითარების პროგრამის პროექტში მონაწილე - კაჭრეთის, თელავის, ახალციხის, ქუთაისისა და ამბროლაურის პროფესიული კოლეჯებიდან. „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა 5 დღიანი ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაზე;

- 2010 წელს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაციის „განათლება დემოკრატიისათვის“ მხარდაჭერით 8 პროფესიულ კოლეჯში (ფოთი, ქუთაისი, ქობულეთი, ხიდისთავი, თბილისის 4 პროფესიული კოლეჯი) 750-ზე მეტმა დევნილმა გაიარა მომზადება\გადამზადება 15 სხვადასხვა სპეციალობაში;

- გაიზარდა პროფესიულ სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა რიცხვი. სხვადასხვა კოლეჯში ირიცხებოდა 120-ზე მეტი სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის სტუდენტი;

- მსჯავრდადებულთა და პრობაციონერთა ინტერესების გათვალისწინებით თბილისის პროფესიულ კოლეჯის „სპექტრი“ დახმარებით გადამზადდნენ მსჯავრდებულები და პრობაციონერები სხვადასხვა სპეციალობებში (მკერავი, გამომჭრელ-მოღელიორი) და წარმატებით დასრულების შემდეგ მასში მონაწილე პირებს მიენიჭათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები;

- თბილისის რამდენიმე კოლეჯში გამოიცვალა სასწავლო კორპუსების სახურავები, ხოლო თბილისისა და რეგიონების პროფესიულ კოლეჯებში მიმდინარეობდა სასწავლო სახელოსნოების რემონტი და აღჭურვა;

სასწავლო გარემოს, განათლების ხარისხისა და ხარისხის მართვის სისტემების გაუმჯობესება

- შემოღებული იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემა, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება მხოლოდ ავტორიზაციის გავლის (სათანადო სტანდარტების დაკმაყოფილების) შემდეგ იქნება შესაძლებელი. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად გამოიყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროგრამები, რომლებისთვისაც აკრედიტაცია სავალდებულო გახდა;

- პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში დარეგისტრირდა 60-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 5.3 ათასზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი.

- გადაიხედა ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფცია; განისაზღვრა, დაზუსტდა და შეთანხმდა ტერმინოლოგია; შეიქმნა დარგობრივი სამუშაო ჯგუფები, გაერთიანებული საგნობრივი კომისიები და მეთოდური საბჭოები. ცენტრის ექსპერტების, მოქმედი მასწავლებლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები I-XII კლასების ყველა საგნისთვის;

- შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმა 2010-2011 სასწავლო წლისათვის. ტრიმესტრული სწავლება შეიცვალა სემესტრულით, შემოვიდა მოსწავლეთა შეფასების ახალი სისტემა, დაინერგა ახალი საათობრივი ბაღე (15 საპილოტე სკოლაში), რაც

გულისხმობდა ახალი დისციპლინების შემოღებას, როგორცაა სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მსოფლიო კულტურა. ფიზკულტურის გაკვეთილები ჩანაცვლდა სპორტის გაკვეთილებით, გაძლიერდა საბუნებისმეტყველო საგნების, ინგლისური ენისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება, გაიზარდა არჩევითი საგნების ჩამონათვალი და სხვ. ასევე დასრულდა მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებაზე 2011-2016 სასწავლო წლებისთვის, რომლის დანერგვაც ეტაპობრივად მოხდება;

- დაიხვეწა გრიფის მინიჭების წესი კერძოდ საკონკურსო პროცედურები, განისაზღვრა სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები, პროცედურა, ტექნიკური პარამეტრები, და მეთოდოლოგია. გაფართოვდა შემფასებელთა წრე. გრიფის მინიჭების ახალი წესით სახელმძღვანელოების კონკურსში მონაწილეობა მიიღო 32 გამომცემლობის 120-მა სახელმძღვანელომ და გრიფი მიენიჭა 77 სახელმძღვანელოს;

- „კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ პროგრამის ფარგლებში მოხდა კვალიფიციური ტრენერ-მასწავლებლის მივლინება რეგიონებში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, მარნეული და საგარეჯო). პედაგოგები მუშაობდნენ მოსწავლეებთან, კოლეგებთან და თემის წევრებთან, შექმნეს ქართული ენის კლუბები და უზრუნველყოფდნენ ქართული ენის სწავლებას ყველა მსურველისთვის. სკოლის საათობრივ ანაზღაურებასთან ერთად აღნიშნული ტრენერ-მასწავლებლების ხელფასის სახით იღებდნენ დამატებით ანაზღაურებას 1000 ლარის ოდენობით; პროგრამის ფარგლებში ჩატარდა შუალედურ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მივლინებულმა 45-მა ქართულის ენის მასწავლებელმა;

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ვაუჩერი მიიღო 14.3 ათასზე მეტმა პედაგოგმა, პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის სპეციალისტები დაესწრნენ 39 ტრენინგს და გამოკითხეს 679 პედაგოგი;

- პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 19 ქართველმა პედაგოგმა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან; თბილისში ჩატარდა პესტალოცის მორიგი ევროპული სემინარი „მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული განვითარება და კავშირი კარიერულ ზრდასთან“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც პედაგოგები და განათლების სპეციალისტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიებიდან (საფრანგეთი, ბრიტანეთი, ესპანეთი, ლიტვა, კვიპროსი, უნგრეთი, პოლონეთი), ასევე ქართველი სერთიფიცირებული პედაგოგებიც.

- მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიმართა მაძიებლების ტრენინგი თბილისში, რომელსაც დაესწრო 34 მაძიებელი თბილისის, გორის, თელავისა და ახალციხის საჯარო სკოლებიდან, მომზადდა და დაიბეჭდა 400 ერთეული მენტორის და მაძიებლის სახელმძღვანელო. ჩატარდა რესურს-ცენტრებში მაძიებლობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამაზე პასუხისმგებელი 11 პირის ტრენინგი. სერთიფიცირებული პედაგოგების საბოლოო შედეგების საფუძველზე შეირჩა 226 მაძიებელი და 87 მენტორი საქართველოს 71 კერძო და საჯარო სკოლიდან;

- სახელმწიფო პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში მაღლმთიან რეგიონებში მასწავლებლის ვაკანსიების შევსების მიზნით, ტესტირებისა და კონკურსების შედეგად შერჩეული, გადამზადებული სპეციალისტები იქნენ მივლინებული და მათთვის დამატებით გაიცა სტიპენდიები 500 ლარის ოდენობით დანიშვნა. საანგარიშო

პერიოდში პროექტს შემოურთება 36 საგნის ახალი სპეციალისტი. პროგრამა მოიცავს სულ 49 სკოლას მაღალმთიან რეგიონებში;

- საბოლოოდ დაიხვეწა და მომზადდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა და პარალელურად მომზადდა მასწავლებლის პორტფოლიოც, სერტიფიცირების პროგრამის ეგიდით 400 სერტიფიცირებულ მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი ინგლისურ ენაში. მიმდინარეობდა მუშაობა სკოლის დირექტორების სერტიფიცირების გამოცდების ორგანიზებისათვის და სკოლის დირექტორის პროფესიული განვითარების სქემაზე და დირექტორის პორტფოლიოზე.

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა დონის კურსები გაიარეს 55-მდე მუნიციპალიტეტის პედაგოგებმა, გადამზადდნენ ტრენერები, დამუშავდა და დაიბეჭდა ტრენინგის დამხმარე სახელმძღვანელოები;

- შეიქმნა მასწავლებლების დამხმარე ელექტრონული საგანმანათლებლო თამაში 6 საგნობრივ ჯგუფში (დაწყებითი საფეხური, მათემატიკა, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა)

- ჩატარდა საჯარო სკოლებში პირველი კლასის ინგლისური ენის მასწავლებლების ტრენინგი და მასში მონაწილეობა მიიღო 60-მა მასწავლებელმა;

- 3 600-ზე მეტმა მასწავლებელმა დაწყებითი კლასის მოსწავლეების ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით გაიარა გადამზადების პროგრამა, „სადამრიგებლო საათის“ ფარგლებში;

- ჩატარდა საჯარო სკოლებში სპორტის 5 800-ზე მეტი მასწავლებლის ტრენინგი, სხვადასხვა სპორტის სახეობებში. პრეზიდენტის ინიციატივით თბილისის საპილოტე სკოლებში დაიწყო ქართული ცეკვის სწავლება. პროგრამაში მონაწილე 50 ქართული ცეკვის მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი;

- სამოქალაქო თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებით სასწავლო მასალის მომზადებასა და ტრენინგების განხორციელებაში მონაწილეობა მიიღეს შინგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტებმა და ტრენერებმა. გადამზადდა მე-4, მე-8 და მე-12 კლასის სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების 4 700-ზე მეტი მასწავლებელი,

- განხორციელდა „ნეტბუკები პირველკლასელებისთვის“ საპილოტე პროგრამაში მონაწილე 142 მასწავლებლების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მენეჯერების ტრენინგი; თბილისში 190-მა ინგლისური ენის მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი ბრიტანეთიდან მოწვეულმა ტრენერების დახმარებით;

- რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული, საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე 2009 წლამდე ჩარიცხული გარკვეული კატეგორიის 162 სტუდენტს 2009-2010 სასწავლო წელს გაუგრძელდა დაფინანსება;

- 2010-2011 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული 754 სტუდენტი.

- 2010–2011 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული 46 უცხო ქვეყნის მოქალაქე.

- პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში „იაკობ გოგებაშვილი“ საჯარო სკოლების რეაბილიტაცია დასრულდა 300–ზე მეტი საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასრულდა 24 საჯარო სკოლის სპორტული მოედნის მოწყობა და 50–მდე საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე პირველი ექსპერიმენტალური სკოლის ახალი დამატებითი კორპუსის, ზუგდიდის რაიონის სოფ. შამგონას, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიას საჯარო სკოლების მშენებლობები; კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 26 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია; 5 საჯარო სკოლის მშენებლობის აუცილებელი ტექნიკური პირობებით (წყალი, გაზი, კანალიზაცია, ელექტროგაყვანილობა) უზრუნველყოფა;

- „განათლების სისტემის გარდაქმნის და განმტკიცების“ პროექტის ფარგლებში დასრულდა 7 საჯარო სკოლის (დიღმის საჯარო სკოლა, სოფელ ვაზიანის საჯარო სკოლა, სოფ. ჩხარის საჯარო სკოლა, სოფ. გურჯაანის საჯარო სკოლა, ბორჯომის №3 საჯარო სკოლა, სოფ. ტაძრისის საჯარო სკოლა და სოფ. ვავაზის საჯარო სკოლა) მშენებლობა.

- პროგრამის „ირმის ნახტომი“ ფარგლებში ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში ჩაირთო 986 საჯარო სკოლა, სკოლებში მოსწავლეთა და კომპიუტერთა რაოდენობის გათვალისწინებით მოხდა ლოკალური სიჩქარის ოპტიმალური განაწილება, რის შედეგადაც 280 საჯარო სკოლის ინტერნეტის სიჩქარე მნიშვნელოვნად გაიზარდა;

- „ჩემი პირველი კომპიუტერი“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების 1015 წარმატებულ მოსწავლეს საჩუქრად გადაეცა პორტატული კომპიუტერები;

- „პირველკლასელთათვის და პირველკლასელთა დამრიგებლების პირად სარგებლობაში საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერების გადაცემა“ პროგრამის ფარგლებში მოხდა 3000 ნეთბუქის შესყიდვა, რომლებიც დაურგიდათ პილოტურ პროგრამაში ჩართული სკოლის პირველკლასელ მოსწავლეებს;

- პროგრამა „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭება“ ფარგლებში პრეზიდენტის სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 16 სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 1080 სტუდენტს.

- „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა-ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადები“ პროგრამის ფარგლებში ეროვნულ დონეზე ჩატარდა ოლიმპიადები შემდეგ სხვადასხვა საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის), მათემატიკა, ფიზიკა, ინფორმატიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, უცხოური ენები). თითოეულ საგანში ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად, გამოვლინდა სულ 123 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით და დიპლომებით. გამარჯვებულ მოსწავლეებს პრეზიდენტის რეზიდენციაში შეხვდა საქართველოს პრეზიდენტი, სადაც ასევე გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთა მიერ მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით, შედგა სკოლების რეიტინგული სია საგნების

მიხედვით. საპრიზო ადგილზე გასულმა სკოლებმა მიიღეს ფულადი პრიზები 5000, 4000 და 3000 ლარის ოდენობით.

- საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობისთვის საქართველოს ნაკრები გუნდები დაკომპლექტდა ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში წარმატებული მოსწავლეებისგან. ნაკრები გუნდები ერთი თვის განმავლობაში ემზადებოდნენ ბანაკში საერთაშორისო ოლიმპიადების სტანდარტების შესაბამისად. მათ მონაწილეობა მიიღეს 51-ე საერთაშორისო მათემატიკის ოლიმპიადაში (IMO) (ყაზახეთში ქ.ასტანა); მე-41-ე საერთაშორისო ოლიმპიადა ფიზიკაში (IPHO) (ხორვატიაში ქ. ზაგრები); 22-ე საერთაშორისო ოლიმპიადა ინფორმატიკაში (IOI), (კანადა ქ. ვატერლო). აღნიშნულ ოლიმპიადებში ქართველმა მოსწავლეებმა მოიპოვეს ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი, მეაღლოსნები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელით დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით, შესაბამისად 5 000, 3 000 და 2 000 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში ასევე გაიცა 2007 წელს საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებულ 9 პირზე დაწესებული სტიპენდიები;

- სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა საჯარო სკოლის მოსწავლეთა (თბილისის და რეგიონების 2 800-ზე მეტი მოსწავლე) საგანმანათლებლო ექსკურსიები საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს პარლამენტში, საქართველოს უზენაესი სასამართლოში;

- 2009-2010 სასწავლო წლისთვის დამზადდა 1 335 მოოქროვილი და 2 187 მოვერცხლილი მედალი და დასარიგებლად გადაეცათ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს.

თითოეული მოქალაქისათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და განათლების სფეროში დასაქმებულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

- პროგრამის ფარგლებში სამინისტრომ უზრუნველყო არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის მე-7-მე-10 და მე-11-მე-12 კლასების საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის წიგნების დარიგება. ასევე, არაქართულენოვანი სკოლების ყველა მე-4 კლასის მოსწავლეს დაურიგდა სახელმძღვანელო „ქართული, როგორც მეორე ენა“. სულ 2010-2011 აკადემიური წლისათვის „ქართული ენის პროგრამის“ ფარგლებში დარიგდა 69,8 ათასზე ერთეული სასკოლო სახელმძღვანელო;

- სამინისტრომ თბილისის №11 საჯარო სკოლას, მასთან არსებული ოსური საკვირაო სკოლის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ახალქალაქის ნინოწმინდის და დმანისის საჯარო სკოლებს და ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გაუფორმა ხელშეკრულება რაც გულისხმობს ზრდასრულთა განათლების ცენტრების პედაგოგების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პესონალის შრომის ანაზღაურებისა და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვას. ენის ცენტრებსა და ენის სახლებში საშუალოდ 300 მსემენელმა გაიარა ქართული ენის სწავლების კურსი;

- ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის შეიქმნა სპეციალური ელექტრონული პროგრამა, რომელიც საძიებო სიტყვის მიხედვით ქართული ენის სხვადასხვა საკითხებს უკავშირებს ერთმანეთს, იძლევა შესაბამის განმარტებას, გამოყენების კონტექსტს, სიტყვათწარმოებას, სინონიმებს, ანტონიმებს, მყარ გამონათქვამებს და ა.შ.;

- „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდის მანძილზე მულტიიდისციპლინურ გუნდს მიმართა 80 სკოლამ, რეგულარული მუშაობა მიმდინარეობა 60 სკოლასთან, სულ შეფასდა 176 ბავშვი, მათ შორის, საპილოტე სკოლებიდან 58 ბავშვი, სპეც. სკოლებში ჩასარიცხად შეფასდა 65 ბავშვი, 6 სკოლაში

ჩატარდა ტრენინგი, 141 მშობელს და პედაგოგს გაეწია კონსულტაცია, 99 ბავშვს შეუდგინეს ინდ. სასწავლო გეგმა; ბენეფიციარები სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილნი იყვნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მათ განვითარებაზე ზრუნვა; პროგრამის ფარგლებში მოხდა 10 სამიზნე სკოლის ინკლუზიური განათლების რესურსოთახის უზრუნველყოფა აუცილებელი ადაპტირებული ავეჯით, საოფისე ინვენტარით, კომპიუტერული და საოფისე ტექნიკით, თვალსაჩინო მასალით, დამხმარე სასწავლო საშუალებებით და საკანცელარიო ნივთებით;

- ოკუპირებული ტერიტორიების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დახმარების პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ოკუპირებული ტერიტორიების 225 ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალი და 1 030 პედაგოგი უზრუნველყოფილ იყვნენ ყოველკვარტალური სოციალური დახმარებით.

- „ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამის“ ფარგლებში „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები საქართველოში“ საანგარიშო პერიოდში 1200 მოსწავლეს მიეცა მონაწილეობის შესაძლებლობა. მოსწავლეები გადანაწილებული იყვნენ 3 ბაზაზე (წყნეთი, ბაკურიანი, წყალტუბო);

- „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები გაერთიანებულ სამეფოში“ აქტივობის ფარგლებში გაერთიანებული სამეფოს საზაფხულო სკოლებში, შეირჩა და სასწავლებლად გაემგზავრა 108 საუკეთესო მოსწავლე 2 კვირის ვადით;

- „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საჯარო სკოლებში შერჩეული იქნა სასკოლო კოორდინატორები, რომლებმაც უზრუნველყვეს მოზარდების ახალი ჯგუფების შეკრება, სამოქმედო გეგმის შედგენა და კლუბური სამუშაოების (სპორტი, კულინარია, ხატვა, ხელგარჯილობა, სპექტაკლები და ა.შ.) ადგილზე განხორციელება. სათემო საქმიანობის შეთავსებისთვის პროგრამის ფარგლებში აყვანილი იქნა 57 სასკოლო და 2 უმაღლესი სასწავლებლის კოორდინატორი;

- „ცოდნის კარის“ ფარგლებში საზღვარგარეთ განათლების მიღების სურვილის მქონე ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდებისათვის ჩამოყალიბდება შეღავათიანი საკრედიტო რესურსები. პროგრამას ერთობლივად ანხორციელებენ სახელმწიფო და წამყვანი ქართული კერძო ბანკები, საანგარიშო პერიოდში სწავლების საფასური დაუფინანსდა 89 ბენეფიციარს;

- პროგრამის „სასჯელალსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების ხელშეწყობა“ უზრუნველყოფილი იქნა აღმზრდელობით დაწესებულებაში და ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრების ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა, მათ შორის, 3 არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომლებიც ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში, შეწყალებული იქნენ და გათავისუფლდნენ სასჯელალსრულების დაწესებულებებიდან სწავლის გაგრძელების მიზნით;

- სასჯელალსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ შეისყიდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასკოლო სახელმძღვანელოები ყველა საგანში;

- პროგრამის „უსაფრთხო სკოლა“ ფარგლებში საქართველოს 290 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლაში 850-მდე მანდატური შევიდა 290 საჯარო სკოლაში; აღნიშნულმა მანდატურებმა გადამზადების კურსები გაიარა საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიციის აკადემიაში. მათთვის შეძენილ იქნა აღჭურვილობა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები; აგრეთვე 300-მდე საჯარო კოლაში დამონტაჟდა ვიდეოსათვალთვალო კამერები;

მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა

- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსდა 2009 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად გამოვლენილი 130, 2008 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად გამოვლენილი 205 და 2007 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად გამოვლენილი 6 მიმდინარე სამეცნიერო პროექტი; მომზადდა დებულებები 2011 წლის კონკურსებისათვის;

- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 96 მეცნიერი;

- კონკურსის შედეგად ქართული ელექტრონული ლექსიკონის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1 პროექტი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის პირველი ელექტრონული ვერსია;

- საკონფერენციო გრანტების ფარგლებში დაფინანსდა კონკურსის შედეგად გამარჯვებული 7 პროექტი, პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის ფარგლებში დაფინანსდა კონკურსში გამარჯვებული 42 ახალგაზრდა მეცნიერი.

- NATO-ს სამეცნიერო პროგრამებში მიმდინარე 8 პროექტის მონაწილე მეცნიერები უზრუნველყოფილი იქნენ სტიპენდიებით.

- მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა წინა წლების ერთობლივ კონკურსებში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება და მონიტორინგი. დაფინანსდა 2007 წლის ერთობლივი კონკურსის შედეგად გამოვლენილ 8 პროექტი და 2008-2009 წლების ერთობლივი კონკურსის შედეგად დაფინანსებულია 11-11 პროექტი;

- მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამეწარმეო პროგრამის (STEP) ბიზნეს-პარტნიორობის (BPG) ფარგლებში საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდისა და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ერთობლივი კონკურსის შედეგად დაფინანსდა 6 პროექტი;

- უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმის ფარგლებში ჩატარდა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა პირველი ფორუმი. ადგილობრივ მკვლევარებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო უცხოეთში მოღვაწე მსოფლიოს უმსხვილეს და უმნიშვნელოვანეს კვლევებში ჩართულმა 25 ქართველმა მეცნიერმა; დაისახა ერთობლივი საქმიანობის კონკრეტული გზები;

- ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის ფარგლებში გაიმარჯვა და დაფინანსდა ერთი პროექტი; გამოვიდა თანამედროვე ტიპის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი; „სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის“ ფარგლებში დაფინანსდა 2009 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული 14 მეცნიერი;


- „შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია მეცნიერთათვის“ და „ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის“ კონკურსში გამარჯვებული 10 მეცნიერიდან თითოეულმა ჩაატარა 4 სამეცნიერო-პოპულარული

ლექცია საქართველოს საჯარო სკოლებსა და სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო


საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 67 259.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 66 586.1 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 557.3 ათასი ლარით მეტია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 88.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 11.6%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2010 წლისათვის განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

სახელოვნებო განათლების სისტემის რეფორმა

- პრიორიტეტის ფარგლებში სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი წარიდართა გეგმა-გრაფიკისა და სასწავლო გეგმების შესაბამისად, შეიქმნა საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტი, მიმდინარეობდა მისი შემდგომი დახვეწის პროცესი; გაიდართა დახურული და ღია მუსიკალური კონცერტები სხვადასხვა სპეციალობების მიმართულებით, ასევე გამოფენები, ვორკშოფები, მასტერკლასები, სხვადასხვა სახელოვნებო ინსტიტუტებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, გაიდართა სამეცნიერო კონფერენციები და საჯარო ლექციები;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია

- კონსტრუქტორთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ საკონსერვაციო სამუშაოთა შესაბამისად განხორციელდა ბაგრატის ტაძრის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები. აგრეთვე, შესრულდა ტაძრის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

- უცხოელ სპეციალისტებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მოხდა სვეტიცხოვლის ტაძართან დაკავშირებული სამუშაო პროგრამის და მეთოდოლოგიის შერჩევა. აგრეთვე ჩატარდა ქართველი ექსპერტების პირველი ტრენინგი ძეგლთა დოკუმენტაციის ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით;

- საზოგადოებრივი აზრისა და კვლევის მარკეტინგის ინსტიტუტის (IPM) სპეციალური პროგრამის დახმარებით კულტურის სფეროში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, ანალიზისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით, მიმდინარეობდა მედია-მონიტორინგი. პროგრამით მოწოდებული მასალების (სატელევიზიო და რადიო სიუჟეტები, რადიოჩანაწერები, ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები) საფუძველზე მზადდებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მედია არქივი;

- სვეტიცხოვლის და ბაგრატის საკათედრო ტაძრებზე, ჯვრის, სამთავროს და გელათის სამონასტრო კომპლექსებზე, ასევე ჩაყაშის ისტორიული დასახლებისთვის მომზადდა და დამონტაჟდა საინფორმაციო დაფები;

- განხორციელდა სსიპ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაციისა და ახალი ნაგებობის მუშა პროექტის სახელმწიფო ექსპერტიზა;

- არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდა ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე და მიმდინარეობდა მუშაობა ეპისკოპოსის სასახლის კონსერვაციაზე;

- განხორციელდა კედლის მხატვრობის რეაბილიტაცია ბზიანას ღვთისმშობლის ეკლესიაში, დაიწყო საფარის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის ფერწერის, გელათის სამონასტრო კომპლექსის წმ. გიორგის ეკლესიის მონათვლობისა და ტაბაკინის ეკლესიის ფერწერის საკონსერვაციო სამუშაოები.

- ღალიის ქართული მონასტრის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით მაისში კვიპროსის რესპუბლიკაში გაემგზავრა ექსპედიცია ქართველ სპეციალისტთა შემადგენლობით.

- გამოსაცემად მომზადდა წიგნი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“, ასევე გზამკვლევი „უფლისციხე“ და „მცხეთა“, მომზადდა ფილმი - „ფიროსმანი“;

- შესრულდა გურჯაანის ყველაწმინდის ტაძრის, ქ. თბილისში ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე სამების ეკლესიის, ზემო ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის, არგვეთის ეკლესიის, ასპინძის წმ. გიორგის ეკლესიის, ქ. ამბროლაურში მდებარე მაჩაბლების კოშკის და მარტვილის მარნის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა გამოჩინებულის სამრეკლოს, მოღნიის ეკლესიის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფ. ალექსეევკას ეკლესიის, სოფ. ფერსათის ეკლესიის, ურაგლის აგარის სამრეკლოს, ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსში შემავალ მარნის, გონიო-აფსაროსისა და პეტრა-ციხის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობის, ონის სინაგოგის და სნოს კოშკის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციები;

- მიმდინარეობდა ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის, დუშეთის მუნიციპალიტეტში სოფ. დოლიშის არქეოლოგიური ობიექტის, მცხეთის ჯვრის ტაძრის დასავლეთის სუბსტრუქციის მდგომარეობის, ზემო სვანეთის კოშკების, რკონის სვიმეონ მესვეტეს ეკლესიის კვლევითი და საპროექტო სამუშაოები, ასევე ვარძიის სამონასტრო კომპლექსის, ატენის სიონის, ტიმოთესუბნის ტაძრის გადახურვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის, ხობის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლოს და უჯარმის კოშკის პრევენციული და საკონსერვაციო სამუშაოები; მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მუზეუმის შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები; მესტია, ლენჯერი ბაადურ ფილფანის კოშკის სარეაბილიტაციო და ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის მთავარანგელოზის ტაძრის გადახურვის შეცვლის და ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილის კეთილმოწყობის სამუშაოები;

მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

- საქართველოს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამა „ქართული სეზონის“ ფარგლებში: იტალიაში, ქ. რომში ვილა ბორგეზეს პარკში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი; ჩატარდა ქართული კულტურის დღეები საფრანგეთში, იტალიასა და ეგვიპტეში; ქ. ფენევაში მოეწყო მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილის გამოფენა; ქ. პარიზში ლუვრის მუზეუმში მოეწყო თანამედროვე ხელოვნების გამოფენა-გაყიდვა; ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „მოდერნიზმი საქართველოში“ და მოეწყო გამოფენა „ფანტასტიკური დუქანი ტფილისური ავანგარდი - (1910 - 1920-იანი წლები)“; სსიპ საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო ქ. სევილიის არქეოლოგიის მუზეუმში დაგეგმილ გამოფენის „არგონავტების ოქრო“ გახსნაში; ქ. ლონდონში მოეწყო ქართველ მხატვართა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა;

- პროგრამა „ქართული სეზონის“ ფარგლებში: სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ორკესტრის „Kramerata baltika“-ს კონცერტები; კარნეგი-ჰოლის საკონცერტო დარბაზში,

საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა გალა-კონცერტში და ქ. ფრანკფურტში ს. რახმანინოვის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სსიპ „სკოლისგარეშე“ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის“ და სსიპ ე. მიქელაძის სახელობის თბილისის მე-2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებმა; საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ლადო ათანელის საქველმოქმედო კონცერტი; გაიმართა საფრანგეთში მცხოვრები ქართველი პიანისტის ირაკლი ავალიანის სოლო-კონცერტი; ახალციხეში ჩატარდა მე-5 საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“; სსიპ საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა სულხან ცინცაძის სახელობის ფესტივალი „სტუმრად კვარტეტთან“; ქ. თბილისსა და ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი, ქ. ბოგოტაში თეატრალურ ფესტივალში „Iberoamericano De Teatre De Bogota“-ში მონაწილეობა მიიღოს სსიპ თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრმა; ქ. რიგაში დაიღას თეატრში ქართველი მწერლისა და სცენარისტის ლევან ბერიძის პიესის „Filippria“ მიხედვით დაიდგა სპექტაკლი; სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და ღრამის სახელმწიფო თეატრმა მონაწილეობა მიიღო ხორვატიაში რიეკას მე-16 მცირე სცენის ფესტივალ-კონკურსში სპექტაკლით „მაკბეტ“ და ქ. ტალინში ქართული კულტურის დღეებში; ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ნიუ-იორკში რეზო გაბრიადის თეატრმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფესტივალში „Lincoln Center Festival“, თბილისში მოეწყო რომეოაღლო დელ ბიანკოს ფონდის საერთაშორისო ფესტივალი; ედინბურგში გაიმართა სსიპ შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლი;

- სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლმა „რუსთავი“ მონაწილეობა მიიღო ჰოლანდიაში, ქ. ლიდენში საქართველოს კულტურის დღეებში; საქართველომ მონაწილეობა მიიღო ჩეხეთში ქ. ზალინში 50-ე კინო-ფესტივალზე მალხაზ კუხიანიძის ფილმით „რატომ აქვს კუს დაბზარული ბაკანი“, ქ. თბილისში გაიმართა „TBILISI OPEN AIR PHOTO FEST 2010“ ფოტოფესტივალი; ითარგმნა და გამოიცა მწერალ იგორ ობოლენსკის (იზგარშევი) წიგნი „სილამაზის ბედი, ქართველი ცოლების ისტორიები“ ფრანგულ ენაზე, ინგლისურ ენაზე ითარგმნა ნინო ჯორჯაძის დღიურები „ქალის თვალით დანახული პირველი მსოფლიო ომი“;

ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა

- ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამის ფარგლებში გაიმართა 3 საიუბილეო საღამო (პროზაიკოს ვოვა სიხარულიძის, მსახიობ გიორგი შავგულიძის და იპოლიტე ხვიჩიას), ჩატარდა კონკურსი „ახალი ქართული პიესა“, ტექნოლოგიებით განახლდა 22 რეგიონული თეატრი, გაიმართა მსახიობ გიორგი შავგულიძის საიუბილეო საღამო, საქართველოს რეგიონების პროფესიულ თეატრებში განხორციელდა ახალი დადგმები. გაიმართა თბილისის II საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. გამოიცა თბილისის კულტურული ცხოვრების გზამკვლევი „თბილისი აუთ“ 3 ნომერი.

- ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამის ფარგლებში: გაიმართა კომპოზიტორ შავლეგ შილაკაძის დაბადების 70 წლისთავისადმი

მიძღვნილი კონცერტი; სსიპ ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის კამერულმა ორკესტრმა თბილისა და საქართველოს რეგიონებში ჩაატარა კონცერტები; გაიმართა „ერისიონის“ კონცერტი ქუთაისში; ხელი შეეწყო ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსის მოსამზადებელ სამუშაოებს და თელავის კამერული მუსიკის ფესტივალს, გაიმართა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალები „შემოდგომის თბილისი“, „ღამის სერენადები“, თელავში მოეწყო „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, გაიმართა „კამერული ანსამბლების“ და „ჩასაბერ საკრავთა“ ფესტივალები, გამიმართა ალ. მაჭავარიანის ოპერა „მედეა“ – საკონცერტო შესრულება, გამოიცა იოსებ კეჭავაძის კომპაქტდისკი და ჟურნალი „მუსიკა“, ჩატარდა 4 კონკურსი, გაიცა სამინისტროს 2 პრემია.

- სახვითი ხელოვნების განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ყოველწლიური კონკურსი „ქოლგა“, თბილისში ვაკე საბურთალოს გზაზე პრეისტორიული არტის მიხედვით მოიხატა კლდე; მოეწყო 4 გამოფენა (ფოთელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა ფოთის ო. ჯაიანის სახ. სამხატვრო სასწავლებელში, „ტროტუარების მემუარები“, „ვინ არის შეძღვეი“, თეატრის, კინოს მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის კოლექციის), გაიმართა საერთაშორისო ფორუმი “არტისტერიუმი 2010“; თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი "TRANSRELATI"; ჩატარდა კონკურსი რეპრესირებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის ესკიზურ პროექტზე;

- ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში: გამოიცა „ლიტერატურული გაზეთის“ 21 ნომერი და ბესიკ ხარანაულის წიგნი „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორების“; აჭარის ბიბლიოთეკების ფონდები შეივსო ახალი გამოცემებით; შესყიდული იქნა რონ ასმუსის წიგნი „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“; გაიმართა თბილისის წიგნის მე-12 საერთაშორისო ფესტივალი; შეიქმნა ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ვებგვერდი; გამოიცა ჟურნალი „კავკასიონი“; თ. კვაჭანტირაძის ტელეექსპრესიათა კრებული-დამხმარე სახელმძღვანელო „სასიტყვეთი“, გამოიცა კ. ჰამსუნის წიგნი „მოგზაურობა ზღაპრულ მხარეში“; ფონდახის წიგნი „ტოტალური წინააღმდეგობა“, ალბომი „ქრისტიანული ხელოვნება“; ქართული კლასიკური ლიტერატურის აუდიოთეკა, ნ. შატაიძის „რჩეული“, აკაკი წერეთლის „უცნობი პუბლიცისტიკა“;

- კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს კულტურის გამოჩენილ წარმომადგენელთა კონცერტები, შემოქმედებითი საღამოები და გაიხსნა მათი ვარსკვლავები; ნანი ბრეგვაძის სახელობის ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსი; საერთაშორისო მოდის კვირეული; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა-კონცერტი; მოეწყო პატრიარქის საგალობლის პრეზენტაცია რეგიონებში; ფესტივალი „მსოფლიო კულტურის დღეები“ სვანეთში. ჩატარდა აკაკი წერეთლის 170 წლისთავის საიუბილეო ღონისძიება; განხორციელდა პროექტი „არავითარი შეზღუდვა მომავალს“; ქ. თელავში ჩატარდა ლალო ათანელის კონცერტი; ქ. ასპინძაში ანსამბლ „ერისიონმა“ მონაწილეობა მიიღო სახალხო ზეიმში შოთაობა;

- „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის ღონისძიებების“ ფარგლებში: ჩატარდა საქართველოში სომხეთის კულტურის დღეები; სტოკჰოლმში მოეწყო ქართველი და შვედი კერამიკოსების ნამუშევრების გამოფენა და მომზადდა ბეჭდვითი მასალა; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის „კინო-სახლის“ ბაზაზე შეიქმნა კინო-ვიდეო-ბიბლიოთეკა; ანსამბლ „შავნაბადას“ მიერ გაიმართა კონცერტი საფრანგეთში და კორსიკაზე; სსიპ შ. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა და სსიპ ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბაქოში საქართველოს კულტურის დღეებში. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა მსოფლიოში აღიარებული ჯაზ ტრიოს კონცერტი; ქ. იერუსალიმში განხორციელდა შ. რუსთაველის დაზიანებული ბარელიეფის შეცვლა; ქ. ევორასა და ქ. პრაღაში „Prague Quadrennial of Performance Design and Space –PPQ11“ წინამოსამზადებელ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ქართულმა დელეგაციამ, ქ. ლუგანოში გამართულ ფესტივალში „TICINO MUSICA International Classic 2010-14 th Edition“ მონაწილეობა მიიღო ქართველმა ფლეიტისტმა, ბელვედერის ვოკალისტმა საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენელმა; ქ. ბერლინში საერთაშორისო ფესტივალში „Young Euro Classic“ მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრმა,

- `რეგიონებში კულტურის მხარდაჭერის პროგრამის` ფარგლებში ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში გაიმართა კულტურის ობიექტების დათვალიერება და შეხვედრები ხელოვნების მოღვაწეებთან, ჩატარდა კონცერტები ესტრადის ცნობილი მომღერლების მონაწილეობით. საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის საგუნდო კაპელამ გასვლითი კონცერტები ჩაატარა ქუთაისში, გორსა და ბორჯომში. ფოთის ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. ჩატარდა აკაკი წერეთლის 170 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებები.

- „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში: სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ჩატარდა ხელნაწერთა და საარქივო ფონდების საცავთა რეაბილიტაცია და მოხდა ფონდსაცავების კეთილმოწყობა, ჩატარდა ტრენინგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მუზეუმების ფონდების მცველებისათვის, რაშიც მონაწილეობა მიიღო 42 მუზეუმის წარმომადგენელმა, მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტის (ICM) მრჩეველთა საბჭოს მიერ აღინიშნა – მუზეუმების საერთაშორისო დღე და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მოეწყო სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი კოლექციის გამოფენა; განხორციელდა გამოფენა-აქციები და საგანმანათლებლო პროექტების პრეზენტაციები: „საქართველოში მცხოვრებ ღუნობორთა კოსტიუმი“ (სსიპ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი), საგანმანათლებლო პროექტი „ეთნომუსიკოსის კახი როსებაშვილის საღამო – კონცერტი“ (სსიპ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი), ფოტო-გამოფენა „ჩვენი მუზეუმის ისტორია“ (სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი), საგანმანათლებლო პროექტი მოზარდებისათვის „ანდრია დადიანის საჭადრაკო სკოლა“, საჭადრაკო სკოლის მოსწავლეთა ტურნე ჭადრაკში და რესტავრირებული ექსპონატების გამოფენა (სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი), ასევე სხვადასხვა გამოფენები ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მუზეუმებში; სისტემის 11 მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო წიგნის ფესტივალში, სადაც წარმოდგენილი იყო მათ მიერ მომზადებული და გამოცემული პროდუქცია – ბუკლეტები, კატალოგები, სამეცნიერო კრებულები, პოსტ-ქარდები, ღია ბარათები. განახლდა საქართველოს მუზეუმების ვებ-გვერდი, სსიპ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში ჩატარდა ტრენინგი სამუზეუმო მასალის კონსერვაციისა და რესტავრაციის საკითხებისთვის. ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა ბარი ლორდის წიგნი „სამუზეუმო სწავლების სახელმძღვანელო“, საჯარო სამართლი იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა სმირნოვების მუზეუმი;

- საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამა „ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა პროექტები: „ხალხური პოეზიის საღამო“,

„ქართული ეროვნული ჩოხის გადასარჩენად“, „მასტერკლასები ქორეოგრაფიაში“, „უცხოეთში მოქმედი ქართული ფოლკლორული ანსამბლების ეროვნული სასცენო სამოსითა და ტრადიციული საკრავი ინსტრუმენტებით აღჭურვა“, „მხატვრულ-ლოკუმენტური ფილმის „გალობის რაინდების“ DVD დისკების გამოცემა“ და სახალხო ფესტივალი „არტ-გენი“. გაიმართა სახალხო დღესასწაული „ქუთაისქალაქობა“, განხორციელდა პროექტი „ხალხური რეწვის საზაფხულო სკოლები“;

- ეროვნულ უმცირესობათა ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის თემაზე შექმნილი ლოკუმენტური ფილმი „მუხეუმი ღია ცის ქვეშ“, დაფინანსდა საქართველოში გამოძავალი სომხური და აზერბაიჯანულ ენოვანი გაზეთები „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“, გამოიცა ეროვნებით რუსი ქალბატონის ლუდმილა გორბაჩოვას ლექსების კრებული, გაიმართა კოსტა ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი საღამო, მოეწყო პოლონელი მხატვარი ქალების გამოფენა.

- ქართული კინოს ხელშეწყობის ფარგლებში გაიმართა მ. კალატოზიშვილის ფილმის „ჯიმ შვანთეს“ 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით რესტავრირებული ვერსიის პრემიერა, მონრეალის საერთაშორისო კინოფესტივალში მინაწილეობა მიიღო კინოკომპანია „სინეტექსის“ ქართველმა პროდიუსერმა რუსუდან გლურჯიძემ, თელავის საბავშვო კინოსტუდია აღიჭურვა ტექნიკური საშუალებებით;


- საქართველოს თეატრებში შედგა 72 პრემიერა, 118 გასვლითი სპექტაკლი, 105 საქველმოქმედო, სტაციონარზე გაიმართა სულ 1 303 სპექტაკლი, დაესწრო სულ 140 000-ზე მეტი მაყურებელი; მუსიკალურმა ცენტრებმა და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა გამართეს 131 კონცერტი, 20 გასტროლი; კინოხელოვნების განხრით დასრულდა 5 მხატვრული ფილმი, ჩატარდა 3 კონკურსი და გამოცხადდა 2 კონკურსი, 8 გამარჯვებული პროექტი ჩაეშვა წარმოებაში, გაიცა სამგზავრო გრანტები საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად, ახალი ქართული ფილმები წარსდგა ბერლინის კინობაზრობაზე, ქართულმა ფილმებმა მონაწილეობა მიიღო 6 საერთაშორისო კინოფესტივალში, გამოიცა ქართულ-ებრაული ისტორიოულ-კულტურული ურთიერთობების შესახებ სამეცნიერო შრომების მე-6 ტომი, სამეცნიერო შრომების კრებული „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“, აზერბაიჯანული კულტურის მუხეუმმა მოაწყო ორი ლოკუმენტური ფილმის ჩვენება-განხილვა და ერთი შეხვედრა ინტელიგენციასთან „ბაირამობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით. გამოიცა თბილისელი სომეხი მხატვრების ალბომი, ქუთაისში გაიმართა 50 ანიმაციური ფილმის ჩვენება, ხელი შეეწყო ორი ხელოვანის სწავლას უცხოეთში, დამზადდა რუსთაველისა და ეროვნული პრემიების მედლები, კოლოფები, დიპლომები, გაიმართა მასტერკლასები სიმღერასა და ცეკვაში, 2 წიგნის პრეზენტაცია, ფოლკორის განხრით მოეწყო 7 გამოფენა, 8 პრეზენტაცია, ფოლკლორული ანსამბლების რადიო ფესტივალი, სახალხო თეატრების ფესტივალი, პოეზიის საღამო-კონცერტები, გაიმართა მასტერკლასები სიმღერასა და ცეკვაში, მოეწყო 2 წიგნის პრეზენტაცია, ექსპედიცია ზემო და ქვემო რაჭაში და ფოლკლორის ეროვნული პრემიის ცერემონიალი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო


საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 42 561.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 41 670.6 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის

მაჩვენებელზე 25 027.0 ათასი ლარით ნაკლებია. აღნიშნული სხვაობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2009 წელს დასრულდა “იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სახლების მშენებლობა გორში (GTZ)” პროექტის ძირითადი ნაწილი და რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე გათვალისწინებული 10.0 ათასი დოლარის ოდენობით კომპენსაციების ძირითადი ნაწილი გაცემულ იქნა 2009 წლის განმავლობაში.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.1%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 1.7%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 1.2%.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2010 წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ლონისძიებები:

პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის

- პროგრამა „ჩემი სახლი“-ს ფარგლებში დასრულდა გუდაუთის გეოსაინფორმაციო სისტემის აგება;
- განისაზღვრა აეროფოტოგადაღების სკანირების, ორთოფოტოს დამზადებისა და სტერეოხაზვის ტექნიკური სპეციფიკაცია;
- მოძიებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კარტოგრაფიისა და გეოდეზიის ფონდში დაცული 90-იანი წლების 1216 აერო-სურათი, რის საფუძველზეც განხორციელდა აერო-სურათების სკანირება და ორთოფოტოს დამზადება.
- დამზადდა აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის რიგი დასახლებული პუნქტებისა და ოკუპირებული ტერიტორიის ქ. ზუგდიდთან სასაზღვრო ზოლის ორთოფოტო;
- დასრულდა ქ. ოჩამჩირის სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება. მიმდინარეობდა ქ. ცხინვალის სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება საკადასტრო რუკის საფუძველზე, ქ. ოჩამჩირისა და ქ. გალის სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება, აგრეთვე, გაგრის რაიონში არსებული იმ ყველა ობიექტის იდენტიფიცირება რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია.

დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

- დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების 139 ობიექტს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაფინანსდა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა კომუნალური ხარჯები;
- საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 27-მდე კომპაქტურად განსახლების ობიექტის საკუთრებაში გადაცემის პროცესი იქ ფაქტიურად მცხოვრებ და დამისამართებულ დევნილებზე.

მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება


- პროგრამა „ხიდი“-ს ფარგლებში შერჩეულ იქნა შესაბამისი კადრები რომლებმაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)-ის დახმარებით გაიარეს ტრენინგების კურსი;
- სამინისტროს რეგიონულ სამსახურებში ქ. გორში, ქ. ქუთაისსა და ქ. ზუგდიდში ამოქმედდა მიგრაციის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები;
- რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ 300 ოჯახზე გაიცა დახმარებები 10.0 ათასი ლლარის ოდენობით თითოეულზე;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახებისათვის შეძენილ იქნა 15 საცხოვრებელი სახლი თეთრიწყაროს რაიონში.

1999 წელს ევროპის საბჭოს წინაშე მუსლიმანი მესხების რეპატრიაციის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულება

პროგრამა „რეპატრიაციის“ ფარგლებში განხორციელდა უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლობებიდან სამინისტროში შემოსული 5841 აპლიკაციის პირველადი განხილვა, ხარვეზების დადგენა და მათზე შეტყობინებების მომზადება.


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 611 004.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 605 041.4 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 101 695.8 ათასი ლარით.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.08%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 2.89%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.03%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2010 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება კერძო სადაზღვევო სქემებით

- **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში იანვარში დაფინანსებული იქნა 790.6 ათასამდე ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია და გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 11.5 მლნ ლარზე მეტი. თებერვალში – 793.5 ათასამდე პირი და – 11.6 მლნ ლარამდე, მარტში – 793.6 ათასამდე პირი და 11.6 მლნ ლარამდე, აპრილში – 955.0 ათასამდე პირი და 13.8 მლნ ლარამდე, მაისში – 924.0 ათასამდე პირი და 12.9 მლნ ლარამდე, ივნისში – 912.7 ათასამდე პირი და 12.4 მლნ ლარამდე, ივლისში – 903.0 ათასამდე პირი და 11.8 მლნ ლარი, აგვისტოში – 896.8 ათასამდე პირი და 11.5 მლნ ლარამდე, სექტემბერში – 890.8 ათასამდე პირი და 11.0 მლნ ლარამდე, ოქტომბერში – 891.1 ათასზე მეტი პირი და 10.7 მლნ ლარამდე, ნოემბერში – 875.3 ათასამდე პირი და 10.2 მლნ ლარამდე და დეკემბერში – 885.4 ათასამდე პირი და 10.5 მლნ ლარამდე;

- **სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში მიმდინარეობდა სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლების უფასო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. ამ მიზნით იანვარში დაფინანსებულ იქნა 190-მდე ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია, იგივე დინამიკა გაგრძელდა თებერვალში, მარტსა და აპრილში, ხოლო მაისში, ივნისში და ივლისში დაფინანსებული იქნა 185-მდე ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია. აგვისტოდან წლის ბოლომდე კი თვეში დაფინანსებულ იქნა 180-დე ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია;

- **ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში იანვარში დაფინანსებული იქნა 124.3 ათასამდე პირის სადაზღვევო პრემია და გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 943.7 ათას ლარზე მეტი. იგივე დინამიკა გაგრძელდა თებერვალში და მარტში. აპრილში დაფინანსებული იქნა 117.8 ათასზე მეტი პირის სადაზღვევო პრემია და გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 891.5 ათას ლარამდე, მაისში დაფინანსებული იქნა 104.6 ათასამდე პირის სადაზღვევო პრემია და გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 790.7 ათას ლარამდე, ივნისში დაფინანსებული იქნა 92.9 ათასზე მეტი პირის სადაზღვევო პრემია და გადარიცხული თანხის ოდენობამ 704.3 ათას ლარი შეადგინა, ივლისში – 63.9 ათასამდე პირი და 477.7 ათას ლარამდე;

- **კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში იანვარ-აპრილის თვეებში დაფინანსებული იქნა 12.1 ათასამდე პირის სადაზღვევო პრემია და გადარიცხული თანხის ოდენობამ ჯამურად შეადგინა 638.8 ათას ლარზე მეტი, მაისსა და ივნისში – 12.3 ათასამდე პირი და 277.5 ათას ლარამდე, ივლისში – 12.4 ათასამდე პირი და 136.0 ათას ლარამდე, აგვისტოში – 12.6 ათასამდე პირი და 139.0 ათას ლარამდე, სექტემბერში – 12.5 ათასამდე პირი და 135.0 ათას ლარამდე. ოქტომბრიდან წლის ბოლომდე დაფინანსებულ იქნა თვეში 12.9 ათასზე მეტი პირი და გადარიცხულმა თანხამ სულ შეადგინა 415.2 ათას ლარზე მეტი;

- **მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში იანვარში დაფინანსებულ იქნა 3.1 ათასამდე ბავშვის სადაზღვევო პრემია და გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 38.4 ათასი ლარი, იგივე ღირებულება გაგრძელდა თებერვალში, მარტსა და აპრილში. მაისში დაფინანსებული იქნა 1.8 ათასზე მეტი ბავშვის სადაზღვევო პრემია და თანხამ შეადგინა 21.1 ათასი ლარი, ივნისში – 2.8 ათასამდე ბავშვი და 34.2 ათას ლარამდე, ივლისში – 3.3 ათასამდე ბავშვი და 40.8 ათას ლარამდე, აგვისტოში – 3.3 ათასამდე ბავშვი და 38.0 ათას ლარამდე, სექტემბერში – 3.1 ათასამდე ბავშვი და 33.4 ათას ლარამდე, ოქტომბერში – 2.7 ათასზე მეტი ბავშვი და 28.5 ათას ლარზე მეტი, ნოემბერსა და დეკემბერში – 2.9 ათასზე მეტი ბავშვი და 63.2 ათას ლარზე მეტი ჯამურად.

სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

- დაფიქსირდა 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ექიმთან ვიზიტის 656.6 ათასამდე შემთხვევა, 60 წლის და მეტი ასაკის პირთა ექიმთან ვიზიტის 404.4 ათასამდე შემთხვევა, ონკოინკურაბელურ პაციენტთა ექიმთან ვიზიტის 14.8 ათასზე მეტი და დიაბეტით დაავადებული პაციენტების ექიმთან ვიზიტის 49.7 ათასზე მეტი შემთხვევა;
- განხორციელდა შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა ექიმთან კონსულტაციის 5.6 ათასამდე, ხოლო ლაბორატორიული კვლევის – 10.9 ათასამდე შემთხვევა;
- დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდა სპეციალური პერიოდული ლიტერატურის შეძენა და სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, აგრეთვე, ინსულინისა და მისი ანალოგების გაცემა, შპრიც-კალმისტრების, გლუკომეტრების, სისხლის წვეთის ასაღები ხელსაწყო, შარდში კეტონური სხეულებისა და გლუკოზის განმსაზღვრელი ტესტ-ჩხირების და ა.შ. გაცემა;

- **ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** დაფიქსირდა 136.5 ათასამდე ამბულატორიული შემთხვევა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის – 11.5 ათასზე მეტი შემთხვევა, მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარის – 458.7 ათასზე მეტი საწოლ/დღე და ფსიქოპათიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების – 245-ზე მეტი შემთხვევა, ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების – 1.3 ათასზე მეტი, ხოლო ფსიქოზური რეგისტრის აშლილობის მქონე პაციენტთა ურგენტული მომსახურების – 25-მდე მეტი შემთხვევა.

- **ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** დაფინანსდა რეფერენს-კონტროლის 16.0 ათასამდე შემთხვევა, ვრთმ – სოციალური მეურვეობის 30.2 ათასამდე, სუპერვიზიის 240-ზე მეტი, 68.2 ათასამდე ამბულატორიული, 175-მდე ქირურგიული, რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიების 57.2 ათასზე მეტი შემთხვევა და სტაციონარული მომსახურების 146.2 ათასზე მეტი საწოლ/დღე;

- **ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** დაფიქსირდა 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურების 40.7 ათასზე მეტი, გადაუდებელი მომსახურების 7.5 ათასამდე, მშობელთა მზრუნველობას

მოკლებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა მომსახურების 9.6 ათასზე მეტი, ანტირაბიული სამედიცინო დახმარების 38.4 ათასზე მეტი, ხოლო ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ფენილკეტონურიასა და ფენილალანინემიაზე – 61.5 ათასამდე შემთხვევა;

- **ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** დაფიქსირდა სულ 6.5 ათასზე მეტი შემთხვევა. მათ შორის: „სიღარიბის პოლისით“ – 2.3 ათასზე მეტი, კრიტიკული ინფექცია – 180-მდე შემთხვევა. ასევე, სეფსისის – 110-მდე შემთხვევა და პარაზიტოლოგიის – 140-მდე სტაციონარული შემთხვევა;

- **სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 199.5 ათასამდე ექიმთან ვიზიტი, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის 1.9 ათასამდე შემთხვევა, მათ შორის - 30-ზე მეტი სეფსისი;

- **ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** დაფიქსირდა ჰემოდიალიზის სეანსის – 132.2 ათასამდე, ხოლო პერიტონეალური დიალიზის – 133.4 ათასზე მეტი შემთხვევა;

- **ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** სულ დაფიქსირდა 16.1 ათასამდე შემთხვევა და 2.9 ათასამდე საწოლ/დღე. შემთხვევათა რაოდენობის დიდი წილი მოდიოდა დიაგნოსტიკურ კვლევაზე – 14.9 ათასზე მეტი. გარდა ამისა, დაფიქსირდა ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის – 50-მდე, ონკოჰემატოლოგიურ პაციენტთა მკურნალობის – 1.1 ათასამდე შემთხვევა, ხოლო ონკონკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის 2.9 ათასამდე საწოლ/დღე;

- **რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** განხორციელდა, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სხვა განსაზღვრული შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 4.7 ათასზე მეტი შემთხვევა, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების 52 შემთხვევა, რეფერალური დახმარების კომპონენტის ფარგლებში ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ კონსულტაცია და გართულებული შემთხვევის სამედიცინო ტრანსპორტირება – 15.3 ათასზე მეტი შემთხვევა;

- **მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** დაფიქსირდა 26.6 ათასზე მეტი შემთხვევა, მათ შორის კრიტიკული მდგომარეობის – 5.0 ათასზე მეტი შემთხვევა, პათომორფოლოგიური და პათანატომიური კვლევების – 2.7 ათასზე მეტი შემთხვევა;

- **გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში** დაფიქსირდა 1.6 ათასზე მეტი შემთხვევა. მათ შორის: თანდაყოლილი და შეძენილი მანკების დროს ოპერაციული მკურნალობის 850-მდე და ანგიოპლასტიკის 770-მდე შემთხვევა;

- ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა ამბულატორიული მომსახურების 1.4 ათასზე მეტი შემთხვევა;

- აივ-ინფექციის/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მაღალი რისკის ჯგუფის პირთა აივ-ინფექცია/შიდსზე გამოკვლევებში დაფიქსირდა იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით აივ ანტიბიოტების განსაზღვრის 10.6 ათასამდე შემთხვევა, აივ-ანტიბიოტების განსაზღვრა სწრაფი მარტივი მეთოდით – 7.4 ათასამდე შემთხვევა, აივ-ინფექცია შიდსზე ტესტის წინა 11.7 ათასამდე კონსულტაცია, 12.1 ათასზე მეტი – ტესტის შემდგომი კონსულტაცია და 70-მდე ვიზიტი; შიდსის ამბულატორიული მომსახურების 7.0 ათასამდე შემთხვევა, შიდსის სტაციონარული მომსახურების 735-ზე მეტი შემთხვევა;

- სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 574.0 ათასამდე გამოძახება. ჰოსპიტალიზაცია და ბინაზე მკურნალობა ჩაუტარდა 348.8 ათასზე მეტ პაციენტს;

- ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა ამბულატორიული და სამკურნალო-დიაგნოსტიკური მომსახურების 6.4 ათასამდე, სტაციონარული მომსახურების – 8.0 ათასზე მეტი შემთხვევა;

- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 20.7 ათასზე მეტი შემთხვევა;

- ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა მენინგოკოკური ინფექციით დაავადებულთან კონტაქტში მყოფი 300-მდე პირი, მათ შორის ინფექციის მატარებელი გამოვლინდა 2 პირი, ხოლო ბაქტერიულ მენინგიტზე გამოკვლეულ იქნა 340-მდე პირი; წითელაზე და წითურაზე სისხლში ანტიბიოტების გამოკვლევა ჩაუტარდა 20-ზე მეტ ბენეფიციარს; ნაწლავთა ჯგუფის ინფექციებზე გამოკვლეულ იქნა 5-მდე პირი. შპს „კოჯრის ბავშვთა სახლის“ მოთხოვნით გამოკვლეულ იქნა 50-მდე პირი;

- დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა პროფესიულ დაავადებათა პრევენციის კომპონენტის ფარგლებში ოსტეოპოროზის კვლევის 345-მდე, ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის 19.9 ათასამდე, ძუძუს კიბოს სკრინინგის 13.8 ათასამდე, ხოლო სქესობრივი გზით გადადები დაავადებების 7.5 ათასამდე შემთხვევა, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტის ფარგლებში თანდაყოლილი პათოლოგიის სკრინინგის – 2.4 ათასზე მეტი შემთხვევა, იმუნოზაციის – 449.3 ათასზე მეტი, უსაფრთხო სისხლის – 36.2 ათასზე მეტი და ეპიდემიოლოგიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის – 1.4 ათასამდე შემთხვევა;

- მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 20.9 ათასამდე ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

• აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში (გლობალ ფონდი) პროექტის ფარგლებში:

- ჩამოყალიბდა ნარკოტიკების მომხმარებელთა ნებაყოფლობითი კონსულტირება-ტესტირების 6 ცენტრი; სულ აივ/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება გაირა 400-ზე მეტმა პირმა;
- მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრებში (2 - ქ. თბილისში, 1 - ქ. ბათუმში) პროგრამაში ჩართული იყო 300-მდე ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი პირი;
- სქესობრივი გზით გადადებ დაავადებებზე მკურნალობა ჩაუტარდა 490-ზე მეტ ბენეფიციარს, ღარიგდა 4.6 ათასამდე ერთეული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა;
- აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სპეციფიურ ანტირეტროვირუსულ მკურნალობას გადიოდა 810-ზე მეტი შიდსით ინფიცირებული, მათ შორის 23 ბავშვი, პროფილაქტიკური ანტირეტროვირუსული მკურნალობა ჩაუტარდა 22 აივ ინფიცირებულ ორსულს;
- მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით საქართველოში არსებული 80 ლაბორატორიიდან 9 ლაბორატორია და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 18 ცენტრი აღიჭურვა და მომარაგდა სამედიცინო სახარჯი მასალებით;
- ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის მიზნით მობილური ჯგუფის მიერ ლაგოდეხის, მარნეულის, სიღნაღის, მარტვილის, სენაკის, ლანჩხუთის, ზესტაფონისა და გარდაბნის რაიონებში განხორციელდა სისხლის ლაბორატორიული კვლევა მოსახლეობაში;
- საქართველოს პენიტენციალური სისტემის დაწესებულებებში განხორციელდა ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების 6 ცენტრის რეაბილიტაცია და აღჭურვა, ჩატარდა 6.2 ათასზე მეტი კონსულტაცია და 5.0 ათასზე მეტი ტესტირება აივ/შიდსზე;
- ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების ბინაზე მონიტორინგის მიზნით მობილურმა ბრიგადებმა ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ბათუმში შეასრულეს 80-მდე ვიზიტი, რომლის დროსაც მონიტორინგი ჩაუტარდა 300-მდე პაციენტს. პროექტის ფარგლებში „პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნულმა ასოციაციამ“ უზრუნველყო შიდსით დაავადებულ პირთა პალიატიური დახმარება ბინაზე. განხორციელდა მობილური გუნდის წევრების 500-მდე ვიზიტი, აგრეთვე სატელეფონო კონსულტაციები;
- მობილურმა ბრიგადებმა ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ბათუმში განახორციელეს ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფი 300-მდე პაციენტის ბინაზე მონიტორინგი;
- DOTS სტრატეგიის სრულყოფის ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ტუბერკულოზის 33 ლაბორატორიის ხარისხის კონტროლი, სასჯელაღსრულების 17 დაწესებულებაში პატიმრების სკრინინგი, მკურნალობა ჩაუტარდა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ 600-მდე პაციენტს, 1.8 ათასამდე ტუბდაავადებულს – გამოკვლევა აივ/შიდს ინფექციაზე, მკურნალობით უზრუნველყოფილ იქნა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული 1.3 ათასზე მეტი პაციენტი,

• ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი

- შეძენილ იქნა 7 რეანომობილი, საიდანაც 3 გადაეცა შპს „კატასტროფის მედიცინის ცენტრს“, 2 – შპს „რეფერალური დახმარების ცენტრს“ და 2 – სს „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სასწრაფო დახმარებისა და კატასტროფის ცენტრს“;
- ფრინველის გრიპის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაიბეჭდა 15 000 საინფორმაციო ბუკლეტი – „რვეული ბავშვებისათვის“;
- 90 მეან-გინეკოლოგმა პროფესიული ტრენინგი გაიარა ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში;

სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა

• სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე კონტროლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონების მასშტაბით შემოწმდა 155-მდე სამედიცინო დაწესებულება. შემოწმების საფუძველზე დამატებით გამოკვლევაზე გადაიგზავნა 450-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ასევე, გადამოწმებულ იქნა ის 2.3 ათასზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელთაგან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი დაუდასტურდა მხოლოდ 1.6 ათასამდე პირს;

• სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ფარულად შეძენილი მედიკამენტების ლაბორატორიული შემოწმება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ამოღებული მედიკამენტები სრულად შეესაბამება სტანდარტებს. აგრეთვე, ფარმაცევტულ დაწესებულებაში შეძენილ იქნა 640-მდე დასახელების სამკურნალო საშუალება. საიდანაც, ანალიზური დასკვნის საფუძველზე 8 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი არ შეესაბამებოდა სპეციფიკაციის მოთხოვნებს. ხოლო ვიზუალური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ იქნა, რომ 60-მდე დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევა ბაზარზე ხორციელდებოდა კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით;

• სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

- დასრულდა შპს „თსსუ გ. ჟვანიას სახელობის საუნივერსიტეტო პედიატრიული კლინიკის“ და შპს „საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ შენობების სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო წინამოსამზადებელი სამუშაოები, სამინისტროს დროებითი ავტოსადგომის მოწყობა, შპს „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გარე და შიდა მოსახვა, ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები, შიდა სანტექნიკის, გარე კანალიზაციის, გარე წყალსადენის, სუსტი დენების, საქვებისა და სასეირნო გალიის მოწყობა, სს „ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ძველი მორგისა და შპს გორის რეგიონალური ონკოლოგიური დისპანსერის „ბერსაბეას“ სარეაბილიტაციო სამუშაოები, სამინისტროს შენობის 0 და I სართულების რეკონსტრუქცია;

- დასრულდა სამინისტროს (ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144) რეაბილიტაცია, საოფისე ავეჯისა და ინვენტარის შესყიდვა, აგრეთვე შიდა სატელეფონო კავშირგაბმულობის მაღალტექნოლოგიური საშუალებების (პლატფორმა და კონფიგურაცია) შეძენა-მონტაჟი, შპს „რეფერალური დახმარების ცენტრისათვის“ ჟანგბადის სადგურების კომპრესორის შესყიდვა და შპს „ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის – 03“-თვის საოფისე ავეჯისა და ინვენტარის შესყიდვა, სამინისტროს შენობის (ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144) სს „ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ახალი კორპუსის საოფისე და სამედიცინო ინვენტარით აღჭურვა;
- მომზადდა სამინისტროს შენობის გრუნტების ჰიდროლოგიური და გრუნტის წყლების ფუძესაძირკვლებზე ზემოქმედების საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. N2/6 არსებულ 6 206,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ინფექციური 150 საწოლიანი კორპუსის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია;

- **დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის** ფარგლებში პროფესიული მზადება დაასრულა 18 რეზიდენტმა, დიპლომისშემდგომი განათლების/სარეზიდენტო პროგრამის მომზადება/გადახედვის მიზნით შექმნილი ტექნიკური დავალება;

- **ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის (WB)** ფარგლებში ტრენინგი გაიარა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტოს მიერ დაკონტრაქტებულმა 410-მდე სოფლის ექიმმა; გადამზადდა 815-მდე ექიმი და 915-ზე მეტი ექთანი; სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თანამშრომლობა გრძელდებოდა დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და კლინიკური დახელოვნების ნაციონალურ ინსტიტუტთან (NICE). მოეწყო NICE-ის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრები სისტემური ანალიზის მნიშვნელოვან საკითხებზე; დასრულდა ამბროლაურის რაიონის 25 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა და ქ. გორის საოჯახო მედიცინის რევიონული კლინიკის და სასწავლო ცენტრის რეაბილიტაცია;

- **„პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის (ევროკავშირი)“** ფარგლებში გადამზადდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რუსულენოვანი 60-მდე ექიმი და 80-მდე ექთანი, დამტკიცდა პირველადი ჯანდაცვის 20 ახალი გაიდლაინი და პროტოკოლი, დაიბეჭდა 40 სახეობის ახალი გაიდლაინი, დასრულდა ახალციხის, ოზურგეთისა და ამბროლაურის ლაბორატორიების მშენებლობები.

სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებული პირების, სოციალურად დაუცველი ფენების, ხანდაზმულების და იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

- **სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები** – საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით, განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით, სახელმწიფო კომპენსაციებითა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიებით. კერძოდ, იანვრის თვეში სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო

კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია სულ გაიცა 860.5 ათასამდე პირზე, თებერვალში – 860.0 ათასზე მეტ, მარტში – 860.0 ათასამდე, აპრილში – 858.7 ათასამდე, მაისში – 861.1 ათასზე მეტ, ივნისში – 861.8 ათასზე მეტ, ივლისში – 862.7 ათასზე მეტ, აგვისტოში – 863.1 ათასამდე, სექტემბერში – 863.3 ათასზე მეტ, ოქტომბერში – 863,8 ათასამდე, ნოემბერში – 863.5 ათასზე მეტ და დეკემბერში – 857.9 ათასამდე პირზე;

- **სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში** საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 23.5 ათასზე მეტი პირი, გადარიცხული თანხის ოდენობამ – 512.0 ათას ლარზე მეტი, თებერვალში – 22.3 ათასამდე პირი და 512.8 ათას ლარამდე, მარტში – 22.0 ათასამდე პირი და 505.6 ათას ლარზე მეტი, აპრილში – 22.0 ათასამდე პირი და 503.8 ათასზე მეტი ლარი, მაისში – 21.8 ათასამდე პირი და 499.0 ათას ლარამდე, ივნისში – 21.6 ათასზე მეტი პირი და 492.4 ათას ლარამდე, ივლისში – 21.4 ათასზე მეტი პირი და 486.7 ათას ლარამდე, აგვისტოში – 21.2 ათასზე მეტი პირი და 482.0 ათას ლარამდე, სექტემბერში – 21.0 ათასამდე პირი და 476.7 ათას ლარამდე, ოქტომბერში – 21.0 ათასამდე პირი და 471.3 ათას ლარზე მეტი, ნოემბერში – 20.0 ათასზე მეტი პირი და 466.3 ათას ლარზე მეტი და დეკემბერში – 20.0 ათასზე მეტი პირი და 457.2 ათასამდე ლარი;

- საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ იანვრის თვეში შეადგინა 157.2 ათასამდე ოჯახი, გადარიცხული თანხის ოდენობამ 12.9 მლნ ლარზე მეტი, თებერვალში – 161.8 ათასამდე ოჯახი და 13.1 მლნ ლარამდე, მარტში – 163.4 ათასამდე ოჯახი და 12.8 მლნ ლარამდე, აპრილში – 164.5 ათასამდე ოჯახი და 12.8 მლნ ლარზე მეტი, მაისში – 165.4 ათასამდე ოჯახი და 12.7 მლნ ლარზე მეტი, ივნისში – 166.4 ათასზე მეტი ოჯახი და 12.9 მლნ ლარზე მეტი, ივლისში – 153.3 ათასამდე ოჯახი და 11.9 მლნ ლარამდე, აგვისტოში – 150.1 ათასზე მეტი ოჯახი და 11.8 მლნ ლარზე მეტი, სექტემბერში – 131.7 ათასზე მეტი ოჯახი და 10.7 მლნ ლარზე მეტი, ოქტომბერში – 137.2 ათასზე მეტი ოჯახი და 10.6 მლნ ლარამდე, ნოემბერში – 140.0 ათასამდე ოჯახი და 11.3 მლნ ლარამდე და დეკემბერში – 144.9 ათასამდე ოჯახი და 13.2 მლნ ლარამდე;

- საარსებო შემწეობის მიმღები ე.წ. ახალი დეენილების რაოდენობამ იანვარში შეადგინა 3.7 ათას ოჯახზე მეტი და ამ მიზნით გადარიცხულია 283.5 ათას ლარამდე, თებერვალში – 3.7 ათასზე მეტი ოჯახი და 290.0 ათას ლარამდე, მარტში – 3.7 ათასზე მეტი ოჯახი და 295.0 ათას ლარამდე, აპრილში – 3.8 ათასამდე ოჯახი და 296.0 ათას ლარზე მეტი, მაისში – 3.8 ათასამდე ოჯახი და 295.0 ათას ლარზე მეტი, ივნისში – 3.7 ათასზე მეტი ოჯახი და 295.0 ათას ლარამდე, ივლისში – 3.8 ათასზე მეტი ოჯახი და 293.7 ათას ლარზე მეტი, აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში – თვეში 3.8 ათასზე მეტი ოჯახი და ჯამურად გადარიცხულმა თანხამ 1 492.0 ათას ლარზე მეტი;

- ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავზე, მეორე მსოფლიო ომის 4.2 ათასამდე ვეტერანზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულზე 200 ლარის ოდენობით, ხოლო ამ მიზნით გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 838.8 ათასი ლარი.

- **ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება** გაეწია 9.2 ათასამდე ორსულს და გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 5.1 მლნ ლარამდე.

- **სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამის** ფარგლებში სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის განხორციელდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. აღნიშნულ პირთა რაოდენობამ იანვრის თვეში შეადგინა 82.3 ათასზე მეტი, თებერვალში – 81.9 ათასზე მეტი, მარტში – 81.0 ათასზე მეტი, აპრილში – 81.0 ათასამდე, მაისში – 80.8 ათასზე მეტი, ივნისში – 80.4 ათასზე მეტი, ივლისში – 80.1 ათასზე მეტი, აგვისტოში – 79.8 ათასამდე, სექტემბერში – 79.5 ათასამდე, ოქტომბერში – 78.9 ათასამდე, ნოემბერში – 78.6 ათასამდე და დეკემბერში – 20.2 ათასამდე. სულ ამ მიზნით გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 20.2 მლნ ლარზე მეტი.

- **ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები** – იანვრის თვეში შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა 218.1 ათასზე მეტი პირი, თებერვალსა და მარტში – 219,0 ათასამდე პირი, აპრილში – 217.8 ათასამდე პირი, მაისში – 218.8 ათასამდე პირი, ივნისში – 219.0 ათასზე მეტი პირი, ივლისში – 221.3 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში – 223.0 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში – 228.5 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში – 228.0 ათასამდე პირი, ნოემბერში – 230.1 ათასზე მეტი პირი და დეკემბერში – 228.5 ათასზე მეტი პირი. ამ მიზნით გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 69.3 მლნ ლარზე მეტი.

- **სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში II პროექტის** ფარგლებში დასრულდა ათი სოციალური სახლის მშენებლობა. შემუშავდა ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და შეფასების მეთოდოლოგია.

სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები) სოციალური დაცვა

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის** „მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება გაეწია 125-მდე ბენეფიციარს, „ყრუ-მუნჯების კომუნიკაციების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობას იღებდა 8 სურდოთარჯიმანი, „შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია 1 338-მდე ბენეფიციარს, „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში გაიცა 1 275-მდე გადასაადგილებელი საშუალება, 1 285-მდე სმენის აპარატი, 205-მდე საპროტეზო-ორთოპედიული დამხმარე საშუალება და შესყიდულ იქნა 31 ერთეული კონსლერული ინპლანტი;

- შშმ პირთა დღის ცენტრების ქვეპროგრამის ფარგლებში იანვარში მომსახურება გაეწია 660-ზე მეტ, თებერვალში – 750-ზე მეტ, მარტში – 755-მდე, აპრილში – 770-მდე, მაისში – 735-მდე, ივნისში – 760-მდე, ივლისში – 760-ზე მეტს, აგვისტოში – 600-მდე, სექტემბერში – 760-მდე ბენეფიციარს, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში 750-მდე ბენეფიციარს თითოეულ თვეში, ხოლო წლის განმავლობაში გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 1.6 მლნ ლარზე მეტი;

- შშმ პირთა სათემო ორგანიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში იანვარში მომსახურება გაეწია 49, თებერვალში – 50, მარტში – 50, აპრილში – 48, მაისში – 46, ივნისში – 45 ბენეფიციარს, იგივე დინამიკა გაგრძელდა ივლისიდან წლის ბოლომდე,

თითოეულ თვეში მომსახურება გაეწია 45 ბენეფიციარს, ხოლო ჯამურად გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 254.5 ათას ლარამდე.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონური მომსახურება გაეწია სულ 1.5 ათასამდე ბენეფიციარს.


- პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ ფარგლებში რეინტეგრაციის შემწეობა გაიცა იანვარში – 255-ზე მეტ, თებერვალში – 270-მდე, მარტში – 265-მდე, აპრილში – 230-მდე, მაისში – 210-მდე და ივნისში – 210-მდე, ივლისში – 270, აგვისტოში – 290-მდე, სექტემბერში – 280-მდე ოქტომბერში – 260-მდე. ნოემბერსა და დეკემბერში – 260-ზე მეტ ბავშვზე, ხოლო მინდობით აღზრდის ანაზღაურება შვილობილის მოვლისა და აღზრდისათვის გაიცა იანვარში – 660-მდე, თებერვალში – 655-ზე მეტ, მარტში – 680-მდე, აპრილში – 700-მდე, მაისში – 660-მდე, ივნისში – 640-ზე მეტ, ივლისში – 590-ზე მეტ, აგვისტოში – 580-ზე მეტ, სექტემბერში – 560-ზე მეტ, ოქტომბერში – 540-ზე მეტ, ნოემბერსა და დეკემბერში – 500-ზე მეტ ბავშვზე;

- „ჩვენი სახლისა“ და „ღლის ცენტრების“ ქვეპროგრამების ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში – 480-ზე მეტ, თებერვალში – 490-მდე, მარტში – 485-მდე, აპრილში – 495-მდე, მაისში – 500-ზე მეტ, ივნისში – 500-მდე, ივლისში – 465-მდე, აგვისტოში – 230-მდე, სექტემბერში – 410-მდე, ოქტომბერში – 420-მდე, ნოემბერში – 460-მდე და დეკემბერში – 470-ზე მეტ ბენეფიციარს;

- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 5.9 ათასზე მეტ ბენეფიციარს.


საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 199 768.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 189 650.6 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 136 518.4 ათასი ლარით მეტია. აღნიშნული მატება გამოწვეულია „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის (KfW, EIB, EBRD)“ ფარგლებში ღონისძიებათა მიერ ჩამორიცხული თანხებიდან გამოძვინარე.



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 12.07%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.01%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 87.74%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.18%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2010 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფა

- პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები და ღუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების (სეთურნის, ჯალმიანის, ზაქანის, ხადის და კაიშაურის) მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, ასევე სს „თბილსრესის“ №3 ენერჯობლოკის სარემონტო სამუშაოებისა და ბუნებრივი აირის შექმნის თანადაფინანსება.

ელექტროგადაცემის საშუალებების მშენებლობა – რეაბილიტაცია

- პრიორიტეტის ფარგლებში ელექტროგადამცემ ხაზებზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას შესრულდა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.


ელექტროენერჯეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა -რეაბილიტაცია

- პრიორიტეტის ფარგლებში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები შემდეგი პროგრამების მიხედვით: „შავი ზღვის რეგიონალური გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი“, „მაღალი ძაბვის 220-კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის – სენაკის – ალდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოები“, „რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია“, „ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის გაზიფიცირება“, „დასავლეთის მიმართულებით მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა-რეაბილიტაცია“ ფარგლებში.

- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების ფონდსა (USAID) და საქართველოს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება შემდეგი პროგრამების განსახორციელებლად: „მაღალი ძაბვის 220-კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის სენაკი – ალდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები“, „ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის გაზიფიცირება“, „დასავლეთის მიმართულებით მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა-რეაბილიტაცია“.


საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 38 680.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 30 640.5 ათასი ლარი, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 44 519.6 ათასი ლარით ნაკლებია.



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 70.2%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 10.7%, ხოლო „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 19.1%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია

- პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია“ ფარგლებში კახეთის რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის და გურიის რეგიონებში მოეწყო სადემონსტრაციო ნაკვეთები. კერძოდ: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში (ამბროლაურის რაიონი, სოფოლი სადმელი) 0,55 ჰა სადემონსტრაციო ნაკვეთზე კულტივირებულ იქნა კარტოფილი, სიმინდი, ბროკოლი, პომიდორი, კიტრი, ჩინური კომბოსტო; გურიის რეგიონში (ლანჩხუთის რაიონი სოფელი სუფსა) 0,78 ჰა სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთზე კულტივირებულ იქნა კიტრი, სიმინდი, ბროკოლი; კახეთის რეგიონში (საგარეჯოს რაიონი, სოფ იორმულანლო) 1,0 ჰექტარ სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთზე კულტივირებულ იქნა პომიდორი, კიტრი, საზამთრო. აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვეგეტაციის პერიოდში ყველა რეგიონში მოეწყო სამ-სამი სადემონსტრაციო მინდვრის დღე, რომლის ფარგლებშიც მოხდა კულტურების მოყვანის ტექნოლოგიებისა და მოცემული ჯიშების მახასიათებლების გაცნობა, აღნიშნულ კულტურებში გამოყენებული აგროტექნოლოგიები და მათი უპირატესობები, ასევე გაცნობილი იქნა გამოყენებული თანამედროვე მექანიზაციის საშუალებები. მინდვრის დღეებზე განხილულ იქნა რეგიონებისათვის ახალი ბოსტნეული კულტურების დანერგვის პერსპექტივები. თითოეული მინდვრის დღის ფარგლებში ტრენინგი ჩაუტარდა 30-ზე მეტ წვრილ და საშუალო ფერმერს, რომელთაც დაურიგდათ საინფორმაციო მასალები.

- „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებების“ ფარგლებში 28-29 ოქტომბერს სინგაპურში გაიმართა ღვინის საერთაშორისო გამოფენა გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ათმა ქართულმა ღვინის კომპანიამ („თელიანი ველი“, თბილღვინო“, „ბაგრატიონი“, „თელავის ღვინის მარანი“, „ხარება“, „შატო მუხრანი“, „სარაჯიშვილი“, „ჩელთი ვაინი“, „ბესინი“ და „კახური“). ჩატარდა საქმიანი შეხვედრები ადგილობრივი ღვინის სექტორის წარმომადგენლებთან, დისტრიბუტორებთან, იმპორტიორებთან, ჟურნალისტებთან და ექსპერტებთან.

- „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ფარგლებში ქ. ლონდონში გამართული საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 9 ქართულმა ღვინის კომპანიამ. ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობად მოხდა ქართული ღვინის დეგუსტაცია საერთაშორისო დეგუსტატორების მიერ, ასევე გამოფენაში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ, მოეწყო შეხვედრები ღვინის ექსპერტებსა და ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებთან.

- ქალაქ ტორონტოში ჩატარდა ღვინის საერთაშორისო გამოფენა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგამოფენო ფართის დაქირავების, სტენდის დიზაინის და მისი აწყობის ხარჯები. ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით დაბეჭდილი იქნა სარეკლამო ბუკლეტები და კატალოგები. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა საქმიანი შეხვედრები ადგილობრივი ღვინის სექტორის წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან და ექსპერტებთან.

- „მსოფლიო ღვინის კონგრესი“ ფარგლებში კონგრესზე დაკავშირებულ ღონისძიებებს. კონგრესში ღვინის ნიმუშები დასაგემოვნებლად წარადგინა ოცმა ქართულმა ღვინის კომპანიამ. კონგრესზე წარდგენილმა ქართულმა ღვინოებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, კონგრესში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ცნობადობის

ზრდას, ღვინისა და ღვინის ტურიზმის განვითარებას, ქართული მეღვინეობის და აგრარული დარგის წარმომადგენლების კავშირების გამყარებას უცხოელ სპეციალისტებთან.

- „ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებების“ ფარგლებში გურჯაანისა და თელავის რაიონებში განხორციელდა მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული ვენახების გათავისუფლება ჰიბრიდული ვაზის ნარგაობებისაგან, შესაბამისი კომპენსაციის მიღებით (ერთ ჰექტარ ფართობზე 1 000 ლარის ოდენობით). საანგარიშო პერიოდში ამოძირკვული და გამონთავისუფლებული იქნა 192.6 ჰა ფართი.

- „ღვინის ლაბორატორიული კვლევის“ ფარგლებში ცხრა კომპანიიდან აღებული იქნა 33 ღვინის ნიმუში, რომლებიც გადაეცათ ღვინის ლაბორატორიებს კვლევის ჩასატარებლად. ნიმუშები შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს.

- „2010 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ყურძნის მოსავლის შეუფერხებლად რეალიზაციის განსახორციელებლად მოსახლეობის მიერ ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებზე ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით თითოეულ კილოგრამ რქაწითელის ჯიშის ყურძენზე გათვალისწინებული იქნა 0.15 თეთრი, ხოლო საფერავზე 0.25 თეთრი. ყურძნის ჩამბარებელ ფიზიკურ პირებზე გაცემული იქნა 22 476.8 ტონა ჩაბარებულ ყურძენზე 4 739.3 ათასი ლარის ღირებულების 10 190 ცალი ვაუჩერი, კერძოდ: რქაწითელის ჯიშის 8 799.2 ტონაზე 2 930 ცალი ვაუჩერი - 1 319.9 ათასი ლარის ღირებულებით; საფერავის 13 677.6 ტონაზე 7 260 ცალი ვაუჩერი - 3 419.4 ათასი ლარის ღირებულებით.

მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა

„მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა“ პროგრამის ფარგლებში:

- დასავლეთ საქართველოში უსასყიდლოდ დამუშავებულია 11 300 ჰა ზუგდიდის, აბაშის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკის, სამტრედიის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხითისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში. 200 ლიტრი პესტიციდი გადაეცა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გადაეცა 2 000 ლიტრი ბიოლოგიური პრეპარატი (დიპელი ლ-8), ღონისძიებები ჩატარებულია 600 ჰა-ზე. სუსტი გავრცელების რაიონებში და იმერეთის რეგიონში ჩატარდა მექანიკური ბრძოლა. ღონისძიებების ბიოლოგიურმა ეფექტურობამ შეადგინა 80-85%.

- ჩატარდა კახეთის რეგიონში დამკვიდრებული კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებები ავიაციის გამოყენებით ახმეტის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში 6 386.1 ჰექტარზე. ავტომანქანებზე დამონტაჟებული შემასხურებელი აგრეგატების გამოყენებით, საკუთარი ძალებით, კალიების წინააღმდეგ დამუშავდა 6 693 ჰექტარი საგარეჯოს, მარნეულის, გარდაბნის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში.

- შეძენილ იქნა პესტიციდების 49 ნიმუში და აგროქიმიკატების 36 ნიმუში, რომლებიც გადაეცა აკრედიტირებულ ლაბორატორიებს ანალიზისათვის.

- განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნებელ-დაავადებების გავრცელებისა და მავნეობის შესასწავლად ჩატარდა ფიტოსანიტარული მონიტორინგი 20 000 ჰექტარზე.

სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

- „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“ პროგრამის ფარგლებში მონიტორინგი განხორციელდა ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდში, ქ. ზესტაფონში. სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) ნიმუშების (სინჯების) უვნებლობისა და ხარისხის პარამეტრებზე. ეროვნულ სამსახურს ამ სამუშაოების შესასრულებლად გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 5 აკრედიტებულ ლაბორატორიასთან.

- მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე უფლებამოსილი მოხელეების მიერ აღებული და აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიებში ჩაბარებული იქნა სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) 474 ნიმუში. კერძოდ: ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტი და მისი კონსერვები - 83 ნიმუში; ბავშვთა (მათ შორის ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტები, მისი კონსერვები - 10 ნიმუში; ალკოჰოლური და სუსტალკოჰოლური სასმელები - 25 ნიმუში; წყლის სასაქონლო პროდუქცია უალკოჰოლო სასმელები და სასმელი წყალი - 72 ნიმუში; მცენარეული წარმოშობის სასურსათო პროდუქტები - 269 ნიმუში; მზა კერძები და კულინარული ნაწარმი - 15 ნიმუში. ამასთან, ჩაბარებული ნიმუშებიდან 51 ნიმუში არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.

- გამოკვლეული იქნა ხილ-ბოსტნეულის 154 ნიმუში. პესტიციდების ნარჩენებზე ლაბორატორიული კვლევისთვის სარეალიზაციო ქსელიდან აღებული ხილისა და ბოსტნეულის ნიმუშებზე ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზები, შეუსაბამობა დაფიქსირდა 28 ნიმუშში.

- „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად გაცემული იქნა 368 ჰიგიენური სერტიფიკატი. მათ შორის ალკოჰოლურ სასმელებზე - 199; წყლის სასაქონლო პროდუქციაზე - 26; უალკოჰოლო სასმელებზე - 62; სხვა სასურსათო პროდუქტებზე - 31; მინის ტარაზე - 4.

- „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა 9 ობიექტის სრული სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება, დოკუმენტური მასალის შემოწმება, პერსონალის პირადი ჰიგიენის შემოწმება, სურსათის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა).

- სურსათის ნიმუშების უვნებლობისა და ხარისხის (მ.შ. ფალსიფიკაციის) პარამეტრებზე ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით და ეტიკეტირების წესების დარღვევის გამო 16 კომპანია დაჯარიმდა 1 000 ლარით.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანოლეპტიკური შეფასების საფუძველზე სხვადასხვა დასახელების სურსათი ჩაითვალია მავნებლად და გაიცა ბრძანებები მავნებელი სურსათის განადგურების თაობაზე. განადგურების მიზეზს ძირითადად არადამაკმაყოფილებელი ორგანოლეპტიკური მდგომარეობა წარმოადგენდა.

მეცხოველეობის განვითარება

- პროგრამის „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“ ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებები (ბრუცელოზზე გამოკვლევები, ვაქცინაცია, დეზინფექცია) განხორციელდა 2010 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის სახით არსებული ბიოპრეპარატების, დამხმარე საშუალებების (სისხლის ასაღები აღჭურვილობა) და 2010 წელს ჰუმანიტარული დახმარების სახით გადმოცემული ვაქცინების ხარჯზე;

- ცხოველების თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია განხორციელდა აჭარის ა/რესპუბლიკაში, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელო ზემო სვანეთის, გურიისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში თურქულის დაავადების მხრივ მაღალი რისკის ზონებში (თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის საზღვრისპირა რაიონებში, ცხოველთა გადასარეკ ტრასების, მიგრაციულ

ცხოველების, ცოცხალი ცხოველებით მოვაჭრე ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე, ცენტრალური მაგისტრალური ტრასის მიმდებარე დასახლებებში და სხვა რისკის ზონებში);

- ეროვნული სამსახურის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურზე გადაცემული იქნა 50 000 ლოზა თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინა;

- ქვეყნის ტერიტორიაზე პრევენციული დაცვითი აცრები ჩატარდა: თურქულის საწინააღმდეგოდ 243 367 სულ მსხვილფეხა და 6 176 სულ წვრილფეხა პირუტყვის; ჯილეხის საწინააღმდეგოდ პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 50 026 სული მსხვილფეხა და 2 000 სული წვრილფეხა პირუტყვი. ჯილეხის დაავადების კერებში კი ვაქცინირებულია 8 092 სული სასოფლო სამეურნეო ცხოველი: ცოფის საწინააღმდეგოდ პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 23 274 სული ძაღლი და კატა. ცოფის დაავადების კერებში კი ვაქცინირებულია 9 488 სული ცოფის დაავადების ამთვისებელი ცხოველი.


- კომპეტენტური სახელმწიფო ვეტერინარი სპეციალისტების მიერ აღებული და საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში გადაგზავნილი იქნა 55 078 მსხვილფეხა პირუტყვის სისხლის სინჯი. გამოკვლევებით გამოვლენილი იქნა 1 709 დაავადების შემთხვევა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

რესურსების სამინისტრო


საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 30 441.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 28 570.6 ათასი ლარი, რაც 2009 წელს შესაბამის მაჩვენებელზე 7 685.2 ათასი ლარით ნაკლებია.

2009-2010 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 80.01%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 19.95%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.04%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

**„გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა“
პროგრამა „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები“**

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა გარემოზე ზემოქმედების 61 ნებართვა და 26 დასკვნა.

პროგრამა „მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები“

პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე: სოფ. მამადაანევი - გზის და სოფლის დასაცავად მდ. იორზე აიგო გაბიონის კედელი; თელავის ხევაზე ჩატარდა კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები; მდ. ტყიბულაზე ჩატარდა კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები; დაბა ჩაქვი რკინიგზის სადგურის მიმდებარედ ზღვის სანაპირო ზოლში აღდგენილია დაზიანებული ნაპირდამცავი ბეტონის ვერტიკალური კედელი და ქ. ქობულეთში ზღვის სანაპირო ზოლში

აღდგენილია საფეხურებიანი ნაპირდამცავი კედელი; მდ. ჩაქვისწყლის მარჯვენა ნაპირზე - დასახლების დასაცავად აიგო დატბორვისა და ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობა, ჩატარდა ბეტონის დეზის სათავე ადგილის გამონოლითებისა და დაზიანებული ბუტო-ბეტონის კედლის აღდგენითი სამუშაოები; სოფ. ლასურიაში - საშუალო სკოლის მიმდებარედ, მდ. ცხენისწყალზე მოეწყო ქვანაყარი ბერმა; სოფ. ენისელში მდ. ინწობის მარჯვენა ნაპირზე მოეწყო გაბიონი; სოფ. აცანაში განხორციელდა სამუშაოები მდ. აცანას მარცხენა ნაპირის გამაგრებისა და ხიდის მარცხენა ბურჯის დაცვის მიზნით; სოფ. აღდგომიანთკარში, მდ. არაგვზე ლტოლვილთა დასახლებასთან მისასვლელი გზის დასაცავად მოეწყო გამბიონი; სოფ. ჭრებალოში მდ. ასკის კალაპოტში შესრულდა სამუშაოები ბეტონის კედლის მოწყობის მიზნით; სოფ. საცხენისში, მდ. შოროხევზე მარცხენა ნაპირზე მოეწყო გაბიონი; კეთილარის თემში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განხორციელდა ნაპირდამცავი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები; განხორციელდა სოფ. გორისციხე-ფლეშეს საავტომობილო ხიდის მარჯვენა ბურჯი გასამაგრებელი სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში ასევე მიმდინარეობდა სამუშაოები: მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე ქვანაყარი ბერმის და ნაპირდამცავი დამბის მოწყობის მიზნით; წალკის წყალსაცავზე დამბის აღდგენის მიზნით; დაბა ლენტეხში, ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ, მდ. ხელედულას მარჯვენა ნაპირზე ქვანაყარი ბერმის მოწყობის მიზნით; ჩოხატაურის რაიონი, სოფ. გუთური, მდ. საკირიას მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ეწყობა გაბიონი.

პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საერთაშორისო ორგანიზაციებში, კომპანიებში, საელჩოებში და სასწავლო დაწესებულებებში გავრცელდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2010 წლის კედლის კალენდრები, ტურისტული რუკები, ტურისტული ჟურნალები და სხვადასხვა საინფორმაციო ბეჭდვითი მასალები
- დაიბეჭდა თუშეთის, ვაშლოვანის, ლაგოდეხის, ქობულეთის, კოლხეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების, მტირალას და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების, ტურისტული რუკების ქართულ-ინგლისური ვერსიები, სულ 33 000 ცალი.
- დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ბერლინში, ბათუმსა და თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში.
- ჟურნალ „ეკონომისტის“ ყოველწლიური გამოცემის ქართულ ვერსიაში „The World in 2010“ და გაზეთ „ტაბულა“-ში განთავსდა სარეკლამო ინფორმაცია საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ;
- დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით დაიბეჭდა ფლაერები, ტურისტული რუკები, მომზადდა სარეკლამო რგოლები.
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ახალი ტურისტული სერვისის - სამთო ველოსიპედით სეირნობის პრეზენტაცია გაიმართა, ასევე მოეწყო საინფორმაციო ტურები ლაგოდეხის ნაკრძალში, მტირალასა და თუშეთის ეროვნულ პარკებში.

პროგრამა “დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მანებლებისაგან დაცვის ღონისძიებები”

- შესყიდული იქნა 127 ცალი მისასხურებელი აპარატი, რომელიც გამოიყენება ხანძრის ლიკვიდაციისათვის.

„ეფექტური რესურსთსარგებლობით უზრუნველყოფა“

პროგრამა „მოსახლეობის შემთ უზრუნველყოფის ღონისძიებები“

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა განადგებული 41,0 ათასზე მეტი შეშის ვაუჩერით ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი – 544,0 ათასი ლარი (გამოყოფილი იყო 187,9 ათასი მ³ სათბობი შეშა).


პროგრამა „სატყეო ღონისძიებები“

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ტენდერების შედეგად გამოყოფას ექვემდებარება 490,8 ათასი მ³ ხე-ტყე, ამასთან, საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ იქნა ტყეკაფები 697,5 მ³ მოცულობის სათბობი შეშის მისაღებად.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო


